

K 82.825
3

3. ვაკენისამინი



ევროპის პაკტიკური

აროელ ნითერი დარეი თაღიცის საქათვებოს
სალფინ-სახურის ინსტიტუტის გამოსაზრეა

19 თბილის 59

638.1

3. ს. ფრანგულაშვილი



მეცნიერებების პრეცენტაცია

K82.825
3

შემოხილი დისტანციური მუზეუმის სამსახურის
სასოფლო-სამეურნო ინიციატივის გამოცემა

19 თბილისი 59



ჭ ი ნ ა ს ი ტ უ გ ა მ ბ ა

ჭინამდებარე სახელმძღვანელო—„მეფუტკრეობის პრაქტიკულ-
მიზანის ძირითადად განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუ-
დენტთათვის.

მეფუტკრეობის პრაქტიკული გამომდინარეობს ამავე საგნის
პროგრამის კურსიდან და უმთავრესად პრაქტიკულ საკითხებს იხი-
ლივს.

სტუდენტი ამ სახელმძღვანელოში პრაქტიკული ვარჯიშობის
ფრონტი ეცნობა: ფუტკრის საცხოვრებელ ბინას—სკას, პრიმიტიული
სკების ტიპებს, მეცუტკრეობაში საჭირო სამუშაო მანქანა-იარა-
ლებს. ფუტკრის ოჯახის შემაღენლობას, ფუტკრის სხეულის ში-
ნაგან და გარეგან ორგანოებს, ხელოვნური ფიჭის ჩარჩოში ჩაკ-
ვრის პროცესს, საგაზაფხულო სამუშაოებს საფუტკრეში, ფუტკრის
ოჯახის გადაყვანას პრიმიტიული სკიდან ჩარჩოიან სკაში, ფუტ-
კრის ოჯახის მთავარ საგაზაფხულო შემოწმებას, დედების ხელოვ-
ნურად გამოყვანას, ფუტკრის ნაყარს, ფუტკრის მთაბარობას, საშე-
მოდგომო სამუშაოებს, ფუტკრის სხვადასხვა ავალიცოფობას და მეც-
ნებლებს, ცვილის ნედლეულის შენახვა და გადამუშავებას, თაფ-
ლოვანი მცნარეების აღრიცხვას და სხვ.

სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობაზე აუდიტორიაში აწარ-
მოებენ ზოგიერთი მასალის სამუშაო რვეულზი ჩააბატვას და აგ-
რეთვე მოკლე ჩანაწერებს სხვადასხვა საკითხით. ხოლო შემდგომი
მეცადინეობის დაწყებისას 10—15 წუთის განმავლობაში წარმოებს
ჭინა მეცადინეობაზე დამუშავებული თემის მოკლე განმეორება.


მეფუტკრეობის პრაქტიკულის დანიშნულება ისაა, რომ სტუ-
დენტმა ლექციაზე მოსმენილი საკითხები არაქტიკულად შეისწავ-
ლოს და საფუძვლიანად დაეუფლოს ამ დისციპინისა.

ფუტკრის საცხოვრებელი გინა—სკა

პრიმიტიული სკები

ფუტკარი ყოველთვის სკაში როდი ცხოვრობდა. ძველად მის საცხოვრებელ ბინას წარმოადგენდა ტყეში ფულუროიანი ხეები, კლდის ნაბრალები და გამოქვაბულები.

დღესაც ფუტკარი მოუვლელობისა და უპატრონობის გამო ხშირად იმავე ტყეს ან კლდის ნაბრალებსა და გამოქვაბულებს მიაშურებს ხოლმე.



სურ. 1. მეზეური მეფუტკრეობა.

ური მეფუტკრეობა ეწადებოდა (სურ. 1).

ბოლოს, როდესაც ადამიანმა ფუტკარის მნიშვნელობა და სარგებლიანობა შეიცო, მისი მოშინაურება გადაწყვიტა. ამიტომ

ძველად მონადირები ველურ ფუტკარზე ნადირობდნენ, ნახული ფუტკარის ოჯახებს დაინელებდნენ (დაევსებდნენ) და იქიდან თაფლს ამოილებდნენ, რომელსაც საჭვებად იყენებდნენ.

ტყეში ნახული ფუტკარი რომ მიესაკუთრებინა, მონადირე მას ხიშანს ადებდა, რათა სავა მონაღირეს მისთვის იელი არ ეალო, ანდა ფუტკარის კოდს (გეჯას) უხე ამაგრებდა და იმასაც ნიშანს ადებდა. თაფლისა და სანოლის ასეთ მოპოვებას იმ დროს მეხედი

ფუტკრით დასახლებული კოდები მან-ხეებიდან მოხსნა და თავის
საძლის ახლოს გადმოიტანა. ასე დაიწყო პირველი საფუტკრების
გზენა მათი პრიმიტიული სკეპით (სურ. 2).

პრიმიტიული სკეპის ტიპებს ეკუთვნის: კოდი, გეჯა, ხოერი
და ჭრული გოდორი.



სურ. 2. საფუტკრე პრიმიტიული სკეპით.

კოდი. კოდი ხის მოგრძო მრგვალ მორგვს წარმოადგენს,
რომელსაც შიგნით სიღრუე აქვს. კოდი ვერტიკალურად იღმება
(სურ. 3). თაფლის მისაღებად მას ხსნიან ფსკერს და ფიჭებს ქვე-
მოდან სჭრიან. დროთა განმავლობაში კოდი გაუმჯობესებულ იქ-
ნა. მას მოძრავი სახურავი გაუკეთეს და ზედა მხრიდან თამასები
დააჭიდეს. თამასებზე ფუტკრებმა ზევიდან ქვემოთ ფიჭები ჩამო-
შენეს (სურ. 4).

გეჯა. გეჯა-ბუკიც ხის მოგრძო მრგვალი ნაკერია. სიგრ-
ძით დაახლოებით 1—1,5 მეტრს უდრის. იგი კოდისაგან იმით გან-
სხვავდება, რომ შუაზეა გაჭრილი და ჰორიზონტალურად იღმე-
ბა. ამრიგად, გეჯა ორი ნახევრისაგან შესდგება. ორივე ნახევარს
გული ამოჭრილი აქვს და ერთიმეორეს ეხურება (იხ. სურ. 2).
ფუტკარი ბუკში ზედა ნახევარზე აშენებს ფიჭას—ზევიდან ქვევით.
თაფლის მისაღებად მეფუტკრე ასწევს ბუკის ზედა მარეს და თაფ-
ლიანი ფიჭის ნაწილს ამოსჭრის, ნაწილს კი ფუტკარს დაუტოვებს
საშამორო მარაგად.

ხოკერი. ხოკერი ბლის ქერქისაგან გაპეტებული სამედისაც ზემოთ და ქვემოთ სახურავისა და ფსკერის ნაცალის ხის ფიცარი აქვს ჩადგმული.



სურ. 3. კოდი.


საერთოდ პრიმიტიულ სკებს ჰქონდა და დღესაც აქვს დიდი უარყოფითი მნარები. მათში ფუტკრის მოვლა-ატრონიბა გაძნელებულია. დაუთბუნებლობა, ავადმყოფობა, საკვების შეუმოწმებლობა და სხვ. ხშირად ფუტკრის მთელ ოჯახს ღუბავს. ადამიანის „ზრუნვა“ ამ შემთხვევაში მხოლოდ თაფლის გამოლებაში გამოიხატა.

მეფუტკრეობის განვითარებასთან დაკავშირებით, პრიმიტიული სკები დღეისათვის უკვე მიუღებელია. ამიტომ ისინი ამჟამად შეცვლილია ჩარჩოიანი სკით.

ჩარჩოიანი სკის გამოგონება ცნობილ რუს მეფუტკრების პ. ი. პროკოპოვიჩის ეკუთვნის. მან ასეთი სკა 1814 წელს შექმნა.

წნული გოდორა წნელისაგან კეთდება. იგი შიგნით და გარეთ თიხით არის შელესილი.

ზემოთ დასახელებული პრიმიტიული სკებიდან ჩვენში დღეს უველავე უფრო შემორჩენილია ბუკ-გვა. სხვა პრიმიტიულ სკებთან შედარებით ამ სკას ერთგვარი უბირატესობა აქვს. ამ სკიდან თაფლის გამოლება და ძველი ფიჭების ახალი ფიჭებით შეკველა ფუტკრის ოჯახის დაუღუპავად შეიძლება. მეფუტკრე წელს ერთი მხრიდან ამოსჭრის თაფლიან ფიჭებს, ხოლო მომავალ წელს—მეორე მხრიდან.



სურ. 4. გაუმჯობესებული კოდი.


შექმნა 1814 წელს შექმნა.

დან იღებოდა და ჩარჩოები სკის კედლის ნარიშანდებზე უმარტვილი გეიდებოდა, არამედ სპეციალურ სადგამებზე იდგმებოდა (სურ. 5) სკა პროკოპოვიჩის სკა თანამედროვე სკის საფუძველს წარმოადგენს, რის გამოც პროკოპოვიჩს მეფუტქრეობის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძლვის.



კულტურული სკები

სკა შესდგება შემდეგი ნაწილები-საგან: ფსკერი, ბუდის განყოფილება, საკუჭნაო და სახურავი (სურ. 6). სკის ყველა ნაწილი მოძრავია და ყოველთვის შეიძლება მისი დაშლა-აწყობა.

ფს კერი. სკის ფსკერი მოძრავია. ზეგვიძლია, როდესაც გვინდა, ის მოვაძროთ ან მივაჭროთ. ფუტქრის მუშაობის დროს ფსკერზე ბევრი ნაგავი და დახოცილი ფუტქარი გროვდება, რაც ზოგჯერ სხვადასხვა ავადმყოფობის გამომწვევია. ამიტომ ყოველწლიურად, განეფხულზე და შემოდგომაზე ფსკერი უნდა შეიცვალოს.



სურ. 5. პროკოპოვიჩის სკა.



სურ. 6. დადან-ბლატის 12 ჩარჩოინი სკა გასუფთავებული და დეზინფექცირებული სათაღარიგო ფსკერით.

თუ სკას მოძრავი ფსკერი არა აქვს, მაშინ მეფუტკრეს ფსკერის გასაწმენდად მოუხდება ფუტკრის მთელი ოჯაზის სხვა სუფთა სკას შედებით გადასხმა და შემდეგ ისევ პირველ სკაში დაბრუნება.

ამ ბოლო დროს, ფსკერდამაგრებული სკების კეთებაც დაწყებს. ფსკერს წინა მხარეს 40—50 მმ. ზომის გამოშვერილი ნაწილი აქვს, რომელიც ფუტკრის სასვენ ფიცარს წარმოადგენს. ფსკერის წინა მხარეს, სკის მთელ სიგრძეზე დატოვებულია 150—200 მმ სიგანის ხერელი, რომელსაც ფუტკრის საფრენი ეჭოდება. ასეთი სიგანის საფრენი ფუტკარს ყოველთვის არ სჭირდება, ამიტომ თამასების საშუალებით საჭირო შემთხვევაში ვახდებთ მის ვაფართოება-შევიწროებას. მაგ., მთავარი ღალიანობის დროს საფრენს ვადიდებთ, ხოლო არა ღალიანობისას, პირიქით, ვავიწროებთ. ფსკერს ქვემოდან 40—50 მმ. სისქის ხის ლარტყა აქვს მიჭედილი, რომელიც სკის ფეხის როლს ასრულებს. ასეთი ფეხი იმიტომაა საჭირო, რომ ფსკერი სინესტისაგან დავიცვათ და თანაც მასზე დაჭიდილი ფიცარი დავამაგროთ. სასურველია, ფსკერი ერთი ფიცარისაგან შესდგებოდეს, მაგრამ უმეტესად მას 2—3 ფიცრისაგან აკეთებენ. ასეთ ფსკერს ხშირად (განსაკუთრებით, თუ მასალა ნედლია) ნაპრალები უჩნდება, რაც სხვადასხვა მავნებლების ბუდეს წარმოადგენს. ფსკერი კარგად უნდა იყოს გაშალაშინებული, რათა მისი გაშენდა უკეთესად ჩატარდეს. თვითონ ფსკერის სისქე დაახლოებით 20 მმ უნდა უდრიდეს.

ბუდის განყოფილება 12 ჩარჩოიანია. იყი უფსკერო თოხუთხედი ყუთია. მისი ფართობი ქვადრატულია. სიგრძე 450 მმ; ხოლო სიმაღლე—320 მმ უდრის. ბუდის კედლის სისქე დაახლოებით 35—45 მმ უნდა იყოს. ორი მოვირდაბირე კედლის ზემო ნაწილში გაკეთებულია ჩარჩოების ჩამოსაყიდი ნარიმანდები. ნარიმანდების სიმაღლე უდრის—20 მმ და სიგანე 11 მმ.

ორ ჩარჩოს შორის მანძილი როგორც ბუდეში, ისე საქუჭნაოში დაახლოებით 12 მმ უდრის. აღნიშნული მანძილის გადიდებას, თუ შემცირებას მოსდევს ფუტკრის წესიერი მუშაობის დარღვევა. თუ მაგ., ორ ჩარჩოს შორის 12 მმ-ზე მეტი მანძილი დავტოვეთ, მაშინ ფუტკრები მათ შორის ახალ ფიჭას ჩააშენებენ და ორ ფიჭას ერთმანეთს შეურთებენ, ხოლო თუ ეს მანძილი შევამირეთ, მაშინაც ფუტკარი, ახალი ფიჭის ჩაუშენებლად, გადააბამს ორ ფიჭას ერთმანეთს. ამიტომ ზემოაღნიშნული ზომა—12 მმ ყოველთვის ზუსტად უნდა იქნეს დაცული.

ბუდის ჩარჩოს ზომა 435×300 მმ უდრის, ხოლო სიგანე 25 მმ
ერთი ბუდის ჩარჩო 3—4 კგ თაფლს იტევს.



ბუდის განყოფილებაში მიმდინარეობს ფუტკრის ძირითადი
მუშაობა. აქ ხდება ფუტკრებს შორის მუშაობის განაწილება. მაგ.,
ფუტკრის ერთი ჯგუფი ბარტყის აღზრდას ემსახურება, მეორე—
საკვების მოტანას, მესამე—უჯრედების დასუფთავებას და სხვა.
ბუდის განყოფილებაში ჭარბოებს თაფლისა და ჭეოს საზამთრო
მარავის შექმნა. ფუტკრის დაზამთრებაც ბუდეში მიმდინარეობს,
ამიტომ ბუდის განყოფილება სკის მთავარი ნაწილია.

საკუჭნაო. საკუჭნაო სკის მესამე ნაწილია. იგი სიმაღლოთ
ბუდის ნახევარია და 155—165 მმ უდრის. საკუჭნაოც 12 ჩარჩო-
იანია, ხოლო მეფუტკრები ჩვეულებრივ შიგ 10—11 ჩარჩოს ათავ-
სებენ. ჩარჩოების შემცირებული რიცხვი თაფლის მეტ რაოდენო-
ბას გვაძლევს და თან ჩარჩოების და ფიქტების ეკონომისაც ვაღ-
წევთ. ჩარჩოს ზომა 435×145 მმ უდრის.

საკუჭნაოს დანიშნულებას შეადგენს სასაქონლო თაფლის მი-
ლება. ამიტომ მეფუტკრები სასაქონლო თაფლს უმთავრესად აქე-
დან იღებენ.

სკის ზომები უნდა იყოს შემდეგი: ჩარჩოს გვერდის თამასასა
და სკის კედელს შორის 7—8 მმ. საკუჭნაოს ჩარჩოს ქვედა თა-
მასასა და ბუდის ჩარჩოს ზედა თამასას შორის—10 მმ, ბუდის
ჩარჩოს ქვედა თამასასა და ფსკერს შორის—20 მმ და საფრენის
სიმაღლე—10—15 მმ.

სახურავი. სახურავი იცავს ფუტკარს გაზაფხულ-ზაფ-
ხულში წვემისა და სიცხისაგან, ხოლო ზამთარში სიცივისაგან. სა-
ხურავის მოყვანილობა სხვადასხვანაირია; იგი შეიძლება იყოს ცალ-
მხრივ დახრილი, ორმხრივ დახრილი ანდა სრულიად სწორი.
უპირატესობა სწორ სახურავს ენიჭება. ასეთი სახურავის მქონე
სკები აადგილებს ფუტკრის ოჯახების გადატან-გადმოტანას მთ-
აბარობის დროს, რადგან ცალმხრივ ან ორმხრივსახურავიან სკებს
ერთიმეორებზე ვერ დავდგამთ, ბრტყელსახურავიანი სკები კი შეიძ-
ლება 2—3 და მეტიც ერთმანეთზე მოვათავსოთ. ამიტომ არა-
სწორსახურავიანი სკები უფრო მისაღებია სტაციონარულ საფუტ-
კრეში. სახურავს ორ მოპირდაპირე მხარეზე (გვერდებზე) საპარო
ხვრელები ძევს გაკეთებული. სკაში წვიმა რომ არ ჩავიდეს, სახუ-
რავს თუნუქი ან ტოლი უნდა გადავაკრათ. უნდა ითქვას, რომ თუ-
ნუქსაც და ტოლსაც ერთგვარი უარყოფითი მხარე აქვს. მზიან
დღეში თუნუქი ძლიერ ხურდება, ხოლო ტოლი საერთოდ ადგი-
ლად იხევა. ყოველ შემთხვევაში მაინც უფრო შისაღებია თუნუქით




სახურავის დახურვა, რაღვან იგი დიღხანს სძლებს, თუ ყოფილი წლისად, ან ორ წელიწადში ერთხელ მაინც შევლებავთ.

სკაბის ჯგუფებად დაყოფა

თანამედროვე ჩარჩოანი სკები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ვერტიკალურ სკებად და 2. ჰორიზონტალურ სკებად. ვერტიკალური სკების მოცულობის გადიდება შეიძლება სიმაღლეზე ქვევიდან ზევით კორპუსის ან საკუჭნაოს დადგმით. ამიტომ ასეთი სკის სიმაღ-

ლე მეტია მის სიგრძე-სიგანეზე. ჰორიზონტალური სკის მოცულობა გვერდზე იზრდება და არა სიმაღლეზე. ამიტომ მისი სიგრძე სიმაღლეზე მეტია (სურ. 7). იგი შეიძლება იყოს 16—24 ჩარჩოანი.



სურ. 7. ჰორიზონტალური სკა.

სკების მოცულობის გადიდება იწყება გაზაფხულიდან, როდესაც დედა ფურქარი კვერცხის დებას იწყებს. დედის კვერცხდების გამო ფურქარი იძლენად მრავლდება, რომ ბოლოს იგი ბუდის განყოფილებაში ველარ ეტევა. სკაში რომ სივიწროვე თავიდან ავიცილოთ, აუცილებელი ხდება მისი მოცულობის გადიდება. ამ მიზნით ვერტიკალურ სკას უნდა დაგედგათ მეორე კორპუსი ან საკუჭნაო, ხოლო ჰორიზონტალურს—ფურქრის სიძლიერის მიხედვით თანდათანობით დაეუმატოთ ჩარჩოები.

სკების ეს ორი ჯგუფი რამდენსამე სისტემას. შეიცავს. ვერტიკალურ სკებს მიეკუთვნება:

- 1) დაბან-ბლატის და
- 2) ლანგმტრო-რუტის სკა.

ხოლო ჰორიზონტალურს:

- 1) ლეტიცის,
- 2) უკრაინული და
- 3) ლაიანის სკები.

ჰორიზონტალურ სკაში ფურქრის მოვლა უფრო აღვილია, ვიდრე ვერტიკალურში. ჰორიზონტალურ სკაში ბუდის გასინჯვების დროს არ გვიჩირდება საკუჭნაოს მოხსნა და გვიაღვილდება საზამთრო მარაგის შერჩევის შესაძლებლობა. ამასთან, ლალიანობის დროს ვიღებთ ქარვი ხარისხის თაფლიან ჩარჩოებს და ვინახევთ საზამთრო მარაგისათვის.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთი

პორიშონტალური სკის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს სიმძიმე, რის გამოც იგი ნაჯლებ მონაწილეობს მთაბარობაში. მთაბარობის მხრივ მეტი გამოყენება 12 ჩარჩოიან ვერტიკალურ სკას აქვს. ამიტომ ჩვენში იგი ყველაზე უფრო გავრცელებულია.

ორკორპუსიანი სკები

ცნობილია, რომ ერთკორპუსიანი სკები ვერ აქვთ მიმოყრილებს ფუტკრის ბიოლოგიურ მოთხოვნილების. იგი ვერ უზრუნველყოფს დედაფუტკრის მაქსიმალურ კვერციდებას, საკვები მარაგის გადიდებას და ბუღას განახლებას. ამიტომ სკის ფართობს დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკრის ოჯახის გაძლიერებისა და თაფლის მეტი რაოდენობით მიღების საქმეში. ამ მიზნით ბოლოს დროს პრაქტიკში ინერგება ორკორპუსიანი სკების დამზადება.

ორკორპუსიან სკებში, საჭირო შემთხვევაში, შეგვიძლია თაფლიანი და ბარტყიანი ჩარჩოების რევულირება ქვევიდან ზევით და პირიქით. არის შემთხვევები, როდესაც ფუტკარი კარგი ხარისხის საკვებს ზედა სართულში ჩაასხამს. ასეთი ჩარჩოები შეიძლება ამოვილოთ და საზამთრო მარაგად შევინახოთ. ფუტკრის დაზამთრების დროს შეგვიძლია ბუღიდან ამოვილოთ ცუდსაკვებიანი ან ცოტათულიანი ჩარჩოები და მათ მაგივრ ჩავდგათ შენახული ჩარჩოები. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც არალილიანობის პერიოდში ფუტკარი მანანა თაფლს აგროვებს. მანანა თაფლი ფუტკარისათვის ზამთარში მაწყინარია, იგი ფალარათის გამომზევია. ამ დროსაც შეგვიძლია ჩარჩოები, რომლებმშიაც მანანა თაფლია, შევცვალოთ კარგი ხარისხის თაფლიანი ჩარჩოებით. ამის გარდა ორკორპუსიანი სკები გაცილებით მეტი თაფლის მომცემია, ვიდრე ერთკორპუსიანი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ-სამოსწავლო საფუტკრებში ჩატარდა ცდები (ვ. ფრანგულაშვილი) ორკორპუსიანი სკების დანერგვის მიზანშეწონილობის დასადგენად და მიღებულ იქნა კარგი შედეგები. ინსტიტუტის საფუტკრებში გაზიარებულ წელ (1953—1954 წ.) ძლიერ ოჯახებს დავადგით მეორე კორპუსები (სურ. 8).


პირველი კორპუსიდან ამოვილეთ ბარტყიანი და თაფლიანი ჩარჩოების ნაწილი, რომელიც მეორე კორპუსში ჩავდგით, ხოლო პირველ კორპუსში დარჩენილი თავისუფალი აღილი შევასეთ აშენებული ფიქით. ორივე კორპუსში დედა ფუტკარმა კარგად ვაზითარა კვერცხის დება, გაავსო ყველა ჩარჩო ბარტყით, რის ვა-

(სურათი) საცხოვრის
მუზეუმის ფოტოები


მოც ოჯახი მთავარ ლალიარობას გაძლიერებული შეხვდა (სურათი) მეტი მივიღეთ ორჯერ მეტი თაფლი, ვიდრე ერთკორპუსინი მოვარდილან.

მთავარი ლალიანობის დამთავრებისას ამ ოჯახიდან გავაკეთეთ თრი სრულყოფილი ფუტკრის ოჯახი. ყველა თრკორპუსიანებს მოვანენით ზედა ქორბუსები, გადავაადგილეთ ჩარჩოები ბარტყისა და თაფლის მიხედვით იმგვარად, რომ თრივე ოჯახს თანაბარი ბარტყი და თაფლი ქონებოდა. შემდეგ უდედო ოჯახს მივეცით განაყოფიერებული სათადარივო დედა. გაზაფხულზე ეს ოჯახები კიდევ

თაფლი
სარკორი ჩარჩო
გარეული
ხარისხული ფიჭა



5



6

სურ. 8. ჩარჩოების განლაგების სქემა:

— მეორე კორპუსის დაფგმამდე; ბ—მეორე კორპუსის დაფგმის შემდეგ.


ორყორპუსიანებად გადავაკეთეთ ზემოაღნიშნული წესის მიხედვით და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასადგმელ კორპუსად ჩვენ ზოგჯერ თრი ერთიმეორებე შედგმული საკუჭნაოც გამოვიყენეთ, ხოლო ორ მოვარდ გაყოფის დროს ფუტკარი საკუჭნაოდან კორპუსში გადავსით.

ამრიგად, დადასტურდა, რომ თრკორპუსიან სკაში დედას პვირცის დებისათვის გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ერთკორპუსიანში; ფუტკარი აქ იძლევა ორჯერ მეტ თაფლის პროდუქტის; ვქმნით ერთი ოჯახიდან ორ ოჯახს, ვახდენთ საჭი-

რო შემთხვევაში ცუდი საკებების ქარგით შეცვლას, ჩარჩოების გულირებას და სივა.

ყოველივე ამის გამო მეფუტქრეობის საკვლეო ინსტიტუტი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გვირჩევენ შემოვილოთ ორ-



სურ. 9. ბარტყ-სა და თაფლის განლაგების სქემა.

ქორპუსიანი სკები. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენში ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. საჭიროა ამ მხრივ გაეწალოთ მუშაობა და 12-ჩარჩოიანი სკები ლალიანობის პერიოდში¹ ორკორპუსიანად ვაქციოთ.

როგორ დაგამზადოთ სკები

სკის ავკარგიანობა დამოკიდებულია სკის მასალის ვარგისანობაზე და თვით სკის გაკეთების დარისტიზე.

სკის მასალად უფრო მიღებულია: ფიჭვი, ნაძვი, ცაცხვი და სხვა რბილი ხის ჯიშები, რადგან მათში ფორმიანობა მეტია. სკის კედლის ფორმიანობა ხელს უწყობს იერაციას და სინესტის შემცირებას სკაში.

სკის მასალა წინასწარ უნდა დაიხერხოს, გაშრეს და შემდეგ დამუშავდეს. ნედლი მასალისაგან გაკეთებული სკა სკდება, მოცულობაში კლებულობს, ხაპრალები უჩიდება და ფუტკრის ბიოლო-

კულტურით თავისებურებებით გაპირობებული ყველა ზომა ირლავნი
ამის გარდა, გაქნილ ნაპრალებში გროვდება ჭუქუ და ჩილება ფუტ
კრის მრავალი მავნებელი, როგორიცაა ჩრჩილი და სხვა.

სკის ნაწილების დამზადებას უმთავრესად ქარბნებში აწარმო-
გენ, ხოლო მისი აწყობა ცალკე ან საფუტკრეში წარმოებს.

სკის შეღებვა აუცილებელია, ვინაიდან
ეს საფუტკრე მეურნეობას მეტ სილამაზეს და კულტურულ სახეს
აქვთ, ხოლო თვით სკა მეტ ხანს სძლებს. სხვადასხვა ცდებით
დამტკიცდა, რომ ფუტკარი ზოგიერთ ფერს, მაგ., შავსა და წი-
თლს ნაკლებად არჩევს. სასურველია, რომ სკა ხევა ფერად,
უმთავრესად კი ცისფრად შეიღებოს. სანამ სკას შევებავდეთ, საჭი-
როა მისი ყველა ნაჩვერეტი და ფიცრებს შეა დარჩენილი ადგილები სა-
ვოშავით ამოვავსოთ, 1—2-ჯერ ზეთი წავუსვათ და გაშრობის შემ-
დეგ შევღებოთ.

საფუტკრეში სამუშაო იარაღები

ჩარჩოიანი სკის გამოგონებრი შემდეგ, რასაც თან მოჰყევა მე-
ფუტკრეობის სწრაფი განვითარება, ზერქმნა საფუტკრეში სამუშაო
შრავალი სხვადასხვა იარაღი. ამ იარაღების საშუალებით აღაძიანი
იაღვილებს ფუტკართან მუშაობას და ამავე დროს ზრდის შრომის
ნაყოფიერებას. ეს იარაღები შემდეგია:

საბოლებელი გვჭირდება ფუტკრის და-
საწყნარებლად. ბოლი ამშვეიდებს ფუტკარს და ამცირებს დანესტ-
კრის შემთვევებს. ბოლის დროს ფუტკარში წარმოიშვება თაფ-
ლის აღებისა და სათაფლე ჩიჩახვის ავსების ინსტიქტი. როცა სა-
თაფლე ჩიჩახვს აივსებს, ფუტკარი ნაკლებ მოძრავია და ისე სწრა-
ფად ვეღარ ხრის მუცლის ბოლოს, როგორც ამას აკეთებს ჩვეუ-
ლებრივ დროს.

საბოლებელი შესდგება თუნუქის ცილინდრისა და საბერვე-
ლისაგან (სურ. 10). თუნუქის ცილინდრი ორმაგკედლიანია; შიგნით
ზოთავსებულია მეორე ცილინდრი. მეორე ცილინდრის ფსკერი
ირიბად დაჩვრეტილია, და საბერველისაკენ მიქცეული მაარე პირ-
ველი ცილინდრის ფსკერზე 2 სმ ით მალალია. პირველ ცილინდრს
ფსკერთან ნახერეტი აქვს. საბერველიდან გამოსული პარის ნაკა-
დი შედის პირველ ცილინდრში და აქედან გადის მეორე ცილინ-
დრში. პირველ ცილინდრსა და მეორე ცილინდრს შორის თავი-
სუფალი ადგილია დატოვებული, რის შედევად შიგნითა ცილინ-

ორი იცავს გარეთა ცილინდრს გახურებისაგან. საბოლებელს  ცილინდრის გახურებისაგან. საბოლებელი აქვს ძაღლის სახურავი. სახურავს შიგნით გამოიყენება აქვთ ტუნუქის ფირფიტა, საიდანაც ბოლო გამოდის. თუნუქის ფირფიტა იცავს ფუტკარს ცეცხლით დაწვისაგან.

საბოლებლის მეორე ნაწილი საბერველია. საბერველი შესდება ორი ნაჭერი ხისაგან, რომლებსაც გვერდებზე გადაკრული აქვთ ტყავი ან ბრეზენტის ნაჭერი. საბერველის შიგნით მოთავსებულია ზამბარა, რომელიც დაკეცილ საბერველს შლის. საბერველის ქვედა ნიშილში, ცილინდრის ნახვრეტის პირდაპირ ნახვრეტია გაკეთებული. აქედან გამოსული ჰაერი ცილინდრში შედის და ალვოვებს ცეცხლს.

ამის გარდა საბოლებლის საშუალებით ფუტკარს სკაში საითაც გვინდა, იქით მიერკეავთ, რადგან ფუტკარი საერთოდ ბოლს ყოველთვის ერიდება.


საბოლებლისათვის ისეთი საჭვავი მასალა უნდა ვისმარ ით, რომელიც ბოლის კარგი მომცემია. ასეთია, მაგალითად: ფუტურო, წიგა, ხის სკო (აბედი), კოტა სიმინდისა და სხვ.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ცეცხლი უნდა ჩავაჭროთ, საბოლებელი გავშვინდოთ, და ისე შეეინაოთ. ცეცხლიანი საბოლებლის შენობაში დატოვება სასტიკად აკრძალულია, რადგან ამან შეიძლება ხანძარი გააჩინოს.

პირბადე. პირბადით ვიცავთ პირისახეს ფუტკარის დანებტვრისაგან. მეფუტტკრემ ისე უნდა იძუშაოს, რომ ფუტკარმა არ დახესტროს. ქართული მთის რუაი ფუტკარი მსოფლიოში ცნობილია, როგორც მშვიდი ხასიათისა, მავრამ ზოგჯერ ისიც ინესტრება. უფრო ხშირად ქართულ ფუტკართან უპირბადოდ მუშაობენ.

პირბადეში ადამიანი უკავისუფლოდ გრძნობს თავს, მას სიცხე(?) აწუხებს და ცუდადაც დედავს. ამიტომ, სჯობს მეფუტკრემ აწეული პირბადით იმუშაოს და როცა დასჭირდება, მაშინ ჩამოიწიოს.


პირბადე მზადდება შავი ლეჩაქისაგან, რადგან შავში მხედვე-



სურ. 10. საბოლებელი.

ლობა უკეთესია. მას აკეთებენ უბრალო პარკის ან ქუდის მსგავსობაზე
(სურ. 11).

უფრო მოსახერხებელი და პრაქტიკულია პარკისებრი პირბა-
დე, ვინაიდან იგი შეიძლება ჩამოვიცვათ ყოველნაირ ქუდზე, ხო-
ლო როცა არ გვჭირდება ჯიბეში ჩავიდოთ. ქუდისმაგვარ პირბა-
დეს ზედა ნაწილში მავთულის რგოლი უკეთდება, ხოლო ქვედა
მხარეს ზონარი აქვს გაყრილი. ზონარის საშუალებით პირბადეს
კისერზე შემოიჭერენ.




სურ. 11. პირბადე.

საფხეკი: საფხეკი მეფუტკრის მუდმივი და აუცილებელი
იარაღია. მას ამზადებენ ფოლადისაგან. მისი ერთი პირი მოხრი-
ლია და მეორე სწორი. საფხეკის სიგრძე დააბლებით 16—18 სან-
ტიმეტრია, სისქე — 2—3 მმ და სიგანე — 25 მმ.

ფუტკარი ჩარჩოებს დინდგელათი აწებებს სკის ნარიბანდებზე.

სკიდან რომ ჩარჩო ამოვილოთ, ჯერ იგი საფხექით ადგილზე
დან უნდა დავძრაოთ (სურ. 12). საფხექის საშუალებით წარმოქმნა
სკის საკუჭნაოს და კორპუსის ერთმანეთისაგან დაცილება, ავრეთ-
ვე სკის ნაწილებზე ცვილის ნარჩენებისა და დინდგელის გაფხექა.




სურ. 12. საფხექის ხმარების სხვადასხვა მომენტები.

ავადმყოფობის გავრცე-
ლების თავიდან ასაცილებ-
ლად ფუტკრის ოჯახის ყო-
ველი გასინჯვის ზემდევ სა-
ფხექს უნდა გაუკეთდეს დე-
ზინფექცია, ცეცილის ალზე
ან სპირტის წასმით.

სადედე გალია.
სადედე გალია იხმარება დე-
დის დროებით იზოლაციი-
სათვის. დედის იზოლაცია
გვჭირდება მისი გამოყვანის
ან ოჯახისათვის მიცემის
დროს. ამის გარდა, სადე-
დე გალია საჭიროა მწიფე
სადედის მოსათავესებლად (სურ. 13).

შველაზე უფრო გავრცელებულია ტიტოვის სთლელი გალია.
2. მეუზტერეობის პრაქტიკული.




სურ. 13. სადედე გალია.





გალია კეთდება ლითონის მავთულისაგან, სადაც არცერთ ფუტკრის ლჯახის წევრებს შიგ შესლა არ შეუძლია. მას ზემო და ქვემო უნდა ში სახურავი აქვს. ზემო ნაშილის სახურავი ლითონის ფირფიტისაა, საიდანაც დედა ფუტკარს გალიაში ჩავსვამთ. ქვედა საბურავი ხისაა. ამ სახურავში პატარა ამოჭრილი ნაიღრეტია. დედის საკვების (ყანდის) მოსათავსებლად. გალიის სიგრძე 54 სმ-ია, სიგანე—30 სმ. და სისქე 15 სმ. სადედე გალიებს გვერდებზე გამოშევრილი ნაშილები აქვს ჩარჩოებზე ჩამოსაკიდებლად.

სა დედე ხუფი. სადედე ხუფი იძმარება დედა ფუტკრის ცოტა ხნით იზოლაციისათვის, უმთავრესად მის ზესამოწმებლად (სურ. 14). დედა ფუტკრის დასაჭერად იუფი ფიჭაში უნდა ჩავსოთ. ოროროც სადედე გალია, ისე იუფიც მრავალნაირია.




სურ. 14. სადედე ხუფი.

დედის გასაგზავნი გალია. საუსტკრეში ბევრი ასალგაზრდა განაყოფა ერებული დედა საჭირო, ვინაიდან ყოველწლიურად მიმღინარეობს ძელი (ორი წლის) დედების აალი დედებით შეცვლა. დედა ფუტკარი გვჭირდება ნუკლეუსუბის გაკეთებასა და დაობლებული ოჯახების აღდენის დროს და სხვა. მართალია, ზოგიერთი მეფუტკრე, თკით ინახერავბს გამოიყვანიოს ფუტკარს დედა. მაგრამ ეს მიმჩად არასაქმარისია. ამიტომ არსები ის საეციალური სადედე მეურნეობები, რომლებიც მაოლოდ დედების გამოყენას ეწევიან.

დედების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანა ფისტით წარმოებს, სპეციალური გალიების საშუალებით. დედის გასაგზავნი გალია ხისაგან კეთდება. სიგრძით იგი 18 სმ., სიგანით 7 სმ. და სიმაღლით 3,5 სმ უდრის. გალია ზუაში აძირილია, ხოლო თავებში ორ-ორი მრგვალი ხერელია დატოვებული. ხერელებში ფუტკრის საეციალური საკეტი—უარი თავსდება. ყანდი რომ არ ამოშოეს. სერელების კედლებზე შიკნით ცვილ უსვამენ და ზემოდან ხელოვნური ფიჭეს ნაჭირს აფარებები. სერდევგ გალიის მავთულის ბადეს აკოვეხ, რათა ფუტკარი ამ ამოფაინდეს. გალიას თავსა და ბოლოდი ისა აატარა თამასებს აქედებენ,

თამასებზე კი ფიცრის ნაჭრებს, რითაც გალიაში სათანადო აქტი
ცის ქმნიან (სურ. 15).

გალიის ასე მოწყობის შემდეგ შეიძლება გვერდის ნახვრეტი-
დან შიგ დედა ჩავსვათ და გავაგზავნოთ დანიშნულებისამებრ. დედის
გალიაში შესაშვებად დიდი სიფრთხილეა საჭირო. როგორც წესი,
დაქერის დროს დედას ხელს ვკიდებთ ორივე ფრთაში და არა მუ-
ცილზე. გალიაში დედის შეშვების შემდეგ მასთან სვამენ მბლებლე-
ბად იმავე ოჯახის აბალგაზრდა ფუტკრებს, რომელთა რაოდენობა
დამოკიდებულია გადასყვანი მანძილის სიშორე-სიახლ. ივეზე. თუ
დედა ახლოს იგზავნება, მაშინ საკმარისია 15—20 ფუტკარი, ზორ
შანძილზე კი დედას 50-მდე ფუტკარი უნდა გავაყოლოთ. თ. ნმხლე-
ბელი ფუტკრები დედას გხაში უვლიან, კვებავენ: საჭირო შემთხვე-
ვაში აბალუნებენ, ჰაერს უგრილებენ და სხვ. ასე გამზადებულ გა-



სურ. 15. დედების გასაგზავნი გალია.

ლიას ზემოდან აწერენ მისამართს და შემდეგ სიტყვებს; „გაუტკრ-
თხილდით ცოცხალ ფუტკარს“. დედების გასაგზავნი გალიები მრა-
ვალზაირია, მაგრამ პრინციპში ყველა ერთნაირია.

სამუშაო ყუთი საჭიროა იმისათვის, რომ
შეფუტკრეს საშუალება ჰქონდეს მურაობის დროს ხელსაწყო იარა-
ლი, როგორიცაა—საბოლებელი, საფარები, ჩაქტი, გაზი, ლურსმა-
ნი, ჯავოცი, სადედე გალია, საფუტკრის უურნალი და სხვა, ერთ
აღგრძლიდან, მეორე აღგრძლებიდან გადაიტანოს.

ყუთის ერთ-ერთი განყოფილება შეიძლება გამოვიყენოთ სკის
კედლებიდან და ჩარჩოებიდან ცეილის ანაფაეკისათვის. ამის გარ-
და, სამუშაო ყუთს მეფუტკრე მურაობის დროს სკამადაც ხმა-
ოთბეს.


სამუშაო ყუთი კეთდება ხისაგან. მისი მთავარი ნაწილი უბ-
რალო სკამს ჭარმოადგენს, რომლის ორივე მახარეს მიჭედილია თი-

თო პატარა ყუთი. ერთში აწყობენ წვრილმან ხელსაწყოს, ხოლო
მეორეში ფიჭის ნაწილებსა და ყოველგვარ ანაფხექს ყრიან (სურაზე)

სკამის ქვეშ გაკეთებულია კიდევ ერთი ყუთი, რომელშიაც
საბოლებლის საწვევი მასალა ინახება. სამუშაო ყუთის კედელზე გა-
კეთებულია საბოლებლის ჩამოსაკიდი.

ჩარჩოების გადასატანი ყუთიც უნდა გვქონდეს. ამ ყუთში ვაწყობთ
თაფლიან ჩარჩოებს და მიგვაჭვს თაფლის გამოსაშურ ადგილის. ამის
გარდა, მასში ვათავსებთ საკალასრვა ზომის ცარიელ ჩარჩოებსაც, რო-
მელთაგან ზოგი საწყობში გადაგვაჭვს ზოგიც კი საწყობიდან — სა-
ფუტკრეში. ეს ყუთი შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ ფუტკრის

ოჯახების გასინჯვის
დროსაც. ოჯახის გა-
სინჯვის დროს ყოველ-
თვეს გვიხდება ერთი
ჩარჩოს დროებით ამო-
ლება (მთლიანად ოჯა-
ხის გასინჯვამდე) და
გარეთ გაჩერება, რა-
საც ხშირად ფუტკრე-
ბის „ქურდობა“ მის-
დეს ხოლმე, იმასთან,
უნებურად ფუტკრის



სურ. 16. სამუშაო ყუთი.


გასრესაც ხდება. ამიტომ უმჯობესია ამოლებული ჩარჩო დროე-
ბით ყუთში ჩავდგათ.

ასეთი ჩარჩოების გატასატანი ყუთი სიმჩატისათვის ფირფი-
ცარისაგან ან თაელი ფიცრისაგან კეთდება. ყუთში 6—8 ჩარ-
ჩო იდგმება. ჩარჩოების დასაკიდებლად ყუთს გაკეთებული
აქვს ნარიმანდი. და საბურავი ისე ეაურება, რომ ფუტკარს შეგ
შესვლა არ შეუძლია. ყუთს საბელურიც აქვს.

ჯაგრისი. ჯაგრისით ფუტკარს ვაცილებთ ჩარჩოდან. ჩარ-
ჩოდან ფუტკრის მოცილება ბევრ ზემთსვეებში გვჭრდება: ავად-
მყოფობის გამორკვევის დროს, როცა საჭიროა ფიჭის უჯრედების


კარგად დათვალიერება, თაფლის გამოწურვისას და სხვა. მართა-
ლია, მეფუტკრეს შეუძლია ჩარჩოს ჩაბერტყვით მოცილოს მას ჟურული
კარი, მაგრამ ნაშილი ფუტკრებისა მაინც რჩება ჩარჩოზე და მა-
თი მოცილება მაოლოდ ჯაგრისით ხერხდება. ჯაგრისი უდა იყოს
რაც შეიძლება რბილი (სურ. 17). ამიტომ მას ამზადებენ ლორის
მუცლიდან და ფერდე.

ზიდან აღებული ჯაგ-
რისისაგან, ჯაგრისის
ხმარების დროს საფუტ-
კრე სავსებით ჯანსაღი
უნდა იყოს, წინაღმდეგ
შემთხვევაში, ჩვენ თვი-
თონ ხელს შევუწყობთ
ავადმყოფობის გაერცელებას. ამასთან, უმჯობესია ფუტკრის ოჯა-
ხებს თავთავისი ჯაგრისი ჰქონდეს.




სურ. 17. ჯაგრისი.

გამოსაყოფი ბადე. გამოსაყოფი ბადე საჭიროა დედა



ფუტკრის იზოლაციი-
სათვის სკის ამა თუ
იმ ნაშილში. არის შემ-
თხვევები, როდესაც
დედა ფუტკარი საკუჭ-
ნაოში იწყებს კვერ-
ცხის დებას, საქუმნაო
კი ჩვენ თაფლის მისა-
ლებად გვინდა. ეს რომ
არ მოხდეს, ბუდეს და-
ვადებთ გამოსაყოფ ბა-
დეს. გამოსაყოფ ბადე-
ში მუშა ფუტკარი გა-
ვა, ხოლო დედა და მა-
მალი ფუტკრები, სი-
ლიდის გამო მასში ვერ
გაძერებიან. ამის გარ-
და, ზოგჯერ თვით ბუ-
დის განყოფილებაშიც



სურ. 18. გამოსაყოფი ბადე.


ვახდენთ ხოლმე დედის იზოლაციას ამა თუ იმ ჩარჩოს გასანთავი-
სუფლებლად.

გამოსაყოფი ბადე კეთდება თუნუქის ან თუთიის ფუტკლე-
ნისაგან (სურ. 18). მისი ნახერეტის ზომა 4,1—4,2 მმ-ია. ფუტ-

ქრებს ფრთები რომ არ დაუზიანდეს, გამოსაყოფი ბადის გაქრიცება
ნაპირები დამრგვალებულია.

სამოხურე
სახლის მოსახლეობის

სანაყრე. სანაყრე ფუტკრის ნაყრის დასაჭრად ვაჭირ-
დება. სანაყრეს აქეთებენ ხისაგან ან მარლისაგან (სურ. 19,19-ი).
იგი მრგვალი ან მოგრძო ფორმისაა. სახურად აერაციისათვის
მარლის უკეთებენ. ხეზე ჩა-
მოსაკიდებლად კაუჭი აქვს
გაეთებული, ხელში დასა-
ჭრად კი—სახელური.



სურ. 19. სანაყრე.


კარავი იხ-
მარება ულალიანობის პერი-
ოდში ფუტკრის ოჯახის გა-
სასინჯად. ულალიანობის
დროს ხშირად ფუტკრის გა-
სინჯვისას ფუტკრის ერთი
ოჯახი მეორეს ესხმის თავს
თაფლის წასარისმევად, და
საფუტკრეში ფუტკრებს შო-
რის „ქურდობა“ იწყება.

მოსული „ქურდი“ ფუტკრები სკის ირგვლივ ირევიან, ცდი-
ლობენ საფრენიდან ან სხვა ნახვრეტიდან სკაში შეძვრნენ და თაფ-
ლი წაიღონ. ამ დროს დარაჯი ფუტკრები მღელვარებას ეძლევი-
ან. მათი რიცხვი თანდათანობით იზრდება. ისინი თავს ესხმიან
მოსულ „ქურდ“ ფუტკრებს და ამ ორ მოწინააღმდევეთა შორის
„ბრძოლა“ იმართება. ამ „ბრძოლაში“ ყოველთვის სუსტი ან უდე-
დო ოჯახი მარცხდება. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ საფუტკრე-
ში მუდამ ძლიერი და დედიანი ოჯახები გვყავდეს.


ფუტკრის ოჯახის გასასინჯ კარავს უმთავრესად აქეთებენ ხი-
სა და მარლისაგან (სურ. 20). ჯერ აქეთებენ ხის ჩარჩოებს, რო-
მელთა სიგრძე უდრის ორ მეტრს, სიგანე—1,2 მეტრს და სიმაღ-
ლე 2 მეტრს. კარავს გვერდებზე და შემოდან შემოკრული აქვს
მარლა. ზოგჯერ მარლის მავირ წვრილი მავთულის ბადესაც ხმა-
რობენ. კარავის ერთ გვერდზე შესასვლელი კარია.

ფუტკრის ოჯახის გასასინჯავად სკას გადაადგამენ კარავს.
მოსული „ქურდი“ ფუტკრები კარავში ვერ შევლენ და ირგვლივ
იწყებენ ფრენას.

კარავს, ამის გარდა, იყნებენ უპვე დაწყებული „ქურდობის“
შემთხვევაშიც. როდესაც დავინახავთ, რომ ერთი ოჯახის ფუტ-
კრები თავს ესხმის მეორეს, მაშინ გაისაქუდ ოჯახს სასჭრაფოდ.



ပုံရ. 19-က. မာဇားဆောင်ရွက် စာ၏ဖူး၏




ပုံရ. 20. ပျော်ပျော်ရှိသူ ဘဝါယာကို အကျင့် ပျော်လောင်းပါသူ ဖူး၏

გადავადგამო კარავს. რამდენიმე წუთის შემდეგ (15—20 წ.), კარავი
ზომეული დამცემი ფუტკრები გაითანტებიან და კარავის ზე-
მო ნაწილში შეგროვდებიან. ამის შემდეგ შეიძლება კარავის მიზან-
ლოთ და სკის გარეთ დარჩენილ ფუტკრებს საშუალება მივცეთ შე-
ფილნენ თავის ოჯაში. ერთი საათის გასვლისას კარავიდან ვათა-
ვისუფლებთ ქურდ ფუტკრებს.

თაფლის გამოსაწური ხელსაწყო-იარაღები

სანამ ჩარჩოიან სკას და ხელოვნურ ფიჭას გამოიგონებდნენ,
არც იყო საჭირო თაფლის გამოსაწური ხელსაწყო იარაღები. მაგ-
რამ მათი გამოგონების შემდეგ აუცილებელი შეიქნა ისეთი იარა-
ღის გამოგონება, რომელიც თაფლს ჩარჩოდან გამოწურავდა.



სურ. 21. ქორდიალური ციბრუტი.

თაფლი რომ გამოვწუ-
როთ, გვეირდება: ციბრუტი,
თაფლიანი ფიჭების უჯრედე-
ბის სახურავების ასაჭრელი
მაგიდა და საფუტკრის დანა.

ციბრუტის საშუალე-
ბით წერმოებს თაფლის გა-
მოწურვა ფიჭის უჯრედები-
დან. ციბრუტს აეკთებენ ლი-
თონისაგან, იგი კასრს წარ-
მოადგენს. ციბრუტი მრა-
ვალნაირია, მაგრამ მუშაო-
ბის პრინციპი ყველას ერთ-
ნაირი აქვს. ჩვენ მხოლოდ
ორგვარ ციბრუტს განვიხი-
ლავთ: ქორდიალურს და რა-
დიალურს.

ქორდიალური ციბრუტი. ქორდიალური ციბრუტის
ცენტრში ვერტიკალური ლერძია, რომელზედაც მიმაგრებულია ჩარ-
ჩოების ჩასადგმელი დოლური (სურ. 21). ვერტიკალური ლერძი
კბილანების საშუალებით მოძრავად შეერთებულია ჰორიზონტალურ
ლერძთან. ჰორიზონტალური ლერძი მოძრაობს სახელურით და იგი
აბრუნებს ცენტრალურ ლერძს დოლურებიანად, ციბრუტს ფსკერ-
ზე გაეკთებული აქვს თაფლის გამოსასვლელი ონკანი.

ციბრუტის ტრიალის დროს, ცენტრიდანული ძალის გავლე-
ნით, თაფლი გამოიწურება ფიჭის უჯრედებიდან. პირველად თაფ-

ლი ციბრუტის კედელზე ეცემა, შემდეგ ფსკერზე ჩადის და აქვთაშენა
ონგანის საშუალებით ჭურჭელში გროვდება.

ჩარჩოს ჩადგმის მიხედვით ციბრუტები ორ ჯგუფად იყოფა:

1. ქორდიალური და
2. რადიალური.


ქორდიალურ ციბრუტში ჩარჩო ქორდის მიხედვით იდგმება, ხოლო რადიალურში რადიუსის მიხედვით.

ქორდიალური ციბრუტი შეიძლება იყოს 2, 3, 4, 6, 8 ჩარ-
ჩოიანი. ჩვენში ქორდიალური ციბრუტი უფრო გავრცელებული,
ვიდრე რადიალური.

ქორდიალურ ციბრუტ-
ში თაფლი პირველად იმ
გვერდიდან იწყებს გამოს-
ვლას, რომელიც ციბრუტის
კედლისაკენ არის მიეცეული.
როცა ჩარჩოს ერთი გვერ-
დი განოიშურება, მაშინ ივი
უნდა ამოვილოთ და მეორე
გვერდით ჩავდევთ. ჩარჩოს
ამოღება და ჩადგმა ერთგვარ
სირთულეს წარმოადგენს და
შრომის ნაყოფიერებაზედაც
გარკვეულ გავლენას. ახდენს
ამიტომ ამ ბოლო დროს გა-
ოუმჯობესეს ქორდიალური
ციბრუტი და გადააკეთეს
იყი თვითმმბრუნვა-ციბრუტად. თვითმმბრუნვა ციბრუტში ჩარჩოს ამო-
ღება არ არის საჭირო, არამედ ჩარჩოს შესაბრუნებლად საჭარი-
სია ციბრუტს შევუცვალოთ ბრუნვის მიმართულება, რომ ჩარჩოს
ვამოწურული გვერდი ციბრუტის ღრეიდისაკენ მოექცეს და გამოსა-
წური ციბრუტის გვერდისაკენ. თვითმმბრუნვა ციბრუტი, ქორდი-
ალურ ციბრუტთან შედარებით, დიდი ზომისაა, ვინაიდან ჩარჩოს
ციბრუტში შემობრუნება მეტ ადგილს მოითხოვს (სურ. 22).

ქორდიალური ციბრუტებიდან სხარებაში უფრო ოთხჩარჩო-
იანი ციბრუტი გვხვდება. ოთხჩარჩოიან ციბრუტში 4 ბუღის და
8 საჭუჭნაო ჩარჩო იდგმება. ციბრუტში ჩადებული მოპირდაპირე
ჩარჩოები სიმძიმით დაახლოებით ერთი წონისა უნდა იყვნენ, თო-
რებ ისე ციბრუტი რახრას დაიწყებს.

თაფლის გამოწურვის დროს რომ მძიმე ფიჭები არ ჩაიხს




სურ. 22. თვითმმბრუნვა ციბრუტი.



ციბრუტი პირველად ნელა უნდა ვატრიალოთ, შემდეგ კი თანაბ-
თანობით უუმატოთ სიჩქარეს იმ ანგარიშით, რომ წუთში ტრიალის 70—80 უდრიდეს. როდესაც ჩარჩოს პირველი გვერდი ნახევრად
ვამოიწურება, ჩარჩოს შეგაბრუნებთ და ცებრუს ერთანას კიდევ
ნელა ვატრიალებთ, სანამ ეს გვერდიც ნადევრად არ ვამოიწურება.
ამის შემდეგ თანთადანობით უუმატებთ ტრიალის სიჩქარეს და ასე
ვწურავთ ჩარჩოს ბოლომდის. ერთაელ კიდევ ვაბრუნებთ ჩარჩოს
და მის ნახევრად ვამოწურულ გვერდს მთლიანად ვწურავთ. ამრი-
გად, თაფლიანი ჩარჩოს სრული გამრწულვისათვის საჭიროა ჩარ-
ჩოს ციბრუტში სამჯერ ამოღება და ჩადგმა.

რადიალური ციბრუტი. რადიალურ ციბრუტში ბევ-
რი ჩარჩო იწყობა. იგი შეიძლება 28—48—60 ჩარჩოიანი იყოს.
მას სახელურის მაგიერ ლილვაკი აქვს გაკეთებული (სურ. 23) და



სურ. 23. რადიალური ციბრუტი.

ბრუნავს ელექტროძრო-
ვის (1,5—2 ცალის ძა-
ლის) საშუალებით. რა-
დიალურ ციბრუტში
თაფლი ჩარჩოდან ერთ-
დროულადვე ორივე
მხრიდან იწურება. რა-
დიალური ციბრუტი
უმთავრესად დიდ სა-
ფურქრები ისმარება.

უნდა იღინიშნოს,
რომ რადიალური ციბ-
რუტი ზოგ შემთხვევა-
ში უფრო მეტად აზია-
ნებს ფიქებს, ვიდრე

ქორდიალური. ამის გარდა, ჩარჩოდან თაფლის გამოწურვა დაახ-
ლოებით 15—18 წუთს გრძელდება, ქორდიალურში კი 1,5—3
წუთს.

ციბრუტმა რომ კარგად იმუშაოს, იგი სწორად და მაღრად
უნდა დავდგათ. ამის გარდა, ციბრუტის სადგომის სიმაღლე 25—
—30 სმ უნდა იყოს, რათა თაფლის ჭრუჭელი ციბრუტის ონკანს
თავისუფლად შევუდგათ. ყოველი ხმარების შემდეგ ციბრუტი კარ-
გად უნდა გავრცელოთ, გავამტრიალოთ და მზრალ ადგილას შევინა-
ხოთ. კარგად მოვლილი ციბრუტი დიდხანს მოემსახურება საფურ-
ქრებს.

მაგიდა. მაგიდა, რომელზედაც თაფლიანი ფიჭის უჯრედებს




ცვილის სახურავები უნდა ავაჭრათ, აკეთებენ ხისაგან ან მუქი საგან. იგი ოთხეუთხედი ყუთია ასახდელი სახურავით (სურ. 24). ამ ყუთს ზემოთ ორ მობირდაპირე გვერდზე ჩარჩოს ჩამოსავიდი ნარიმანდი აქვს, სადაც 20—25 ჩარჩო თავსდება. ყუთის შეა დღილას მოთავსებულია მავთულის ბადე, რომელზედაც ფიჭის ანაჭრები ცვივა. თაფლი გადის და გროვდება ყუთის ფსკერზე, ხოლო ცვილი ბადეზე ჩერება. თაფლი გამოიდის ონკანიდან, ანაჭრები გადამუშავდება ცვილად. მაგიდას ქვემოთ კიდევ მოძრავი ყუთი აქვს. რომელსაც მეფუტქრე ხელოვნური ფიჭისა და საფუტქრის წვრილმანი ინვერტარის შესანახად ცუნებს.

მუშაობის დროს მაგიდის გადაშლილ სახურავზე ათავსებენ ნაეთქურას, დანებს, ქვაბს და ტილოს, რომლებიც საჭიროა ფიჭის უჯრედების სახურავების ასათლელად. აქვე შეძლება ჩარჩოიანი საკუჭნაოს დადგმაც. მუშაობის დამთავრების შემდეგ მაგიდა უნდა გავრცელოთ, გავაშროთ და ისევ შევინახოთ.

დანა. საფუტქრის დანა გვჭირდება თაფლიანი ფიჭის უჯრედების სახურავების ასაჭრელად. ციბრუტში ჩადგმამდე თაფლიანი ფიჭის უჯრედებს სახურავი უნდა ავაცალოთ. მუშაობის დროს დანას ცხელ წყალში ვაცხლებდთ. ყოველ მომუშავეს ორი დანა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან როცა ერთ დანას ეხმარობთ, მეორე ცხელ წყალში გვაქვს ჩადებული (სურ. 25). მეორეს რომ ამოვიდებთ, პირველს ჩავდებთ და ასე შემდეგ. ფიჭის თაფლიანი უჯრედების დანით გახსნას ვაწიროებთ ზევიდან ქვევით.

გამოწურული თაფლი უნდა გავწმინდოთ სხვადასხვა მინარევისაგან. ამ მიზნით, თაფლი ისმება დიდი ტევადობის (300—800 კგ) ჰურჭელში, რომელშიაც ჩაკიდებულია ლითონის საცერი. ამ ხაცე-



სურ. 24. ფიჭის ასაჭრელი მაგიდა.



რის საშუალებით ხდება, თაფლის გაწმენდა. თაფლი ჭურჭელში, თავისი წონის მიხედვით ნაწილდება: მძიმე თაფლი ჭურჭლის ფსკოლურა
ზე გროვდება, მსუბუქი კი ზევით დგება. თაფლში შემთხვევით მო-
ავედრილი დამბრჩვალი ფუტკარი, ფუტკრის მატლები და სხვა შე-
ნარევი თაფლის ზედაპირზე გროვდება. ამ უსუფთაობას ვიღებთ,
მცირე საწურში ვაგროვებთ და ოოცა მთლად გამოიწურება, ვახ-
დენთ ჭურჭელში თაფლის დაბარისხებას. სქელ თაფლს ჭურჭლის
ფსკოლის ონკანიდან გამოვუშვებთ, ხოლო თხელს ზემო ონკანი-
დან.

თხელ თაფლს (დაუმწიფებელს) ცალკე ჭურჭელში ვასხამთ და
მზებე ან თბილ ოთახში ვდგამთ, რომ ზედმეტი წყალი აორ-
თქლდეს. კარგია თუ თაფლს ვამჭოლი ქარიც მოსვდება, რადგან მა-
ვის წყლის აორთქლება უფრო დაჩქარდება და 5—6 დღე სრუ-
ლიად საკმარისი იქნება, რომ თაფლი შევინახოთ. თაფლის შესანა-
ხად ქარგია ლითონის ჭურჭელი, მაგრამ შეიძლება ხის ჭურჭელიც
ვიძმაროთ.

ციბრუტის და სხვადასხვა ჭურჭლის ნარეცხი არ უნდა გადავ-

ღებაროთ, ვინაიდან მის-
გან ბევრი სხვადასხვა
სასმელის და მასალის
(არაყი, ძმარი) გაკეთე-
ბა შეიძლება.

თაფლი უნდა შე-
ვინახოთ მშრალ და
გრილ შენობაში, სადაც
ტემპერატურა 5—10°-ს

სურ. 25. დანა ფიჭის უჯრედების სახურავების არ უნდა აღმატებო-
ასაჭრელად.

დეს. თუ თაფლი ნეს-




ტიან ადგილის შევინახეთ, იგი სინესტეს შეიწოვს და ამჟავდება.
ამჟავებული თაფლი დაბალი ხარისხისაა. არც ისეთ შენობაში ვარ-
ვა თაფლის შენახეა, სადაც არასასიამოვნო სუნის მქონე რამ ინა-
ხება.

ფუტკრის ოჯახის გასინჯვა და მისი შემაღებლობის გაცემისა

ფუტკრის ოჯახის გასასინჯად გვჭირდება: საპოლებელი, საფ-
ხევი, პირიბაზე და ჩარჩოების ყუთი. ფუტკრის ოჯახის გასინჯ-
ვის დროს, თეთრი ხალათი უნდა გვეცვას, ამასთან, ფუტკარს ჩვენ-
გან ჰავარი სასმელების (არაყი, ღვინო) სუნი არ უნდა მოხვდეს,

რადგან ასეთი სუნი ფუტკარს აღიზიანებს. ფუტკარის ოჯახის გარეშე სინჯვა უმთავრესად თბილ და წყნარ ამინდში, დღის შუა პერიოდში უნდა ჩავატაროთ, როცა მუშა ფუტკარების, დიდი ნაწილი ლალა-ზე წასული. ოჯახის გასინჯვის დროს სკის გვერდით ვდგებით. თუ საეულზე ფუტკარი დაგვაჯდა, ხელების ქედა (ამ დროს) არ შეიძლება, რადგან ამით ფუტკარი უფრო ღიზიანდება და შეიძლება დაგვნესტროს. დანესტრო-სას ნესტარი ფრჩხილით ან საფ-ხევის მოსმით უნდა ამოვილოთ. სკის სახურავის მოხსნამდე 1—2-ჯერ საბოლებელს ფუტკარის საფ-ხენში შევუბოლებთ, ხოლო სახუ-რავისა და ტილოს ახდისას საჭი-როა ჩარჩოებრ. შებოლებაც, რის შემდეგ შეიძლება დავიწყოთ ოჯა-ხის გასინჯვა. თითაოეული ჩარჩო დიდი სიფრთხილით უნდა ამოვი-ლოთ, რომ ფუტკარი არ გავჭყლი-ტოთ ჩარჩოებზე და სკის კედლებ-ზე. „ქურდობის“ ნიშნების გაჩე-ნის დროს მუშაობა უნდა შევაჩე-როთ. ოჯახის გასინჯვის დაწყე-ბისას დოროებით აცოლებული პირ-ველი ჩარჩო უნდა მოვათავსოთ ჩარჩოების ყუთში. ამოლებული ჩარჩო ხელში ყოველთვის ვერტი-კალურად უნდა დაკიჭიროთ (სურ. 26). დედის აფრენის შემთხვევაში სკასთან უძრავად უნდა ვიდგეთ, სანამ იგი არ დაბრუნდება. ოჯა-ხის გასინჯვის დამთავრების შემ-დეგ, თუ მის სიჯახსალეში მშვი-გვეპარება, ყველა ხელსაწყო-იარალს დეზინტენცია უხდა გავუ-კეთოთ, ხელები საანით დავიბა-ნოთ და სპირტი გადაეივლოთ. ფუტკარის ოჯახი შესდგება:

- 1) ერთი დედა ფუტკარისაგან,
- 2) მზადალი მუშაფუტკარისა და
- 3) მამალი ფუტკარებისაგან. ყველა მათგანი სკაში სხვადასხვა მოვა-



სურ. 26.


- ა) 1-ლი მდგომარეობა.
- ბ) მე-2 მდგომარეობა.
- გ) მე-3 მდგომარეობა.

ლულებას ასრულებს. ფუტკრის ოჯახის არც ერთ წევრს ცალკე
ცხოვრება არ შეუძლია (სურ. 27).



დედა ფუტკარი ღირების უკეთესი სხვა
წევრზე დიდია. მისი სიგრძე 20—25 მმ აღწევს. სხვა წევრებისა-
ზან დედა ფუტკარი განსაკუთრებით მუცლის სიგრძით გაძოირჩე-
ვა (დ. სურ. 27).

დედა ფუტკარი ყოველთვის ერთია ოჯახში, რადგან დედობი
პროცესი არიან განწყობილი ერთმანეთისადმი. მაგრამ არის ზემ-
ან უკეთესი, როდესაც სკაში დროებით ორი დედაც ცხოვრობს. ეს
ასე/პერიოდია, როცა დაბერებულ ან უვარვის დედას ფუტკარები
სცვლიან. ამ დროს ძეელი და ააალი დედის სკაში ერთად ცხოვ-
რება რამდენსამე ღლეს გრძელდება და ბოლოს ოჯახში მაინც ერ-
თი—ახალი დედა რჩება.



სურ. 27. ფუტკრის ოჯახის სამი ინდივიდი:

—დედა ფუტკარი; ბ—მუშა ფუტკარი; გ—მუმალი ფუტკარი.

დედა ფუტკრის მოვალეობას კვერცხის დება და ახალი თა-
ობის შექმნა ზეადგენს. კარგი ხერისას დედას ზაფხულის დღელა-
ზეში 1500-დან 2000 მდე კვერცხის დადება შეუძლია, ხოლო წლის
განმავლობაში მისი კვერცხის დებლობა 150000-დან 200000-მდეც აღ-
წევს.

დედის კვერცხმდებლობა ფუტკრის ოჯახის სიძლიერეზედაც
არის დამოკიდებული ძლიერ და უავსაკვებიან ოჯახში დედა ყო-
ველთვის მეტ კვერცხს დებს, ვიდრე სუსტ იჯახს.

დედა ფუტკარი თავის სიცოცხლეში ერთხელ ნაყოფიერდება.
განაყოფიერება სკის გარეთ ჰაერში ხდება. განაყოფიერების შემ-
დეგ, დედა ფუტკარი იწყებს კვერცხის დებას.

დედა ფუტკარი, ხუთ და მეტ წელს ცოცხლობს, მაგრამ უფ-
რო პროდუქტული ივი 1—2 წელსაა. ორი წლის შემდეგ დედა



ფუტკარი თანდათან უკლებს კვერცხის დებას და ამავე დროს მომზადება სამამლე კვერცხებაც დებს. ამიტომ, დედა ფუტკარი, როგორიც წესი, ყოველ მესამე წელს ახალი დედით უნდა შეიცვალოს. ძველი დედის ახლით შეცვლა ლალიანობის დროს წარმოებს, რადგან ამ დროს გამოყვანილი დედა უკეთესი ხარისხისაა.

მუშა ფუტკარი. მუშა ფუტკარი სკაში და სკის გარეთ ასრულებს შემდეგი სააის სამუშაოებს: მოაქვს მინდვრიდან ყვავილის ხექტარი, ყვავილის მტვერი და წყალი, კვებავს და უვლის ბარტყებს, ასუფთავებს ფიჭის უჯრედებს, იცავს სკაში სისუფთავებს, აწარმოებს აერაციას. გადაამუშაებს ნექტარს თაფლად, აშენებს ფიჭის, დარაჯობს სკას, სკელის უვარების დედას და სავა. ჩამოთვლილი სამუშაოები მუშა ფუტკარებს შორის უმთავრესად ასაკის მოხელვითაა განაწილებული.

ყველა ამ საბაზმაოს შესასრულებლად ფუტკარის ორგანიზმი შესაფერისად არის გეგბული. მაგალითად: ხორთუმით ფუტკარი იღებს ნექტარს, ფეხებით აგროვებს ყვავილის მტვერს, ფრთხებით აწარმოებს აერაციას, ყბის ჯირკვლებიდან გამოიმუშავებს რძის-მაგვარ ნივთიერებას ბარტყის აღსაზრდელად, მულის ქვედა სევ-მენტების საცვილე ჯირკვლებიდან გამოყოფს ცვილს ფიჭის ასაშენებლად, ნესტარით იცავს თავს მტრისაგან და საუ.

ფუტკარს სკაში და სკის გარეთ ბევრი შრომის გაწევა სჭირდება, ამიტომ მისი სიცოცალე მეტად ხანმოკლეა. ზაფასულში გამოჩეკილი მუშა ფუტკარი, რომელსაც ყველა ზემოაღნიშნული სა-მუშაოს შესრულება სჭირდება, დააბლოებით 30—35 დღეს ცოცხლობს, ხოლო ის ფუტკარი, რომელიც ზაფასულის ბოლოს ან შემოდგომაზე დაიბატა და მანდორში და სკაში მუშაობა არ დასჭირებიათ რამდენიმე თვეს ცოცხლობს.

მუშა ფუტკარი სიღიღიც დედალ და მამალ ფუტკარს ჩამორჩება. მისი სიეულის სიგრძე 12—14 მმ არ აღმატება (იხ. სურ. 27).

მუშა ფუტკარის რიცხვი სკაში წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა თუ აკერძო საშუალო სიძლერის ოჯახი, ზაფასულის პერიოდში მისი მუშა ფუტკარების რიცხვი დაახლოებით 35—40 ათასია, შემოდგომაზე—20—30 ათასი, ზამთარში—10—13, ათასი და გაზაფასულის დამდევს—8—10 ათასი.

ძლიერ ოჯახში ზაფასულობით მუშა ფუტკარების რიცხვი 80—100 ათასამდე შეიძლება იყოს.

მუშა და დედა ფუტკარი ძღვდრობითი სქესისაა, მაგრამ მუშა ფუტკარის სასესხო ორგანოები სუსტად არის განვითარებული



და ამიტომ მას არ შეუძლია არც განაყოფიერება და არც ცვერ-
ცხის დება. თუმცა არის შემთხვევები, როცა მუშა ფუტკარი გვერ-
ცხის დებას, საიდანაც მამალი ფუტკარი იბადება. ასეთ მუშა-
ფუტკარს ცრუ დედა ეწოდება.

მამალი ფუტკარი. მამალი ფუტკარის დანიშნულება და ფუტკარის განაყოფიერება. მამალი ფუტკარი სხეულის სიღი-
დით განირჩევა როგორც დედა, ისე მუშა ფუტკარებისაგან. ის დე-
და ფუტკარზე მცირეა და მუშა ფუტკარებზე მეტი. მისი სხეულის-
სიგრძე 15—17 მმ უდრის (იბ. სურ. 27).

მამალი ფუტკარები სკაში სხვადასხვა რაოდენობითაა. ხნიერ-
დედიან ოჯახში ისინი მეტია, ვიდრე ახალგაზრდადედიან ოჯახ-
ში. მაგრამ საერთოდ მათი რაოდენობა 100-დან 5 ათასამდე ით-
ვლება.

მამალი ფუტკარი მუშა ფუტკარზე მეტ ხანს ცოცხლობს. იგი
ცოცხლობს გაზაფაულიდან ზაფაულამდე და ზოგჯერ მეტ ხანსაც.
მაგრამ ღალიანობის შეწყვეტის შემდეგ მუშა ფუტკარები მათ სკი-
დან გარეთ ერეკებიან. იმის შემდევ დარიაჯები მათ სკაში იღარ
უშვებენ და შიმშილისა და სიცივისაგან იღუაებიან.

შამლებს ზამთარში ისეთი ოჯახი დასტოვებს, რომელსაც დე-
და ფუტკარი არ ჰყავს, ან ჰყავს, მაგრამ გაუხაყოფიერებელია, ან
კიდევ ისეთი ოჯახი, რომელსაც ცრუ დედა ჰყავს.

ოჯახში ბევრი მამლების გაჩერება საზიანოა, ვინაიდან ისინი ა-
რაფერს აკეთებენ და საკვებს კა მუშა ფუტკარებთან შედარებით
მეტს. ხარჯავენ. ამიტომ მეუტკარე ყოველთვის ებრძევის სკაში ბევ-
რი მამლების დატოვებას. ბრძოლის მთავარ საშუალებად მეფუტ-
კარე იყენებს ხელოვნურ ფიჭას, ინიერი დედის ადალი დედით შეც-
ვლას, ბევრი სამამლე უჯრედებიანი ფიჭის გამოცვლის და სხვა.

მამლ ფუტკარს არა აქვა თავდაცვის, ორგანო—ე. წ. ნესტა-
რი და, მაშესადმე, თავის დაცვაც არ შეუძლია.

მამალ ფუტკარს ფუტკარის ყველა ოჯახში შეუძლია შესვლა
და საკვების აღება, მაშინ როდესაც ფუტკარის ერთი ოჯახის მუ-
შა ფუტკარი მეორე ოჯახის მუშა ფუტკარს სკაში არ უშებს.

ფუტკარის სხეულის გარეგანი აგებულება

მიუხედავად იმისა, რომ დედა ფუტკარი, მუშა და მამალი
ფუტკარი მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც
ზომით, ისე ფორმითაც, სხეულის ორგანოების აგებულებით ისინი
მაინც ერთნაირი არიან და თუ განირჩევიან, მაოლოდ რამდენადმე-

ფუტკრის სხეული სამ ნაწილად იყოფა: თავი, მკერდი და მუცელი. თავი დაგრი ქიტინისაგან შესდგება, რომელ შემთხვევაში მოთავსებულია: თვალები, ულვაშები და პირი (სურ. 28).

თვალი. ფუტკარს


თვალი ხუთი აქვს. ორი რთული და სამი მარტივი.

დედა, მუშა და მამალ ფუტკრებს თვალები სიდიდის და განლაგების მიზივ სავადასხეანაირია აქვთ დედა ფუტკრის რთული თვალები მამალი ფუტკრის თვალებსე უფრო პატარაა და მარტივი თვალები კეფაზე აქვს მოთავსებული. მუშა ფუტკრის რთული თვალები დედა ფუტკრის თვალებსე უფრო პატარაა და მარტივი თვალები უფრო კეფაზე აქვს განლაგებული, ვიდრე დედა ფუტკარს. მამალი ფუტკრის რთული თვალები იმდენად დიდია, რომ ისინი თოთქმის შეერთებული არიან კეფასთან, ხოლო მარტივი თვალები შებლზეა მოთავსებული (სურ. 29).

ფრენის ღროს ფუტკარი ჰი ჰაერში რთული თვალებით იღიან ილებს ორი გრძელიას და კარგად ხდიას როგორც მოძრავი, ისე უძრავი საგნების ფორმას, ხოლო მარტივი თვალებით იძლო მდგომ საგნებს არჩევს.

ულვაში. ფუტკარს ორი ულვაში აქვს შებლზე. ულვაშებზე ფუტკარს ყნოსვისა და შეხების ორგანოები აქვს განვითარებული. ულვაშების ზედაპირი დაფარულია სასუნთქი ფორებით და ნერვული ტოტებით (იხ. სურ. 29). იმიტომ თაფლოვანი მცენარის ძებნის ღროს ფუტკარი არა მარტო თვალს იყენებს, არამედ ნექტარის სუნითაც გაძოიცხობს მას. ულვაშებზე მოთავსებული სასუნთქი ფორების საბუალებით ფუტკარი სცნობს სივაოჯასის ფუტკარს.

აირი. ფუტკარს პირი თავის ქვედა ნაწილში აქვს მოთავ-



სურ. 28. ფუტკრის სხეული

ა—თავი; 3—ულვაშები; 4—ხედა ტუჩი; 5—ზფდა ყბა; 6—ხორითუმი; 8—მკერდი; 7—წინამკერდი; 8—შუამკერდი ი 9—უკანამკერდი; 10—წინა ფრთა; 11—უკანა ფრთა; 12—წინა ფეხი; 13—შუა ფეხი; 14—უკანა ფეხი; I—ბარკალი; II—მენჯი; III—ბარბაკი, IV—კანჭი, V—თათი V_1 — V_2 — V_3 — V_4 —თათის ნაწილები;


8—შუალედური სეგმენტი, 8—მუცელი, 15—20—მუცლის ნაწილები:

ა—ზურგის ნახვარრგოლები (ტრენგიტები), ბ—მუცლის ნახვარრგოლები (სტრერმიტები).

3. მეფუტკრების პრაქტიკული,

სებული. ფუტკრის პირს შეადგენს: ზედა ტუჩი, წყვილი ზედა ყბა / და ხორთუმი (იბ. სურ. 29). ზედა ყბის საშუალებით ფუტკრის ლინის უჯრედის საბურავს, აშენებს ფიჭას, ასუთავებს უჯრე-დებს, სკას და სხვა. ხორთუმის საშუალებით იგი ყვავილის ხექტაოს იღებს.

თავი. თავის მიხედვით ფუტკრები განსხვავდებიან ერთმე-ორისაგან. მუშა ფუტკრის თავი სამკუთხედს მოგვაგონება, დედა



სურ. 29. ა—დედა ფუტკრის თავი, ბ—მუშა ფუტკრის და გ—მა-მალი ფუტკრის. 1—უბრალო სველები, 2—ოთული თვალები, 3—ულვაშები, 4—ზედა ტუჩი, 5—ზედა ყბა, 6—ხორთუმი.

ფუტკრისა—ოფნავ მოძრვალოა. მოლო მამალი ფუტკრის თავი მრგვალია (იბ. სურ. 29).

მკერდი. ფუტკრის მკერდა სამი ნაწილისაგან შესდგება: წინა, შუა და უკანა ძეგლდი (ის სურ. 28). მკერდზე ფუტკრის მო-თავისებული აქვს ორი წევილი ფრთა. წინა წყვილი ფრთა დაცია უკანა წყვილზე. ფუტკრის ფრთის დრის ფრთა ერთმანეთს გადა-ებმება კაუჭების საშუალებით. კაუჭები მოთაქსებულია წინა ფრთის შიარეს.

ფუტკარს ძეგლდის ძეგლა მარტეს ძრმაგრებული აქვს სამი წყვილი ფეიი: წინა მკერდზე ერთი წყვილი, შუა და უკანა ძეგლდზე—თითო წყვილი.

ფეხები ფუტკრისათვის დასაყიდენს და მოძრაობის ორგანოს წარმოადგენს. ამის გამდა, ფეხები უფრო ფუტკარი მრავალ სავარაუდო სამუშაოსაც ასრულებს, ძაგ., სუელს ისუთავებს, ყვაერლის იტევერს ეზიდება და სხვ.

მუცელი. მუცელის მოყდარელობითაც ფუტკრის ოჯააის

შევრები განიჩევიან ერთმანეთისაგან. დედა ფუტკარს მუცელი ვრძელი აქვს, მუშას—ევერცისებრი და მამალს—ძომრგვალებრი (იბ. სურ. 27).

ფუტკრის მუცელი შესდგება რგოლებისაგან. მუშა და დედა ფუტკრის მუცელი უქვერგოლიანია, ხოლო მამლისა—შეიძრგოლიანი. თვითეული რგოლი ოთი ნახევრისაგან შესდგება: ერთი ნახევარი, უფრო დიდი,—ზურგისაა, ხოლო მეორე ნახევარი, უფრო მცირე,—მუცელისა. რგოლები ერთშანერთზე კრამიტის მსგავსადაა მაწყობილი და ერთიმეორესთან შეერთებულია ქიტინის თხელი აპკით. ეს ააკი ფუტკარს მუცელის ზეკუმშვა გაფართოების საშუალებას აძლევს.

მუშა ფუტკრის მუცელის უკანასკნელ ოთხ რგოლზე ქვემოდან საცილე ჯირკვლებია მოთავსებული. ყოველ ნახევარ რგოლზე ორი ჯირკვლია. ააკისმაგვარ გარშვირვალე ფირტიტების ანუ, როგორც უწიდებენ, საცილე სარკების ქვეშ ფუტკარს აქვს ცვილის გამოყოფი ჯირკვლები. ეს ჯირკვლები უჯრედების საშუალებით გამოყოფენ ცვილს სარკისებრ ზედააირზე.

ფუტკრის სხეულის შინაგანი ორგანოები

ფუტკრის სხეულის შინაგანი ორგანოების უმთავრესი ნაწილი საკვებ ხიფთიერებათა ცვლის აროცებს ემსაბურება. ნევთიერებათა ცვლის აროცები ფუტკრის ორგანიზმის შიგნით იწყება. ფუტკრის შინაგანი ორგანოები მიღებულ საკვებ ნევთიერების გადაიმუშავება, შესათვისებელს შეითვესებს და უცარგის გარეთ გამოყოფს. ნივთერებათა გადამუშავების არაცესი მეტად რთული პროცესია და მასით მონაწილეობას იღებს ფუტკრის ორგანიზმის ბევრი სავადასოვა ორგანო.

ფუტკრის საკვების მომნელებელ ორგანოებს ეკუთვნის: პირი, მისი ნაწილებით, სანერწყვე ჯირკვლები და საკვების მომნელებელი ხერედი.

პირის ნაწილებია: ზედატუჩი, წყვილი ზედა ყბა და ხორთუმი. ხორთუმის ნაწილებია ენა და კოვზი (სურ. 30). პირის ნაწილები ყველა ფუტკარს ერთნაირი აქვს.

ზედატუჩი — მოძრავი ფიტრტია და პირის ღრუს ფარავს. ზედატუჩის მოპირდაპირე გვერდზე მიძაგრებულია წყვილი ზედა ყბა. ზედა ყბას კარგად განვითარებული კუნთები აქვს და გაოდიგარდო მოძრაობს. ზედა ყბები ყველაზე უფრო მუშა ფუტ-

ქარს და დედა ფუტკარს აქვს განვითარებული. ყბების საშუალების მით დედა ფუტკარი სადედო უჯრედის სახურავს ლრნის ფუტკარის დიდან გამოსვლის დროს, სოლო მეშა ფუტკარი ყბებით ფიჭის თავგადაბეჭდილ თაფლიან უჯრედებს სახურავს აცლის, გააქვს სკა-დან სხვადასხვა ნაგავი, ფიჭის შენების დროს ცვილს ლეჭის და არბილებს, ილებს მცენარეებიდან ღინდგელას (წებოს), ზლის გაუზ-


ღელ ყვავილს და სხვ.

ხორთუმით ფუტ-კარი სივადასხვა თე-ვად საკვებ ნივთიერებას ილებს. ხორთუმი თრი ნაწილისაგან ზე-დგება:

- 1) ქვედა ყბები და
- 2) ქვედა ტუჩი.

ტუჩი შესდგება ნიკაპის დასაწყისთან მდებარე სამუჟთხოვანი ნაწილისაგან. ნიკაპისა-გან, ენისაგან და საც-ცებისაგან. ენა ბოლოვ-დება კოვენით. ხორთუ-მის ნაწილები შეერთე-ბის დროს ქმნის ვიწ-რო მილს, რომლის სა-შუალებით ზეიწოვე-ბა ყვავილის თევადი ტუ-რი წვენი. ფუტ-კარს ხორთუმი თავი-სულალ დროს თავქვეშ-იქს შეკეცილი.

ხორთუმის მილს შეუძლია გათაროთოებაც და ცეკიწონოებაც. თუ



სურ. 30. ფუტკარის პირის ნაწილები:

ა—ზედა ტუჩი, ბ—ქვედა ყბები, გ— ხორთუმის ნაწი-ლები, დ—ენა, კ—კოვზი.

ნექტარი სქელია, მაშინ იგი ფრთოვდება და აირიქით ფუტკარის ცხოვრებაზე უზიდეს მნიშვენელობა აქვს ხორთუ-მის სიგრძეს. რაც უფრო გრძელია მორთუმი, მით მეტი ნექტარის ამოლება შეუძლია ფუტკარს აყვალის ლრმა სანექტრილი. ამ მარივ ჩვენი—ქართული მთის რუსი ფუტკარი დიდად განსავალება სავა-

ფუტკრის ჯიშებისაგან. ქართული ოუბი ფუტკრის ხორთუმის სიგრძე 7,25—8,2 მმ და სეტსაც აღწევს, ხოლო ოუსეთის ფუტკრის ხორთუმის საშუალო სიგრძე 6,28 მმ არ აღმატება. მამალი და დედა ფუტკარის ხორთუმის სიგრძე უფრო მცირეა, იგი 4—3,5 მმ უდის, ამიტომ ისინი ყვავილიდან ნექტარს ვერ იღებენ.

სანერტყვე ჯირ-
კვლები—ფუტკარის ეძარებ-
ბა საჭმელის შონელებაში.
ქვედა ტუჩის და ხახის ჯირ-
კვლები (საყლაბავი მილი)
ფუტკარს ხელს უწყობს მი-
ლებული საკვების მონელება-
შეთვისებაში, ხოლო ზედა
ყბის ჯირკვლები გამოიმუშა-
ვებს—რიცხვმაგვარ ნივთიერე-
ბას ბარტყის გამისაკვებად.

საყლაბავი მილის ჯირ-
კვლები მარტო მუშა ფუტ-
კრებს აქვთ განვითარებუ-
ლო. ამ ჯირკვლებიდან გამო-
ყოფილი ნივთიერებით ფუტ-
კარი ნექტარს თაფლად და
მტევრს ჭეოდ გარდიქმინის.

საჭმლის შომიელებელი
ხერელის დანიშნულებაა: მი-
ლოს საკვები, გადაამუშაოს
ის და შეითვისოს ფუტკრი-
სათვის გამოსაღევი ნივთი-
ერება.

ფუტკრის საჭმლის მომ-
ნელებელი ხერელი სამ ნაწილად
იყოფა: 1) წინა ნაწლავი,
2) შუასაწლავი და 3) უკა-
ნა ნაწლავი (სურ. 31).

ფუტკრის წინა ნაწლავის დანიშნულებას შეადგენს საქ-
ვების მიღება და დროებით შენახვა, შუა ნაწლავისა—საკვების გა-
დამუშავება და შეთვისება, ხოლო უკანა ნაწლავისა—საკვებიდან
დარჩენილი გადაუმუშავებელი უვარვისი ნივთიერების გარეთ გა-
მოყოფა.

წინა ნაწლავი ფუტკრის ხახიდან იწყება და აქვედან მკერდში
შედის, მკერდიდან ის მუცლის დასაწყისამდე მიღის, სადაც ფარ-



სურ. 31. ფუტკრის კუჭნაწლავი.

წინა ნაწლავი: 1—ხახა, 2—საყლაბავი მილი
3—სათაფლე ჩიჩახვი. უკანა ნაწლავი: 4—ჰეა
ნაწლავი, 5—წვრილი ნაწლავი, 6—მსხვილი
ნაწლავი, 7—მალპიგიის მილები.



თოვდება და სათაფლე ჩიჩახეს ქმნის (იბ. სურ. 31). სათაფლე ჩიჩახე
ჩახვში ფუტკარი დროებით ნექტარს აგროვებს და სკაში მოწარებს.
მცე ინახავს. სათაფლე ჩიჩახვი ჭიმვადია და შეიძლება მისი მოცუ-
ლობა 18 კუბ. მმ-დეც გაიზარდოს.

სათაფლე ჩიჩახვში სარქველია, რომლის საშუალებით იგი შუა
ნაწლავს უერთდება. სარქველი ვიწრო მიღს წარმოადგენს და მი-
სი თავი ოთხი ტუჩით იხურება. ტუჩი სათაფლე ჩიჩახვშია მოთავ-
სებული და საჭიროების დროს იღება და იაურება. ჭამის დროს
სარქველი იღება, სათაფლე ჩიჩახვი იჯუმშება და საკვები შუა ნაწ-
ლავში გადადის. სარქველის ტუჩები ემსახურება აგრეთვე ნექტარ-
ში შეყოლილი ყვავილის მტვერის დაჭირას და შუა ნაწლავში გაშ-
ვებას. წინა ნაწლავის შიგნითა კედელი დანაოჭებულია, იგი საჭი-
როების დროს იჯუმშება და ფართოვდება.

შუა - ნაწლავი ბდება საკვების მონელება და შეთვისება. შუა ნაწლავი ძლიერ დანაოჭებულია და ბუთი ფენისაგან შესდგე-
ბა. კუნთების საშუალებით იგი საჭმელს წინ და უკან ამოძრავებს
და ჭიდების უჯრედებიდან გამოყოფილი წევნით ააღდნას საჭმლის
მონელება-შეთვისებას (იბ. სურ. 31) შუა-ნაწლავი უკანა ნაწლავს
უერთდება.

უკანა ნაწლავი ორ ნაწილად იყოფა: მსხვილ და წერილ
ნაწლავებიდ (იბ. სურ. 31) მოუწელებელი და იუთვისებელი უვარ-
გისი ხაწილაკები ზუა ნაწლავიდან მსხვილ ნაწლავზე გადადას.

შუა და უკანა ნაწლავის შეერთების ადგილას მაღლაკი ის
წერილი მიღებია. მაღლაკის მიღები ფუტკარს 80-დან 100-მდე
აქვს (იბ. სურ. 31). მაღლაკის მიღები იწოვს სასტლიდან ორგანიზ-
მისათვის მავნებელ ნივთიერებას.


უნდა აღიხიშნოს, რომ მსხვილ ნაწლავს შეუძლია ძლიერ გა-
ფართოება და ზეკუმშვა. ამიტომ მასში შოთავსებული უვარგისი
ნივთიერება ზოგჯერ თვით ფუტკრის წონასაც უდინოს. ეს გარე-
მოება დიდ როლს ასრულებს ფუტკრის გაზიმოთრების დროს, რად-
გან რიგ შემთავევაში ფუტკარი 2-3 თვეს და ზოგჯერ მეტ ზან-
საც სკიდან გარეთ ვერ გამოდის და კუჭს ვერ ითავისუფლებს.
ამიტომ უვარგისი ნივთიერება მსხვილ ნაწლავში გროვდება და მა-
ნამ რჩება იქ, სანამ ფუტკარს გარეთ გამოფრინის საშუალება არ
ჟენება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ზამთრის არანორმალური
პირობების დროს (ცუდი საკვები, დაბალი ან მაღალი ტემპერატუ-
რა და სხვა) ფუტკრის უკანა ნაწლავი იმდენად გადაიტვირთება,
რომ მას აღარ შეუძლია დაგროვილი ექსკრეძენტების გამოძლევ-
ბამდე შევევება. ამიტომ რჩის, რომ ფუტკარს ზოგჯერ ზამთარში
ფაღარათი ემართება.

მსხვილ ნაწლავს კიდევ გარეთა მარეს ექვსი ჯირკვალი ჩის-



დექს, რომელსაც რეჭტიალურ ჯირკვლებს უწოდებენ. არაუგან
ტილური ჯირკვლების დანიშნულება ჯერ კიდევ ზუსტია არ მობის
შეაწივლილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს ჯირკვლები გამოყოფენ
ისეთ ნივთიერებას, რომელიც ხელს უშლის ნაწლავში დაგროვილი
მასის დუღილს და ლპობას.

ფუტკრის სისხლი ფუტკრის სისხლი უფერულია და
იგი მთლიანად აქსებს მის სხეულს. სისხლის მოძრაობის მხრივ
ფუტკარი განსხვავდება როგორც ადამიანის, ისე ხერხემლიანი
ცაოველებისაგან. ხერხემლიანებში სისხლი მოძრაობს სისხლის
ძარღვებით, თაღო ფუტკრის სისალი მოძრაობს ერთი სისხლაბრ-
ღვის საწუალებით, რომელიც ამავე დროს ფუტკრის გულს წარმო-
ადგენს (სურ. 32). ფუტკრის გული გრძელი მილია, რომელსაც
ერთი თავი დახურული, ხოლო მეორე ლია აქვს. გრძელი მილი მო-
თავსებულია ზურგის შიგნითა მთარეს და მეცლიდან დაწყებული
თავამდე ფუტკრის სხეულს მთელ სიგრძეზე გასდევს.



სურ. 32. ფუტკრის გული. ისრით ნაჩვენებია სისხლის მოძრაობა
ფუტკრის თორგანისმში: 1-5 — გულის კარ्डიო ბ₁-ბ₂ — დიაფრაგმები

ფუტკრის გული (ანუ მილი) წესდეგება ხუთი კამერისაგან.
თვითოული კამერა ორ სარქველს შეიცავს. სარქველები სისალს
კამერებში უშევებენ. სისალი მოძრაობს ფრთისმაგვარი კუნთების
საშუალებით. როდესაც კუსთები შეიკუმშება სისალი სარქველების
საშუალებით კამერაში შედის, ხოლო, როცა გაიშლება, სისალი ერთი
კამერიდან მეორე კამერაში გადადის და ასე მიემართება მუცლი-
დან მკერდში და შეძლება თაქში.

ფრთისმაგვარი კუნთები მიმაგრებულია გულთან და ზურგის
ნახევარრგოლებზე შიგნიდან.




იქ, სადაც სისხლის მილი მუცლიდან მკერდში გადადის და კლავნილია და ფუტკარს მოძრაობას უადვილებს. ამ მილზე—მეტობა თრე ნაწილს აორტა ქვია. აორტიდან სისხლი თავში შედის, კვლავ გვერდში ბრუნდება და აქედან ბუცელში შიდის.

სისხლის სწორ მოძრაობას ხელს უწყობს აგრეთვე ფუტკრის ბუცელში სიგრძეზე მოთავსებული ორი დიაფრაგმა. ერთი დიაფრაგმა მოთავსებულია საჭმელის მომნელებელ ღრუსა და გულს შორის, ხოლო მეორე—მუცლის კედლებსა და საჭმლის მომნელებელ ღრუს შორის (იხ. სურ. 32).

სისხლიდან ფუტკარი იღებს მისთვის საჭირო ნივთიერებებს და სისხლის საშუალებით თავიდან იშორებს მავნებელ ნივთიერებებსაც, რომლებიც მაღალი მილების დახმარებით გარეთ გამოიყოფან.

ხელოვნური ფიჭის ჩარჩოში ჩავვრა

ჩარჩოიანი სკის გამოგონებას მოყვა ხელოვნური ფიჭის შექმნა. საფუტკრეში მიღებული ცვილის 80% ხელოვნური ფიჭის დამზადებას ხმარდება. ორგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ხელოვნურ ფიჭას იდამიანი აქეთებს. ხელოვნური ფიჭა თხელი ფურცელია, რომლის ორივე მაარეზე თანმიმდევრობით განლაგებულია სამუშე ფუტკრის ექვსკუთხიანი უჯრედების ფუძეები (სურ. 33). თვითეული ხელოვნური ფიჭა სამუშე უჯრედების დახლოებით, 9 ათასამდე ფუძეს შეიცავს. ხელოვნური ფიჭა იხმარება უფარვისი ფიტების შესაცვლელად და ბუდის გასაფართოებლად. ხელოვნური ფიჭის მნიშვნელობა შემდეგია:



სურ. 33 ხელოვნური ფიჭა.

1. იგი უადვილებს ფუტკრებს
2. ხელს უწყობს ოჯახის სწრაფ განვითარებას,
3. გვაძლევს თაფლის მეტ რაოდენობას,
4. ამცირებს სკაზი მამლების გამრავლებას,


5. ადიდებს ცვილის პროდუქციას.

ხელოვნური ფიჭის ფურცელზე აშენებული ფიჭი უფრო გარია, რადგან იგი ჩარჩოში მავთულებზეა დამაგრებული და სხვა.

ხელოვნური ფიჭის სუფთა ცვილისაგან მზადდება. არსებობს ხელოვნურ ფიჭის დამამზადებელი ქარხნები. ამ ქარხნებში დადგმულია სპეციალური ვიდის მანქანა.

ხელოვნური ფიჭის ჩარჩოში ჩასაკრავად საჭიროა შემდეგი ხელსაწყოები: მავთული, სადგისი, ფიცარი, საგორავი და დეზი.


მავთული. მავთული ჩარჩოში უნდა გავჭიმოთ. უმავთულოდ ჩარჩოში ფიჭის დამაგრება ძნელია და თანაც ფიჭა უამისოდ ადგილად ჩამოიხევა. ისმარება სპეციალური წვრილი მავთული. მავთული ჩარჩოში ჰორიზონტალურად უნდა გავჭიმოთ.



სურ. 34. ჩარჩოების გვერდის თამასებზე ნახვრეტის გაქვთება: 1 სჭირო ნახვრეტის გაქვთება, 2—ირიბი ნახვრეტის გაქვთება.

ყალიბი ჩარჩოს გვერდის თამასაზე მავთულის თანაბარი დაშორებისათვის იხმარება. ყალიბის აკეთებენ როგორც რკინისაგან, ისე დადან-ბლატის ჩარჩოს გვერდის თამასისგანაც. ყალიბი გახვრეტილია 4—5 ადგილას. ყალიბის ვაღებთ ჩარჩოს შიგნიდან თამასაზე და ყველა გახვრეტილ ადგილას სადგისით გხვრეტავთ ჩარჩოს გვერდის თამასას (სურ. 34). ამის გარდა, მავთულის პოლოვების დასამაგრებლად კიდევ დამატებით გხვრეტავთ თამასას ორ ადგილას მარჯვნივ ან მარცხენა თამასის ქვედა და ზედა უკანასკნელ ნახვრეტებთან. როცა ასე გავამზადებთ ჩარჩოს, შევუდგებით მავთულის გაბმას. ჯერ თამასის გარეთა შერიდან მავთულს გავუყრით მარჯვენა თამასის ქვედა ნახვრეტში და გავატარებთ მის მობირდაბირე მეორე თამასის ნახვრეტში და ა. შ. როდესაც მავთულს

ქველა ნახტომებში ასე გავატარებთ, ვიწყებთ მის გაჭიმვას. პარენტული
ლად მავთულის ზედა ბოლოს ყერით ირიბ ნახტომებში გაოდან
ზიგნით ოადენჯერძე შემოვაავერეთ გრძელ მავთულზე. ზედა ბო-
ლოს დამაგრების შემდეგ, ვიწყებთ მავთულის დაჭიმვას ზევიდან
ქვევით თანმიმდევრობით და, ბოლოს, ქვევითაც ვაძაგრებთ მავ-
თულის თავს ისე როგორც ზევით. მავთული ძლიერ არ უნდა გაფ-
ჭიმოთ, რადგან ეს გამოიჭვევს თამასების ჩაჭრას და, ბოლოს,



სურ. 35. ჩარჩოს ზედა თამასაზე ხელოვნური ფიჭის მიწებება:
1—საჭორავით, 2—ელაკით.

თვით მავთულის მოშვებასც. ამიტომ იგი საშუალოდ უნდა დარ-
ჭიმოს.


ფიცარი. ფიცარი (მრუდთარგი) ხელოვნური ფიჭის ჩარ-
ჩოში ჩასაჭრავად იხმარება. ფიცარი სიგრძით 412 მმ-ს, სიგანით



265 მმ და სისქით 12 მმ-ს ულრის. მას ქვედა მხარეზე მიუწყდო
აქვს ორი თამასა, რომელთა ბოლოები 16—17 მმ ით გადასცდება
ფიცარს. თამასების გამოშვერილ ერთ მხარეს ჩარჩოს ზედა თამა-
სას დავდებთ, ხოლო მეორე მხარეს—ჩარჩოს ქვედა თამასას. ფიცა-
რი ჩარჩოში ისეა მოთავსებული, რომ მის ზედაპირს თავისულად
ედება გაჭიმული მავთული. ფიცარი სწორი და კარვი გაშალაშინე-
ბული უნდა იყოს.

საგორავი. საგორავი საჭიროა ფიჭის ჩარჩოს ზედა თ-
მასაზე მისაკრივიდ. ხელოვნური ფიჭის ერთ ბოლოს დავადებთ
ჩარჩოს ზედა თამასას გასწურივ. ჩარჩო ამ დროს ვერტიკალურ
მდგომარეობაში უნდა გვქონდეს ისე, რომ მისი ქვედა თამასა მო-
ექცეს ზეეთ, ხოლო ზედა—ქვეეთ. ხელოვნური ფიჭი ამ დროს
ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დევს. როცა ფიჭის ბოლოს ასე
დავადებთ ჩარჩოს ზედა თამასაზე, მაშინ ფიჭაზე გავატარებთ ოდ-
ნავ გაცემულებულ საგორავს (სურ. 35). საგორავს ვაცაელებთ ცე-
ცხლზი ან ცელ წყალში. არ შეიძლება საგორავის ძლიერ გაცემ-
ლება, რადგან ამ ცემთვევაში იგი ფიჭის უცბად გააღნობს და ეს
უკანასკნელი ჩარჩოს აღარ შეიწებება. საგორავის გატარების შემ-
დევ ნახევარი წუთს დავიცდით, რომ ფიჭი გაცავდეს და მაგრად
მიექრას თანასას. ამის შემდევ ჩარჩოს დავწეროთ ფიცარზე. ისე,
რომ ხელოვნური ფიჭი მ.ი.ექცეს გაბმული მავთულის ქვეშ.

დეზი. დეზით მავთულს კაშებებთ ფიჭაზე. დეზიც იმ წე-
სით და იმგვარად უნდა გაფაცხელოთ, როგორც საგორავი. რის-



სურ. 36. დეზი. დეზით მავთულის ჩაშებება ფიჭაზე.


შემდევ მას მორიგეობათ გავატარებოთ ყველა მავთულზე. ასე, ბო-
ლოს, ფიჭი ჩაკრული იქნება ჩარჩოში (სურ. 36). აქაც საჭიროა
ნახევარი წუთის დაცდა მავთულზე ფიჭის მიმაგრებისათვის. ფიჭის
ჩაკვრის წის ფიცარი კაოგად უნდა დავასცელოთ, თორემ ცვილი
მას მიეკვრის და ჩარჩოს აღების დროს ფიჭი მავთულს მოშორდება.

საეუქნაოს ჩარჩოში ხელოვნური ფიჭის ჩაქრი იმავე ხელისთვის ადება, როგორც ბუდის ჩარჩოში, ოღონდ ამ შემთხვევაში ფართის სიგანე შემცირებულია ჩარჩოს ზომის მიხედვით.

მართალია, ფიჭის დამამზადებელი ქარხანა ფიჭას სტანდარტულ ზომაზე სჭრის, მაგრამ მას მაინც ესაჭიროება ჩარჩოს წესივრი მორგება და ზედმეტი ნაწილის ჩამოჭრა. ჩარჩოში ჩაკრული ხელოვნური ფიჭის გვერდები არ უნდა ეცებოდეს ჩარჩოს თამასებს, თორებ სკაში ჩადგმის შემდეგ იგი ერთ რომელსამე ძარეს გაიღუნება და ფუტკარი ზედ არასწორ ჯჯრედებს ააშენებს.

დედა ფუტკრის და მამალი ფუტკრის სასქესო ორგანოები

დედა ფუტკრის სასქესო ორგანოები მოთავსებულია მუცელში და შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან:



სურ. 37. დედა ფუტკრის სასქესო ორგანოები:
1—საკვერცხები, 2—წყვილი კვერცხგამტარი
3—ჰნტი კვერცხგამტარი, 4—თესლომლები,
5—თესლომლების ჯირკვალი, გასანაყოფი—
ჰებელი ჯირკვლები.

- 1) წყვილი საკვერცხები,
- 2) წყვილი კვერცხგამტარი მილი,
- 3) ჰნტი კვერცხგამტარი მილი,
- 4) თესლის მიმღები,
- 5) სათესლე ბუშტის ჯირკვალი და
- 6) გასანაყოფიერებელი ჯირკვლები (სურ. 37).

დედა ფუტკრის საკვერცხები იმდენად დიდია, რომ ძლივს ეტევა მუცელში. ამიტომ საკვერცხებს ორივე თავი მოხრილი აქვს. თვითეულ საკვერცხეში 100 დან 200 მდე საკვერცხე მილია. საკვერცხე მილებში კვერცხები ვითარდება. საკვერცხე მილების დასაწყისში ბევრი საკვერცხე უჯრედია. ეს უჯრედები პირველად ჩანასახ მდგომარეობაშია, ხოლო შემ-

დეგ თანდათანობით იზრდება, მწიფდება და მიდის წყვილ კვერც-

გამტარ მილში. კვერცხგამტარი მილიდან იგი კენტ კვერცხგამტარი
მილს გაივლის და ბოლოს კვერცხი გარეთ გამოვა.

სარიცხული
სამართლებრივი


მომწიფებული კვერცი წყვილი კვერცხგამტარი მილიდან გა-
იღლის საერთაშორისოდებით სავსე სათესლე ბუშტოან. ამ დროს სა-
თესლე ბუშტოდან სპერმატოზოიდების წვეთი გამოდის და კვერც-
ხი ნაყოფიერდება. სათესლე ბუშტი სპერმატოზოიდებს ლებულობს
დედა ფუტკრის განაყოფიერების შედეგად. სათესლე ბუშტი მრგვა-
ლი ფორმისაა და დ.ფარულია ტრაქეებით. არის ისეთი შემთხვე-
ვებიც, როცა მომწიფებული კვერცი ისე გაივლის სათესლე ბუშტ-
ტოან, რომ მას საერთაშორისოდის წვეთი არ მოვდება და კვერ-
ცხი გაუნაყოფიერებელი რჩება. როგორც განაყოფიერებული, ისე
გაუნაყოფიერებელი კვერციდან ფუტკარი ვითარდება, მაგრამ გა-
ნაყოფიერებული კვერციდან გამოდის დედა ან მუშა ფუტკარი,
ზოლო გაუნაყოფიერებლიდან—მამალი ფუტკარი. გაუნაყოფიერე-
ბელი კვერციდან ინდივიდის მიღებას ქალწულებრივი გამოავლე-
ბა ანუ პარტენოგენეზის ეჭოდება.

დასრულებული კვერცხის სიგრძე 1,3—1,5 მმ უდრის. იგი
ოდნავ მოარილია და თეთრი ფერისაა. მისი დანახვა ზეუიარალე-
ბელი თვალითაც შეძლება. კვერცხი დაფარულია თხელი გარსით.
კვერცხის წინ მოთავსებულია ბირთვი და ნახერეტი—მიკროპი-
ლე. მიკროპილეში საერმატოზოიდი წედის. საერმატოზოიდი
ძალივით წვრილია და მისი დანახვა მიოლოდ მიკროსკოპით შეიძ-
ლება.

დედა ფუტკრის კვერცხმდებლობა საკვერცხე მიღების რაო-
დენობაზეა დამოკიდებული. რაც მეტია ორცვე საკვერცხეში საკ-
ვერცხე მიღები, მით წეტია დედა ფუტკრის კვერცუდებლობა.

მუშა ფუტკრის სასქესო ორგაზოები. როგორც
დედა, ისე მუშა ფუტკრებიც მდედრობითი სქესისაა, ამიტომ მათი
სასქესო ორგებოები ერთი და იმავე ნაწილებისაგან ზესდეგება,
განსხვავება მაოლოდ იჭრია, რომ მუშა ფუტკრეს სასქესო ორგა-
ზოები განუვთარებელია და ჩანასასის მდგომარეობაშია, რის გა-
მო ფუტკრის შუცელში მათი ნაავა მეტად ძელია. მუშა ფუტკრის
საკვერცხები იმდენად პატიოა. რომ ისინი 20-მდე მილს ზერცა-
ვენ (იბ. სურ. 37). საკვერცხე მიღებში კვერცუჯრედები ჩანასა-
სის მდგომარეობაშია, რის გამოც ჟუშა ფუტკარი არ განაყოფიერ-
დები და ჩვეულებრივ არ ისტორუს სდება. მაგრამ არც შემ-
თხვევები, როცა მუშა ფუტკარიც ინკებს კვერცხის დებას. საქმე
ისაა, რომ, როცა ჯავას ჯდა დაეკარგება და ჟუშა ფუტკრებს არა
იქვთ საცუალება სამაგიერო დედა გამოიყვაოს, მ. შეს მუშა ფუტ-
კრების ნაწილი მუშობის თავს ანგებს და იწებს გაძლიერებულ

კვების. გაძლიერებული კვების შედეგად მუშა ფუტკრებს შევ-
თარდებათ საკვერცხები და იწყებენ გაუხაყოფერებელი მუშა და მუშა
ცხის დებას, ვინაიდან განაციფირება მათ ამ ცემთხვევაშიც არ
შეუძლიათ; გაუხაყოფირებელი კვერცხიდან მამალი ფუტკარი იბა-
დება. ასეთ კვერცხმდებელ მუშა ფუტკარს ცრუ დედას უწოდებენ. ცრუ დედას ოჯახს სწრაფად უძღავ დავეხმაროთ,
თორემ მამლების თანადათანობით გამზავლებისა და მუშა ფუტკრის
შემცირების გამო ოჯახი დაიღუპება.



სურ. 38. მამალი ფუტკრის სასქესო ორგანოები:
1—წყვილი სათესლე; 2—წყვილი თესლგამტარი მი-
ლი, 3—წყვილი სათესლე ბუშტი, 4—კენტი თესლ-
გამტარშვები ღრუ, 5—დამაკავშირებელი ორგანო,
6—შემაუღლებელი ორგანოს თავი.

- 3) წყვილი სათესლე ბუშტი,
- 4) კენტი თესლგამტარშვები ღრუ და
- 5) დამაკავშირებელი ორგანო,
- 6) ემაუღლებელი ორგანოს თავი. (სურ. 38).

ცრუ დედრანი თვის გამოცნობა ად-
ვილია. ცრუ დედა კვერცხს ფიჭის უჯრე-
დებში ორ სამ ცილს
სდება და თანაც გაფან-
ტულად. ამის გარდა
ცრუ დედა კვერცხს
უმთავრესად საბუშაო
უჯრედებში სდებს და
ამ უჯრედებს ყოველ-
თვეს სამამლე უჯრე-
დის ბუფები აქვთ გა-
დაკრული.

თვითეულ ცრუ
დედას შეუძლია 15-დან
30 მდე კვერცხი დას-
დოს.

მამალი ფუტ-
კრის სასქესო ორ-
განოები. მამალი
ფუტკრის სასქესო ორ-
განოები შესდგება:

- 1) წყვილი სათეს-
ლე.
- 2) წყვილი თესლ-
გამტარი მილი,

წყვილი სათესლე გარედან დაფარულია მაგარი გარსით და თავესი მოყვანილობით ლობის მარცვალს წააგავს, თვითმეტყველობით სათესლე მიღლი 200-მდე მიღლს შეიცავს.

სათესლე მიღლებში სპერმატოზოიდები ვითარდება. სპერმატოზოიდების განვითარება მიღლების ზედა ნაწილში იწყება. განვითარების შემდეგ სპერმატოზოიდები წყვილ რესლგამტარ მიღლში გადადიან და აქედან წყვილ სათესლე ბუნტში გროვდებიან. დედა ფუტკრის განაყოფიერების დროს სათესლე ბუნტი იკუმშება, თესლი გადადის თესლის გაძიმყოფ ლრუში და აქედან შედის დამაკავშირებელ ორგანოში.

დედა ფუტკრის განაყოფიერებისას მამლის შემაკავშირებელი ორგანო გარეთ გამოდის და შედის დედის სასქესო ლრუში. ამ დროს სპერმატოზოიდები კვერცხამტარ მიღლში შედიან და აქედან თესლის მიმღებ ბუნტში გროვდებიან.

მამალი ფუტკრის მიერ დედა ფუტკრის განაყოფიერება სკის გარეთ ჰაერში იდება. დედა ფუტკრის განაყოფიერების შემდეგ მამალი ფუტკარი კვდება, ვრააიდან შემაკავშირებელი ორგანო მას მთლიანად წყდება და დედის მუცელში რჩება.

კვერცხიდან ფუტკრის განვითარება

კვერცხიდან დატერის განვითარება დედის მიერ კვერცხის დადების დღიდან იწყება. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, განაყოფიერებული კვერცხიდან მუშა ფუტკარი ჩეკება, ხოლო გაუნაყოფიერებელიდან—მამალი ფუტკარი.

დედის მიერ პირველ დღეს დადებული კვერცხები ვერტიკალურად დგას უჯრედის ფსკერის შუალი. მეორე დღეს იგი თანდათანმით გვერდზე იირჩეა, ხოლო მესამე დღეს კვერცხი მთლიანად ჩაწევბა უჯრედი. მეოთხე დღეს კვერცხიდან მატლი გამოდის (სურ. 39).


კვერცხის დადებიდან მესამე დღის ბოლოს ფუტკრები კვერცხის გვერდზე საკვებს ათავსებენ. იმ საკვების შეხებით კვერცხის გარსი სკდება და მატლი გარეთ გამოდის. მატლი თეთრი ფერისაა და რძისშაგვარ საკვებ ნივთიერებაზი წევს.

შველა საირს მატლს, სამურე იქნება ის, თუ სამამლე, სამი დღის განმავლობაში ფუტკრები „რძით“ კვებავენ, ხოლო სამი დღის შემდეგ სამუშა და სამამლე მატლებს უხეშ საკვებს (თაფლის და ჭეოს ნარევს) აძლიერებ. სადედე მატლებს კი მუშა ფუტკრები უჯრედის თავის გადაბეჭიდვამდე სულ „რძით“ კვებავენ.

მატლი თავისი განვითარების პერიოდში რამდენჯერმე იცვლის
კანს და ძველი კანის ნაცვლად მას ახალი კანი უვითარდება.

მატლის კანი რგოლებად არის დაყოფილი, რომლებშიაც ვარ-
ჩევთ: თავს, მკერდს და შუცელს.

მატლის საკვების მომნელებელი ორგანო სამი ნაწილისაგან
შესდგება: წინა, შუა და უკანა ნაწლავისაგან. სათაფლე ჩიხახვი
მატლს ჯერ არა აქვს განვითარებული. შუა ნაწლავი არ უერთდე-
ბა უკანა ნაწლავს და მისი ბოლო დახშულია. მონელებული საკვე-
ბის მასა შუა ნაწლავში გროვდება.



სურ. 39. მუშა ფუტკრის განვითარების სტადიები:
ა.— 1—9—თავლია ბარტყი. 10—11—თავგადაბეჭდილი ბარტყი,
ბ—1—3 კერცხები, 4—10—ჭიები.

მატლი 12. კამერიანია. სასუნთქ სისტემას ჰამ-
ტარებელი პარკუჭები არა აქვს. იგი მარტიდ ტრაქეების მილები-
სა და ოთხი მალაკების მილებისაგან შესდგება.

მატლს თითქმის ყველა ორგანობი, პირის
ნაწილები, ფრთები, ფეხები და სავ. ჩინასაა მდგომარეობაში აქვს.
მატლის ჭებრად გადაქცევის დროს ეს ორგან უბი, გარდა სასქე-
სო, ნერვული სისტემასა და იმაგინალური დისკოებისა, ირლვევა.
მატლის ორგანიზმი ამ ცვლილებას ჰისტოლიზი ეწოდება.
ჰატლიანი უჯრედის თავს ფუტკრები ჭეონარევი ცვილით ბეჭდავენ,
რომ მას ზიგით თავისუფალი აერაცია ჰქონდეს.

თავგადაბეჭდის ზემდევ მატლი უჯრედში სწორდება. მისი
შუა ნაწლავის კედლები იკუმშება. ამ ნაწლავში დაგროვილი უვარ-
გისი ნივთიერება ზუა და უკანა ნაწლავის ჩემაერთებელ თხელ კინს-
აწვება. კანი სკდება და ნივთიერება მსავილ ნაწლავში გროვდება.
ამის შემდევ მატლი სართავი ჯირკელებიდან პარკუჭის რთვის იწ-
ყებს დაამთაყრებს თუ არა პარკუჭის რთვას, იგი სწორდება და
იწყება მისი ჰისტოლიზი.



ჭუპრი თავის გარეგნობით ფუტკარს წააგავს. მისი სულილი ხასქე ცხიმით და სისხლით. ჭუპრობის დროს ხდება მისი სულილი ერთი ორგანოს დასრულება, რის შემდეგ იგი ზრდასრული ფუტკრის სახეს ღებულობს. ჭუპრობის დამთავრების შემდეგ მატლი ფუტკრად იქცევა და უჯრედიდან გარეთ გამოდის.

უჯრედიდან ფუტკრის გამოსელისას უჯრედში მისი პარკი და მატლის განავალი რჩება. ამიტომ არის, რომ რამდენიმე თაობის გამოსელის შემდეგ, უჯრედი ჯერ მუქდება და ბოლოს სულ შედება. გაშავების გარდა, უჯრედის კედლები და ფსკერი სქელდება და უჯრედის მოცულობაც მცირდება.

სადედე კვერცხიდან დედის განვითარება სულ სხვა პირობებში ხდება. სადედე ჯამში დედის მიერ ჩადებული კვერცხი და იქიდან გამოსული მატლი არაფრით განიჩრჩევა მუშა ფუტკრის მატლისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სადედე მატლს ფუტკრები დიდ უჯრედში ზრდით ჭუპრობამდე რძისმაგვარი ნივთიერებით კვებავნ. ამ საკვებს ფუტკრები სადედე მატლს დიდი რაოდენობით აძლევნ, ისე, რომ მატლი საკვებით დაფარულია.

სადედე მატლის ზრდასთან ერთად, ფუტკრები სადედე ჯამს თანდათანობით ადიდებენ და მეხუთე დღეს უჯრედს თავს ახურავნ. უჯრედის თავგადაბეჭვდის შემდეგ სადედე მატლი სწორდება და პარკუტის რთვის იწყებს. ერთი დღით ადრე სადედედან დედის გამოსვლამდე მუშა ფუტკრები სადედე უჯრედის თავს ცვილს ერთ ნაწილს აცლიან, რომ დედამ იგი უფრო ადვილად გამოლრლნას. ამის შემდეგ დედა ლრლნის სახურავს და გამოდის სადედედან. დედის წესიერად გამოსვლის დროს სახურავი სადედე უჯრედშეა ჩამოკიდებული. კვერცხიდან დედის მიღებამდე დაახლოებით 16—18 დღეა საჭირო.

სამამლე კვერცხიდან მამალი ფუტკრის განვითარება დიდად არ განსხვავდება სამუშე მატლის განვითარებისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სამამლე მატლი შედარებით უფრო დიდ უჯრედში ვითარდება, და თავგადაბეჭდილ უჯრედს სახურავი ამობერილი აქვს, ხოლო მუშა ფუტკრისას — სწორი. სამამლე ბარტყის განვითარებისათვის საჭიროა 24 დღე, ხოლო მუშა ფუტკრისათვის — 21 დღე.

ამრიგად, კვერცხიდან დედა, მუშა და მამალი ფუტკრის განვითარებისათვის საჭიროა შემდეგი ფადები:

4 მუჭატურჭობის პრაჭერიები.



	დედა ფუტკარი	მუშა ფუტკარი	მამალი ფუტკარი
კვერცხად	3 დღე	3 დღე	3 დღე
მატლად	5 დღე	6 დღე	7 დღე
თაფლია მდგომარეობაში	8 დღე	9 დღე	10 დღე
თავეგადახურული	8 დღე	12 დღე	14 დღე
კვერცხის დადებიდან სულ	16—17 დღე	21 დღე	24 დღე
ქარგი ან ცუდი პი-რობების გამო გადები იცვლება	16 დღიდან 20 დღემდე	21 დღიდან 24 დღემდე	24 დღიდან 27 დღემდე

ასეთია ფუტკრის განვითარების სტადიები და მათი ხანგრძლივობა.

ფუტკრის ნერგული ცისტება


ფუტკრის სხეული დაფარულია ნერგული სისტემით. ნერვული სისტემა იყოფა კვანძებად: მუშა ფუტკარს თავში მოთავსებული აქვს ორი კვანძი, მკერდში—ორი და შუცელში—ხუთი; დედა და მამალ ფუტკარს მუცელში ოთხი კვანძი აქვს.

ფუტკრის სხეულის ყოველი გაღიზიანება პირველად შგრძნობიარე ნერვებს გადაეცემა. ზერძნობრაორე ნერვები გაღიზიანებას გადასცემს ხერგულ კვასებებს, ხოლო ეს კვასებები—სხედ ორგანოებს. შგრძნობიარე ნერვები უმთავრესად დაკავშირებულია ფუტკრის პერიფერიულ ნერვულ კვანძებთან—გრძნობის ორგანოებთათ, როგორიცაა სხენის, ყხოსეის, ზეიგბის და მხედველობის ორგანოები. ამიტომ მათ პერიფერიული ნერვული სისტემა ეწოდება.

საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრითი


გაზაფხულზე საფუტკრები შევრი სხვადასხვა სამუშაოა ჩასატარებელი. რაც უფრო დაინიშნია და დოოვლად ჩატარებს მეფუტკრე ამ სამუშაოებს, მით უფრო მეტ თავისია და ცაილის მოსავალს მიიღებს.



ზამთრის ბოლოს, როცა თბილი ამინდები დადგება,  უუტკარი უკვე იწყებს ნელნელა მუშაობას, ხოლო დედა ფუტკრების — კვერცხის დებას. ფუტკრის ამ „გამოლვიძებას“ მთელი საფუტკრე და თვითეული ოჯახი ქარგად მომზადებული უნდა შეხვდეს. სწორედ ასეთი მომზადების უზრუნველსაყოფად ტარდება საფუტკრეში მთელი რიგი სამუშაოები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი.

წყალსასმელის მოწყობა. როგორც ყველა ცოცხალ არსებას, ისე ფუტკარსაც წყალი ესაჭიროება. წყლისათვის ფუტკრი ზოგჯერ ძლიერ შორს მიფრინავს, თუ იგი ახლოს არ ეშოვება. ცხალია, ფუტკარს ზოგჯერ გზაში ქარი და წყიმა მოუსწრებს და იგი შეიძლება კიდევაც დაიღუპოს. ამის გარდა, ფუტკარმა ჰეიძლება წყალი გა-
პინძურებული გუბე-
ბიდან აიღოს და ამით
საფუტკრეში სხევადა-
სხვა დაავადება გაავრ-
ცელოს. ამიტომ სა-
ფუტკრეში მუდამ უნ-
და გვექონდეს წყალსას-
მელი.

წყალსასმელი სა-
ფუტკრეში ადრე გაზა-
ფხულზე, ფუტკრის სკი-
დან გამოფრენამდე უნ-
და მოვაწყოთ, თორემ,
თუ ფუტკარი სხვა
წყალს მიეჩია, იგი
ჩეცნს მიერ მოწყობილ
წყალსასმელს აღარ მი-
ეკარება. წყალსასმელის
მოსაწყობად უმთავრე-



სურ. 40. კასრი სასმელი წყლით.

სად ხის კასრის იყენებენ. კასრი უნდა დაგდგათ მზიან და ქარისა-
გან დაცულ ადგილის (სურ. 40). წყლიანი კასრი უნდა შევდგათ
სადგამზე მიწიდან 0,5—1 მეტრის სიმაღლეზე. ავილებთ ფიცარს,
რომლის ერთ თავს კასრის ონკანს შევდგამთ, მეორეს კი მიწაზე
დავდებთ. ფიცარზე ტეხილად პატარა თამასებს დაგაჭედებთ, რომ-
ლებსაც ნელი დინებით ჩაყვება ონკანიდან ფიცარზე დაცემული

წყლის წვეთები. ფუტკარი რომ წყალსასმელშე მივიჩეოთ, პრესიტენცია
ლად ფიცარს ცოტა თაფლი უნდა წავუსვათ.



ფუტკარს სასმელად მარილიანი წყალიც სჭირდება, რის გა-
მოც საფუტკრეში წყალსასმელი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ფუტ-
კარს მარილიანი წყალიც ქქონდეს და უმარილოც. ამიტომ საფუტ-
კრეში ორ წყალსასმელს აკეთებენ, მარილიანს და უმარილოს. მა-
რილი წყალში 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ზოგჯერ მეფუტ-
კრებები მარილიან წყალს ერთ წყალსასმელშეც აკეთებენ. ფიცრის
შუა ადგილას პატარა მარილიან პარკს ათავსებენ. პარკში წყლის
გავლისას მარილი იხსნება და პარკის ქვემოთ მიმავალი წყალი მა-
რილიანი ხდება, ხოლო მის ზემოთ ფიცარზე უმარილო წყალი
რჩება.

საკონტროლო სკა. საკონტროლო სკა გაზაფხული-
დანვე უნდე დავდგათ საფუტკრე-
ში, რათა მისი ყოველდღიური
აწონით სრული წარმოდგენა ვი-
ჟენიოთ როგორც ფუტკრის მუ-
შაობაზე, ისე ღალიანობის დაწ-
ყებასა და მის „მიმდინარეობაზე“. საკონტროლო სკის მოსაწყობად
საჭიროა სათანადო სასწორი, ხო-
ლო საკონტროლოდ უნდა ავი-
ლოთ ფუტკრის ძლიერი ოჯახი.



სურ. 41. ფარდული საკონტროლო
სკისათვის.

სკა ღალიანობის შესახებ ზუსტ ცნობებს ვერ მოგვცემს (სურ. 41). ჩვენს პირობებში სკა საღამოობით, ფუტკრების ფრენის დამთავ-
რების შემდეგ უნდა ავწონოთ, რადგან ფუტკარი სკის დილით იწო-
ნას არ დაუცდის და გათენებამდე სამუშაოდ წავა.

ფუტკრის საკონტროლო ოჯახს ყოველდღიურად ვწონით სა-
სწორზე და ცნობები შეგვაქვს საფუტკრის დღიურში — ფორმაში № 1.
ეს დღიური გვიჩვენებს სკის წონის მატებას და დაკლებას. თუ სკის
წონამ მოიმატა გვეცოდინება, რომ ბუნებაში საქმაო ღალიანობაა
და ფუტკრის მიერ შემოტანილი ნექტარი მეტია იმ ხარჯზე, რაც



საცემადის კლიენტი



ბას სჭირდება; თუ სკის წონამ დაიკლო, ცხადია, ღალიანობა მცირდება რე ყოფილა და ფუტკარი სკაში არსებულ თაფლის მარაგს გამოსაკვებია ჯავს; თუ სკის წონა არც მატულობს და არც კლებულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღალიანობა ძალზე ნაკლებია და ფუტკარი იმდენ ნექტარს შოულობს, რამდენიც თავის გამოსაკვებად ყოფა. წესიერ საფუტკრეში საკონტროლო სასწორი ზაღ-თარში უნდა იყოს, რადგან ყოველ ათ დღეში მისი აწონით სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ფუტკრის ოჯახის საკვების დანახარჯ-ზე.

ფუტკრის ოჯახის შემოწმება. ფუტკარი სისუფ-თავის მოყვარული მწერია. იგი მუდამ ცდილობს სკაში სიწმინდე დაიკვას. თვითონ, თუ იძულებული არ გახდა, სკაში კუჭს არ გაისუფთავებს. მაგრამ თუ ფუტკრის ოჯახს ცუდი საკვები აქვს და ზამთარიც ხანგრძლივია, მაშინ ფუტკრის კუჭნაშლავი იმდენად გადაიტვირთება, რომ იგი იძულებული ხდება კუჭი გაიწმინდოს სკაშივე ან მის შიგნითა და გარეთა კედლებზე. მეფუტკრეობაში ამ მოვლენას ფუტკრის ფალარათი ეწოდება.

ამიტომ მეფუტკრე მოვალეა ფუტკრის პირველად გამოფრენისთანავე კარგად დააკეთოდეს ოჯახებს და გამოარევიოს—ხალი-სით ფრენენ ფუტკრები გარეთ თუა არა. თუ ფუტკრები ხალისით ფრენენ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათ კარგად გამოუხამორებიათ და თავს კარგად გრძნობენ, ხოლო თუ ფუტკრები უხალისოდ ფრენენ, უჭირთ სკაში შესველა და მის კედლებზე დალოდავენ, მა-შინ უნდა ვითიქროთ, რომ ან ბუდეა დასხრილი, ან დედა ფუტ-კრია დალუბული, ან კიდევ საკვები გამოლეულა.

ისეთ საფუტკრეში, სადაც ზამთრობით სკები დახურულ შენობაში არ იდგმება და ფუტკარი გარეთ ზამთრობს, ფუტკრის ფა-ლიარათიანობას ნაკლებად აქვს ადგილი, ვინაიდან ამ დროს ფუტ-კარს საშუალება ეძლევა ზამთრის განმავლობაში რამდენჯერმე გა-რეთ გამოფრინდეს და კუჭი გაისუფთაოს. საქართველოში ფუტ-კრის ოჯახები უმეტესად გარეთ ზამთრობენ.

ფუტკრის პირველი საგაზაფხულო შემოწმების დროს ვიწარ-მოებთ გაზამთრებული ფუტკრის ოჯახების ზერელედ შესწავლას. ფუტკრის ოჯახის ასეთი ზერელე შესწავლისათვის საკმარისია 3—4 წუთი. თავახდილად სკის მეტხანს გარეთ დატოვება არ ვარ-გა, რადგან ეს გამოიწვევს ბარტყის გაცივებას და ქურდობის გა-ჩენას.

ფუტკრის ოჯახების ასეთი შემოწმების დროს საეპლებულო არ არის ბუდის ჩარჩოების ამოღება, არამედ საკმარისია სკას ავ-

ხადოთ სახურავი, ბალიში, ტილო, და ბუდის ჩარჩოები საფუძველი /
ფრთხილად ცოტათი ერთმანეთს დაეგაშოროთ. ეს საშუალებაზე მოწყობის
ვცემს ზევიდან ფიჭის გვერდებს გადავხედოთ და ჩვენთვის საინ-
ტერესო ყველა საკითხზე გარკვეული პასუხი მივიღოთ. სახელ-
დობრ:

- ა) არის თუ არა ოჯახში დედა ფუტკარი,
- ბ) აქვს თუ არა მას თაფლი,
- გ) ჩამდენ ჩარჩოზე ზის ფუტკარი,
- დ) ფალარათიანობას ხომ არ აქვს აღვილი.
- ე) სინესტე ხომ არ გაჩენილა სკაში,
- ვ) თაგვი ხომ არ შეპარულა ფუტკრის ოჯახში და სხვ.

ზემოხამოთვლილი საკითხები მეფუტკრებ როგორც ვთქვით,
შეიძლება ჩარჩოებზე ერთი გადახედვით შეამოწმოს. გამონაკლისს
შეადგინს დედა ფუტკრის არსებობის დადგენის საკითხი, რომე-
ლიც უფრო გულდასმით დაკვირვებას მოითხოვს. დედის არსებო-
ბის გამოსარკვევად პირველ რიგში ვაკვირდებით ფუტკრის ხმა-
ურს. უდედო ოჯახი ყოველთვის მოუსვენრობას გრძნობს და გა-
სინჯვის დროსაც იგი თავისებურ, სპეციფიკურ ხმაურს გამოსცემს.
თუ ფუტკრის ოჯახს ასეთი მოუსვენრობა და ხმაური შევნიშნეთ,
იგი დეტალურად უნდა გავსინჯოთ.

შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორება

უდედო ოჯახს ვაძლევთ სათაღარივოდ შენახულ დედა ფუტ-
კარს, რომელიც საფუტკრეში ნუკლეუსების სახით ყოველთვის უნდა
იყოს.

დედის მიცემა. უდედო ოჯახს დედა ფუტკარს ტიტო-
ვის სადედე გალიით ვაძლევთ.

სანამ ოჯახს დედას მივცემდეთ, ბუდიდან ვიღებთ ისეთ ჩარ-
ჩოებს, რომლებზედაც ცოტა ფუტკარია, რისთვისაც ფუტკარს
წინასწარ ჩაგვერტყავთ; ამის ხარჯზე ვზრდით ფუტკრის რაოდე-
ნობას სხვა ჩარჩოებზე. დედას ვათავსებთ გალიაში და გალიას
ვკიდებთ ბუდის შუა ჩარჩოებს შორის ისე, რომ გალიას ერთი კი-
დელი თაფლიან ფიჭას ეხებოდეს. შემდეგ დავახურავთ სკას სახუ-
რავს და ასეთ მდგომარეობაში ვამყოფებთ დედა ფუტკარს 1—2—3
დღეს და მეტაცაც, სანამ ოჯახი მას არ მიიღებს.

ცნობილია, რომ უდედო ოჯახი სხვა, უცხო დედას პირდაპი-
რი შეშვებით ერთბაშად არ შეითვისებს, რადგან მას ჯერ კიდევ
არ მიუღია ამ ოჯახის სპეციფიკური სუნი. 1—2 დღის შემდეგ
ოჯახს ვსინჯოვთ და ვამოწმებთ მის მიერ დედის მიღებას თუ არ



მიღებას. შემოწმების დროს ორი თითით ვიღებთ ბულიდან გალიას ზედმსხდომი ფუტკრებით და ჭავირდებით მუშა ფუტკრებით ქვევას.

თუ გალიაზე მსხლომი ფუტკრები მცულის უკანა ნაწილს ხრიან და ზოგჯერ ნესტარსაც გამოყოფენ; მაშინ დედა არ მიულია და ცდილობს მოკლას იგი, ხოლო თუ ფუტკრები მუცელს არ ხრიან, არამედ ხორთუმი წინ წამოუშევით და დედას ნაკვებს აწოდებენ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახმა დედა მიიღო; ანდა თუ გალიას შერხევით ფუტკრები გალიიდან ადვილად ჩამოცივდნენ და მას აღარ ებლაუკებიან, ესეც დედის მიღების ნიშანს წარმოადგენს.

მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როცა ოჯახის მიერ ახალი დედის მიღების ნიშანები კი გვაქვს, მაგრამ დედის გაშვების შემდეგ ფუტკრები მას მაინც ჰქლავენ. ამიტომ მეფუტკრე რომ ნამდა დარწმუნდეს ოჯახის მიერ დედის მიღებაში, მან დამატებით ლონისძიებას უნდა მიმართოს.

მეფუტკრემ თვითონ უნდა გამოუშეს გალიიდან დედა ფუტკარი და თვალყური ადევნოს როგორ მოიქცევიან ფუტკრები. თუ ფიჭაზე გამოსულ დედას ფუტკრები გზას უთმობენ და თანაც ულვაშებით ეფერებიან, ეს იმის უტყუარი ნიშანი იქნება. რომ ფუტკრები ახალ დედას ნამდვილად შეურიგდნენ, ხოლო თუ ფუტკრებმა გამოსულ დედას გზა გადაულობეს, არსად უშვებენ და მუცელ წამოშვერილები მას ეხვევიან ეს იმას მოწმობს, რომ დედა მათ ჯერ კიდევ არ მიულიათ. ამ შემთხვევაში დედა ფუტკარს ორ თითით ფრთხილად ფრთხებში ჩავჭიდებთ და გალიაში დავაბრუნებთ, საღაც ვამყოფებთ მანამ, სანამ ოჯახი მას არ მიიღებს.

ყოველ შემთხვევაში ოჯახის მიერ დედა ფუტკრის მიღება 3—4 დღეს არ გადაშორდება. მაგრამ თუ ოჯახმა 3—4 დღეში დედა არ მიიღო, მაშინ ფუტკრებს სადედო უჯრედები ან ცრუ დედები ჰყოლიათ. შემჩეულია, რომ ზამთარში დაობლებული ოჯახი გაზაფხულზე ადვილად იღებს ასალგაზრდა დედა ფუტკარს.

საფუტკრეში გვექნება ისეთი შემთხვევაც, როცა უდედო ოჯახი უდედობის ენ სხვა რაიმე მიზეზის გამო იმდენად დასუსტებულია, რომ მისთვის დედის მიცემა ზედმეტია. ასეთ შემთხვევაში შეფუტკრემ ამგვარ ოჯახს დედიანი ნუკლეუსი უნდა შეუერთოს. ნუკლეუსის უდედო ოჯახთან შესაერთოებლად უდედო ოჯახის ბურის ჩარჩოებს შუაზე ეყოფთ და მათ ადგილას ვათავსებთ ნუკლეუსის ჩარჩოებს დედით. გვერდებზე ჩარჩოებს ვუდგამთ ტიხარს, კარგად ვუბოლებთ საბოლებლით, ვათბუნებთ და ვასურავთ სკას სახურავს.



შდედო ოჯახის დედიანთან შეერთება. შემთხვევა, როცა საფუტკრები სათადარივო დედა არ არსებოდა არც მისი გამოყვანის საშუალება გვაქვს. მაშინ უდედო ოჯახი დროებით უნდა შეცურთოთ, რომელსამე დედიან სუსტი ოჯახს.

ოჯახების შეერთება უნდა ჩატარდეს კარგ თბილ ამინდში და საღამოს, როცა გარეთ ფუტკრის ფრენა დამთავრდება. ამ დროს უდედო ოჯახს გადავდგამო დედიანი ოჯახის გვერდით. უცხო ფუტკრებმა რომ დედა არ მოგვიყლას, ერთი ორი დღით მას ვამწყვდეთ გალიაში, რომელსაც უდედო ოჯახში გათავსებთ.

უდედო სკიდან ჩარჩოები გადავვაქვს დედიან სკაში ისე, რომ სკის ერთ გვერდზე ვათავსებთ დედიანი ოჯახის ჩარჩოებს, ხოლო მეორე გვერდზე—უდედო ოჯახის ჩარჩოებს. ჩარჩოებს შორის დროებით ვდგამო ტიხარს და ვდებთ ოდნავ გახვრეტილ ქალალის, როთა ამ თრი ოჯახის თითო-ოროლა ფუტკარი ერთმანეთთან გადავიდეს. ამის შემდეგ ოჯახებს საბოლებლით ბოლს ვუპოლებთ და სკას სახურავს დავათურავთ. 2—3 დღის შემდეგ შეერთებულ ოჯახებს გაესინჯავთ, თუ დავინახავთ, რომ ეს ოჯახები ერთმანეთს შეეთვისწენ და ნორმალურად მუშაობენ, დედას გალიიდან გავანთავისუფლებთ.

ს ა კ ვ ე ბ ი ს მი ც ე მ ა . ფუტკრის ოჯახში თაფლის ნაკლებობის დროს—ოჯახს უნდა მივცეთ წინასწარ შენახული თაფლიანი ჩარჩო. რამდენ თაფლიან ჩარჩოს ჩავუდგამო ოჯახს, იმდენი ცარიელი ჩარჩო უნდა ამოვილოთ ბუდიდან. თუ თაფლიანი ჩარჩო არა გვაქვს, მაშინ უნდა ჩავატაროთ ფუტკრის ხელოვნური კვება. ხელოვნური კვებისათვის გამოვიყენებთ თაფლის ან შაქრის სანარს. თაფლით გამოკვებისას ერთ კილოგრამ თაფლს ვასხამთ ერთ ან ორ ჭიქა წყალს და კარგად ვაღულებთ. გადმოდულების შემდეგ ვტოვებთ მას თბილ ადგილას და საღამოს ვაძლევთ ნელ-თბილს საკვებურის საშუალებით.

შაქრით გამოკვებისას 2 წილ შაქარს დავასხამთ ერთ წილ წყალს. წყალი უნდა გავაცხელოთ ადულებამდე, ჩავყაროთ შიგ შაქარი და ვურიოთ მანამ, სანამ შაქარი მთლად არ გაიხსნება. შაქრის გახსნის შემდეგ ჭურჭელს გადმოვდგამო ცეცხლიდან და ასე დავტოვებთ ნელ-თბილ მდგომარეობამდე.

გამზადებული ხელოვნური საკვები ფუტკარს უნდა მივცეთ საღამოს, ფუტკრის ფრენის დაზთავრების შემდეგ, რადგან დღისით საკვების მიცემა გამოიწვევს „ქურდობას“ ფუტკრის ოჯახებს შორის. ფუტკრებს საკვები ერთ მიცემაზე უნდა მიეცეს

2—3 კვ-ის რაოდენობით. საკვების მიცემას ვაწარმოებით კუბური ჭურჭლით ან ფიტის უჯრედებში ჩასხმით.

საკვების
მისაცემად
ხშირად
იყენებენ
შუშის ქილას ან მშრალ
ფიტებს: ამ შემთხვევაში შუშის ქილას გავავსებთ საკვებით, გადა-
ვაკრავთ თავზე დოლბანდს, გადმოვაპირქვავებთ, დავადგამთ ზემო-
დან ჩარჩოებს და დავათბუნებთ. საკვების მიცემის წინ სკის კარგად
გავსინჯავთ—ხომ არ არის საღმე ფუტკრის შესასვლელი ნახერეტი,
და თანაც საფრენს დაეპატარავებთ.

ფალარათით დაავადებული ოჯახი უნდა გა-
დავასხათ ახალ ან დეზინფექცირებულ ძველ სკაში სუფთა ფიტებ-
ზე. ოჯახის გადასხმის დროს გადაგვაქვს მხოლოდ ბარტყიანი ჩარ-
ჩოები, რომლებიც კარგად უნდა გავწმინდოთ 4% -იანი ფორმა-
ლინის ხსნარში. ამის გარდა, ფალარათით დაავადებული ოჯახი
უნდა შევამოწმოთ—გადამდებია თუ არა ეს დაავადება. შესამოწ-
მებლად ვიღებთ ფუტკრის განავალს, 3 მკვდარ და 3 ცოცხალ
ფუტკარს და ვაგზავნით ავადმყოფობის გამომრკვევ სპეციალურ
ლაბორატორიაში. ფუტკრის ოჯახების საგაზაფხულო შემოწმების
ყველა სკითხი შევვაქვს № 1 ფორმის სპეციალურ უურნალში
(იხ. გვ. 63).

სკის ფსკერის გაწმენდა. ზამთრის განმავლობაში
სკის ფსკერზე ბევრი მკვდარი ფუტკარი და ჭუჭყი გროვდება. ამი-
ტომ გაზაფხულზე სხვა სამუშაოების შესრულებასთან ერთად, სკის
ფსკერიც უნდა გავწმინდოთ. ამისათვის გამოვაცლით სკას ფსკერს
და შევცვლით მას სუფთა დეზინფექცირებული ფსკერით. გამოლე-
ბულ ფსკერს გავწმენდავთ, დეზინფექციას გაფუკეთებთ და შევ-
ცვლით სხვა სკის ფსკერს. ასე გავასუფთავებთ ყველა სკის ფსკერს.
თუ სკას მოძრავდე ფსკერი არა აქვს, შეიძლება მკვდარი ფუტკრე-
ბი მოკაუჭებული მავთულის საშუალებით გამოვიტანოთ, ხოლო
ფსკერის კარგად გაწმენდა მთავარ საგაზაფხულო რევიზიამდე გა-
დავდოთ.

სკის ფსკერიდან გამოტანილი ნაგავი და მკვდარი ფუტკარი
უნდა დავწვათ ან მიწაში ჩაგმარხოთ, ხოლო თუ ნაგავში ცვილის
ნამცეცის შევამჩნევთ, იგი შევინახოთ და ცვილად გადავად-
ნოთ.

საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ფუტკრის
ოჯახი ისევ უნდა დავათბუნოთ.

ფუტკრის ოჯახის გადაყვანა პრიმიტიული სეიჭან
ჩარჩოიან სეაში

საქართველო
სამართლებრივი სამსახური

ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვება პრიმიტიული სკები, რაც დიდად აბრკოლებს ფუტკრის მოვლა-მოშენებას. ამიტომ საჭიროა უახლოეს დროში ყველა პრიმიტიული სკა შევცვალოთ კულტურული სკით.

პრიმიტიული სკიდან ჩარჩოიან სკაში ფუტკრის ოჯახის გადასაყვანად საუკეთესო დროდ აღრე გაზაფხული ითვლება.

აღრე გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახში ბარტყისა და ფუტკრის რაოდენობა მცირეა, რაც მეტად გვიადებილებს ფუტკართან მუშაობას. აღრე გადასაყვანილი ოჯახი აღრე ამთავრებს ბუდის წესრიგში მოყვანის და მომზადებული ხვდება მთავარ ღალიანობას.

პრიმიტიული სკიდან ფუტკრის ოჯახის ჩარჩოიან სკაში გადასაყვანად საჭიროა შემდეგი:

1. გადასაყვანის დროს უნდა იყოს კარგი ღალიანობა. უკუთესია, თუ ფუტკრის გადასაყვანა დაემთხვევა ხეხილის ან აკაციის ყვავილობას, რადგან ამ დროს გადასაყვანილი ოჯახი უფრო კარგად ვითარდება.

2. გადასაყვანა უნდა მოხდეს წყნარ და თბილ ამინდში, თანაცტემპერატურა (ჩრდილში) 15° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3. თუ პრიმიტიული სკები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა განლაგებული, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ისინი ზამთრის ბოლოს, ფუტკრის გამოფრენამდე, ისე უნდა განვალაგოთ, რომ მანძილი ოჯახებს შორის 1,5—2 მეტრს უდრიდეს.


4. პრიმიტიული სკები ისეთ სიმაღლეზე და ისეთი მიმართულებით უნდა დავდგათ, როგორიც მათ ფუტკრის ჩარჩოიან სკებში გადასაყვანის შემდეგ უნდა ჰქონდეს.

5. გადასაყვანი ფუტკარი ნელნელა უნდა შევაჩიოთ აზალ სკას და ახალ ადგილს. ამ მიზნით პრიმიტიული სკის წინ გვერდებზე მიწაში უნდა ჩაისოთ ორი ბოძი და ზედ დავკიდოთ ძველი ტომრის ნაჭრები ანდა ფანერი მივაჭვედოთ, რომ მოელი სკა წინიდან, გარდა საფრენისა, დაფარული იყოს. ასეთი საფარი უნდა მოვაწყოთ 10 დღით აღრე ფუტკრის გადასაყვანამდე და დაახლოებით ამდენსავე ხანს დავტოვოთ ფუტკრის გადასაყვანის შემდეგ. ეს ხერხი მეტად ეფექტურია: ფუტკარი ადვილად ივიწყებს თავისი ძველი ბინის ფორმასა და ფერს და ადვილად ეჩვევა აზალ სკას და გარემოს.

6. ყოველი გადასაყვანი ოჯახისათვის უნდა დავამზადონ ბურას 4—5 ბავთულიანი ჩარჩო.

მავთულიანი ჩარჩოების დამზადებას ვაწარმოებთ საფუტკრის სამუშაო ოთახში. ბუდის ჩარჩოებს დავდებთ მაგიდაზე და ზედა და ქვედა თაბაზასზე 5—6 ადგილას, ერთმანეთისაგან თანაბარი დაშორებით, დავაჭედებთ პატარა ლურსმნებს ნახევრამდე. ზედა თამასის ლურსმნებზე დავახვევეთ მავთულის ერთ წვერს, ჩარჩოს ცერზე დავაყენებთ, მავთულს გავჭიმავთ და ქვედა თამასში ჩაჭედილ ლურსმნებზე დავამაგრებთ. მავთულის დანარჩენ ნაწილს დავტოვებთ ფიჭაზე შემოსამვევად (სურ. 42).

ფუტკრის გადასაყვანად საჭირო ხელსაწყო-
რის რაღები. პრიმიტიული სკიდან ჩარჩოიან სკაში ფუტკრის ოჯა-



სურ. 42. ჩარჩო მომზადებული ფიჭის ჩასაკერელად.

ნის გადასაყვანად სა-
ჭირო შემდევი იარა-
ღები და ხელსაწყოები:
საბოლებული, პირბა-
დე, სანაყრე, სადედე
გალია, წყლიანი ჭურ-
ჭელი (ხელის დასაბა-
ნად), საფუტკრის და-
ნა, თავსახურიანი ჭურ-
ჭელი ფიჭის ნაჭრე-
ბის ჩასაწყობად, ჩაქუ-
ჩი, ნაჯახი, გაზი, ხერ-
ხი, ტომარა, მაგი-
და, სხვადასხვა ზომის
ლურსმანი და სხვ.

ფუტკრის გე-
ჯიდან (ბურკი) ჩარ-

ჩოიან სკაში გადაყვანა. გეჯას ფუტკრით გადავდგამთ,
ხულო მის ადგილას დავდგამთ ჩარჩოიან სკას. სკის საფრენი იმა-
ვი სიმაღლეზე და იმავე ადგილას უნდა დარჩეს, როგორც გეჯას
ჭქონდა. თუ სკის საფრენის სიმაღლე ზუსტად არ იქნა დაცული,
მინდვრიდან დაბრუნებულ ფუტკარს გზა აებნევა და სხვა სკებში
შევა, რის გამოც გადასხმული ოჯახი მფრინავი ფუტკრებით და-
ზარილდება. ამის გარდა სკა თარაზოთი უნდა გავასწოროთ, ვინა-
იდან არასწორად დადგმულ სკაში ფუტკარი ფიჭას არასწორად
აშენებს და ბუდეკ ირიბი გამოვა.



სკას უნდა პერიოდეს სატირო შემთხვევისთვის ორი გადასახლებულება
რი ფიცარი (დიაფრაგმა), 2—3 ჩარჩო ხელოვნური ფიჭა, ერთი-
ორი მშრალი ფიჭა და გადასაფარებელი ტილო. გეჯას ქვეშ დაეჭ-
ფენთ ტილოს ან ფართო ქალალდს, რომ ასალგაზრდა ფუტკრებში
მიწაზე ხოხვა არ დაიწყონ და მუმაობის დროს ისინი ფეხით არ
გავჭილიტოთ.

ამის შემდეგ გეჯა ისე უნდა გადმოვაბრუნოთ, რომ მისი ფსკე-
რი ზევით მოექცეს. გეჯას თავს აეხდით და ნათლად დავინახავთ
ფიჭებს, თანაც გაეიგებთ, თუ რომელი მხრიდან სჯობია მათი ამოჭ-
რა. შემდეგ, დავიწყებთ გეჯის ერთი რომელიმე მხრიდან ნელნელა-
შებოლებას. შებოლების დროს ფუტკრები თანდათანბით სკის ერთ
მხარეზე შექუჩდებიან. ფუტკრისაგან განთავისუფლებულ ფიჭებს
ფრთხილად დანით ამოვჭრით, დავაწყობთ ჭურჭელზე, შევიტანთ
შენობაში და ჩავაკერებთ წინასწარ გამზადებულ ჩარჩოში.

ფიჭების ამოჭრის დროს ვეძებთ დედა ფუტკარს, რომელსაც,
თუ ვნახეთ, დავიჭერთ, ვსვამთ გალიაში, მიგვყავს სკაში და ვათაჭ-
სებთ ორ მშრალ ფიჭიან ჩარჩოს. შორის. როდესაც გეჯაში ამ-
საჭრელი ფიჭების $\frac{1}{4}$ დარჩება, ეს ფიჭები მთლიანად დაფარული
იქნება ფუტკრით. ასლა შეიძლება ამ ფუტკრების სანაყრეში ჩა-
ბერტყვა.

თუ დედა დაჭერილი არა გვყავს, იგი ისევ უნდა ვეძებოთ სა-
ნაყრეში ფუტკრების ჩაბერტყვის დროს, და თუ დავიჭერთ, ისე უნ-
და მოვიქცეთ, როგორც ზემოთ ვთქვით. როცა ყველა ფუტკარი
სკაში შევა, სკის საფრენს 2—3 სმ-ით ვაპატარავებთ. ჩარჩოებს
გვერდზე ჩავუდგამთ ტიბარს და სკას სახურავს დავაბურავთ. გადაყ-
ვანილი ფუტკრის ოჯახს მეორე დღეს გავსინჯავთ და თუ დედა
ფუტკარი დაჭერილი არა გვყავს, პირველ რიგში მას ვეძებთ. თუ
დედა დაჭერილი გვყავს, გავანთავისუფლებთ. თუ დედა ფუტკარი
საერთოდ ვერ ვიავეთ, ოჯახს ახალ დედას ვაძლევთ. თაფლის
მარაგის ნაკლებობის შემთხვევაში ფუტკარს ხელოვნურად ვკვ-
ბავთ.

4—5 დღის შემდეგ ისევ ვათვალიერებთ ფუტკრის ოჯახს,
და თუ ფუტკრებს კარგად გაუმაგრებიათ ჩარჩოში ფიჭები, მავთუ-
ლებს მოვესხით.

ფიჭების ჩიკერება ჩარჩოში. საფუტკრის ოთახში
მაგიდაზე სიბრტყით ვდებთ მავთულიან ჩარჩოებს, მავთულზე ვაწ-
ყობთ ბარტყიანი და თაფლიანი ფიჭის ნაჭრებს, ისე რომ ფიჭის
უჯრედები თავდაყირა არ დარჩეს.

როცა ჩარჩო ფიჭით სულ გაივსება, მავთულს ზემოდან შემო-

ციტირებთ და მის ბოლოებს ჩარჩოს ზედა თამასის ლურს მწევანი და ფაგმაგრებთ. ფიჭით გავსებულ ჩარჩოს სწრაფად ვდგამთ უკაში. როცა ყველა ფიჭას ასე ჩავდგამთ სკაში, უკვე შეგვიძლია ფუტკრების გადაყვანაც.

ფუტკრის გადაყვანა ჩარჩოიანი სკიდან ჩარჩოიანზი. ზოგჯერ საჭირო ხდება ფუტკრის გადაყვანა ჩარჩოიან სკიდან ჩარჩოიანშივე. ჩარჩოიანი სკიდან ფუტკრის გადაყვანა ჩარჩოიან სკაში იმ შემთხვევაში გვიხდება, როცა სკა ძველია და ვგინდა იგი გამოვცეალოთ, ან როცა სხვა ტიპის სკებს 12 ჩარჩოიანი სკებით ვცვლით.

გამოსაცვლელი სკის აღგილას ვდგამთ ახალ სკას და ძველი სკიდან ჩარჩოებით ფუტკარი გადაგვყვეს ახალ სკაში. ჩარჩოს გატე დარჩენილ ფუტკრებს ჩავბერტყავთ სკაში ზემოდან ან შევუშვებთ საფრენიდან. უნდა ალინიშნოს, რომ სხვადასხვა ტიპის სკების 12 ჩარჩოიანი სკებით შეცვლისათვის შესაცვლელი სკიდან ფიჭები უნდა ამოვჭრათ და 12 ჩარჩოიანში ჩავაკეროთ იმ წესით, რა წესითაც იმას ვაკეთებთ პრიმიტიული სკების შემთხვევაში.

ფუტკრის ოჯახის მთავარი საგაზაფხულო შემოწმება

ფუტკრის ოჯახების პირველი საგაზაფხულო შემოწმების შემსეგ თბილი ამინდების დადგომისას უნდა ჩავატაროთ საფუტკრის მთავარი საგაზაფხულო შემოწმება. პირველი საგაზაფხულო შემოწმების მიზანს შეაღებენ აუკლენდის ტერიტორიაზე და სწრაფად შემოწმება და შემჩნეული ნაქლის შეძლებისდაგვარად გამოსწორება. მთავარი საგაზაფხულო შემოწმებისას კი წარმოებს თვითეული ფუტკრის ოჯახის უფრო დეტალურად შესწავლა.

ფუტკრის ოჯახების მთავარი საგაზაფხულო შემოწმების დროს უნდა იყოს თბილი და წყნარი ამინდი, პარას ტემპერატურა 15° -ზე (ჩრდილში) ნაკლები არ უნდა იყოს. ოჯახის შემოწმების დროს სკა შეიძლება თავახლილი გვკონდეს დააბლოებით 10—15 წუთს, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში ცოტა მეტ ხანსაც.

ოჯახების გასინჯვისათვის, იგივე ხელსაწყო-იარაღები და ტანსაცმელია საჭირო, რაც პირველი საგაზაფხულო შემოწმების დროს.

ფუტკრის ოჯახების მთავარი საგაზაფხულო შემოწმების მიზანს შეაღებენ, ის, რომ დავადგინოთ:

ა) არის თუ არა დედა ოჯახში და როგორია იგი;



Digitized by srujanika@gmail.com

ବ୍ୟାକ ବ୍ୟାକରିତା

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କଣ୍ଠାରୀ

МЖАБОВ 2

Digitized by srujanika@gmail.com

ბ) რამდენ ჩარჩოზეა ბარტყი და რა სიძლიერისაა ოჯახის განვითარება;
გ) რამდენი აქვს ოჯახს თაფლი და ხომ არ დაშაქტებულია იგი;

დ) ხომ არაა ოჯახში რაიმე გადამდები ავადმყოფობა;

ე) აქვს თუ არა ფალარათიანობას ადგილი;

ვ) არის თუ არა ცუდი და გაფუჭებული ფიჭები;

ზ) სჭირდება თუ არა ბუდეს შევიწროება და სხვა.

უკელა ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგი უნდა შევიტანოთ საფუტერის უურნალში № 1.

დედის ავკარგიანობას უნდა თავტესად ბარტყის მიხედვით ვარეკევთ. კარგი დედა ფუტკარი კვერცხს ფიჭის უჯრედში ყოველთვის თანმიმდევრობით სდებს. ხოლო თუ გადაბეჭდილი ბარტყი არა მთლიანია და მასში ალაგალაგ ერთანეთში არეულია ჭეოიანი, ცარიელი და გადაბეჭდილი უჯრედები, მაშინ ასეთი დედა უვარგისია. მაგრამ დედის ავკარგიანობას ყოველთვის ბარტყის მიხედვით როდი ჭაბულვრაც.

არის ხოლმე შემთხვევა, როცა კარგი დედაც იძულებულია არათანმიმდევრობით დასდოს კვერცხი უჯრედში. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ოჯახი ავადმყოფია ან სუსტია. ავადმყოფი ოჯახის უჯრედები დაავადებულია სხვადასხვა სიდამპლით და დედას კვერცხის დასატები ადგილი არა აქვს. ხოლო სუსტი ოჯახი თავის დროზე ვერ ასწრებს უჯრედების გასუფთავებას და დედა იმ უჯრედებში ჩადებს კვერცხს, რომელიც სუფთა იქნება. ამის გარდა, ბევრი ჭეოიანი ჩარჩოებიც ხელს უშლის დედას თანმიმდევრობით დადოს კვერცხი და სხვ.

დედა ფუტკარი დასაწუნია მაშინაც, როცა იგი კოტლია ან ფრთხებდაზიანებული. სიკოჭლე დედა ფუტკარს ხელს უშლის მუცელი უჯრედში მოათავსოს და კვერცხი თანმიმდევრობით დასდოს. ხოლო ფრთხებდაზიანებულ დედას ალარ აქვს უნარი გაფრინდეს ნაყართან ერთად.

ოჯახის სიძლიერეს დაახლოებით თავლია. სკის ზემოდან დასედევითაც ვამოწმებთ, მაგრამ სიზუსტესათვის საჭიროა ბუდის კარგად დათვალიერება. სკის ზემოდან დასხედვით შეგვიძლია მხოლოდ ფუტკარის მიერ დაკავებული ჩარჩოების რაოდენობის განსაზღვრა და არა ბარტყისა. ისეთი ოჯახი, რომელსაც ბარტყით და ფუტკრით 4—5 ჩარჩოზე ნაკლები ფართობი უჭირავს, სუსტ ოჯახად ითვლება, რომელსაც 5-დან 7 ჩარჩომდე უჭირავს,—საშუალო ოჯახად და რომელსაც 7 ჩარჩოზე მეტი უჭირავს—ძლიერ ოჯახად.



ფუტკრის ოჯახის სიძლიერებები და მიზანები მიმდევად
თაფლისა და ცვილის რაოდენობა. ძლიერი ოჯახის შესაქმნელად
უნდა გავიზიაროთ მოწინავე მეფუტკრეთა გამოცდილება, რომე-
ლიც ამ მიზნით გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახს კარგად ათბუნებენ,
უხვი და კარგი ხარისხის თაფლით უზრუნველყოფენ და ცდილო-
ბენ ოჯახში ხარისხიანი დედა იყოლიონ. ამ ღონისძიებათა გან-
ხორციელებით მოწინავე მეფუტკრები კარგ შედეგს ღებულობენ.

თუ საფუტკრეში სუსტი ოჯახები გვყავს, ისინი უნდა გავაძ-
ლიეროთ ძლიერი ოჯახების ხარჯზე, რისთვისაც ჯანსაღი ძლიერი
ოჯახიდან თავგადაბეჭდილ მწიფე ბაჩრტყიან ჩარჩოს ვიღებთ და
გადაგვაქვს იგი სუსტ ოჯახში. ამის გარდა, სუსტი ოჯახის გაძ-
ლიერება შეიძლება მისი მთლიანად შეერთებით სხვა ოჯახთან, მაგ-
რამ ამისათვის შესაერთებელი ოჯახები წინასწარ სათანადოდ უნ-
და მოვამზადოთ.

ცნობილია, რომ ერთი ოჯახის ფუტკრები კარგად სცნობენ
მეორე ოჯახის ფუტკრებს და ისინი მტრულად ეკიდებიან ერთი-
მეორეს. ამიტომ სანამ ორ ოჯახს შევაერთებდეთ, ისინი ტერიტო-
რიულად თანდათანობით ერთბანეთს უნდა დაყუახლოვთ. ეს დაახ-
ლოება გაზაფხულის თბილ დღეებში უნდა ჩატარდეს.

ორი თვე ასი შეერთება. სკებს ყოველდღიურად 30—40
სმ ით ერთმანეთისაკენ გადავშევთ. და ბოლოს ორივე სკას ერთმა-
ნეთს მივადგამთ. მეორე დღეს სალამოს შეიძლება ამ ორი ოჯახის
შეერთება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც უნდა ვერიდოთ ფუტკრების
ერთმანეთში სწრაფად არევის. უპირველეს ყოვლისა უვარგის დე-
დას ვიშერთ და ველავთ, ხოლო კარგ დედას ერთი დღით აღრე
ვატყვევებთ გალიაში. ამის შემდეგ ორივე ოჯახის ფუტკრებს ვაძ-
ლევთ ერთნაირ სუნს. ამ მიზნით სკებში ვდებთ ქაფურიან ნიკო-
ერებას. მეორე დღეს ორივე ოჯახის ფუტკრებს ერთნაირი სუნი
ექნებათ და ისინი ერთმანეთსაც კარგად შეურიგდებიან.

ამის შემდეგ, უდედო ოჯახის სკიდან ამოვიღებთ ჩარჩოებს
ფუტკრიანად და ჩავდებთ დედიან ოჯახში. სკას ვახურავთ საბუ-
რავს, ფუტკრები ერთმანეთს შეერევიან და შეუდგებიან მუშაობას.
მეორე დღეს დილით ცარიელ სკას საფუტკრიდან გავიტან.

მაგრამ არის ხოლო შემთხვევა, როცა უდედო და დედიანი
ოჯახების შეერთება გვჭირდება. ამ შემთხვევაში დედიანი ოჯახი
უნდა შევუერთოთ უჯედო ოჯახს. ამ მიზნით დედიანი ოჯახიდან
ამოვიღებთ ჩარჩოებს და ჩავდებამთ უდედო ოჯახის სკაში. ჩარჩო-
ების ჩადგმის წინ უდედო ოჯახის სკაში უნდა ჩავასხუროთ შაქ-
რის სიროვე.



ორი ოჯახის შეერთება ზოგჯერ ერმანეთთან დაუაბრინებული ლადაც შეიძლება. ეს მოსახერხებელია ზაჟთრის ბოლოს ფუტკრების გამომღერებამდე.

სუსტი ოჯახის გაძლიერება სხვა ძლიერი ოჯახის ფუტკრის ნაწილის მიმატებითაც ზეიძლება. ამ შემთხვევაში ორივე ოჯახის (I და II) ფუტკრებს ერთნაირი სუნი უნდა მიყცეთ. დილით ორივე ოჯახის დედებს გალიაში დაეთტყვევებოთ და თავთავიანთ სკებ-ში დაეტოვებოთ. ფუტკრების სამუხაოდ წასვლის შემდეგ ორივე სკას ვუცვლით ადგილს, ე. ი. I-ლ სკას ედგამთ მე II ადგილას და მე-II I ლის ადგილას. მინდევრიდან დაბრუნებული პირები სკის მუშა ფუტკრები მეორე სკაზი შევლენ, ხოლო მეორე სკის მუშა ფუტკრები—პირველ სკაში. ასე ხდება სუსტი ოჯახის ფუტკრებით გაძლიერება.

თაფლის მარაგის განსაზღვრა. ბუდეში თაფლის მარაგს თვალდათვალ განვსაზღვროვთ. ცნობილია, რომ 12 ჩარჩო-იანი სკის ერთი ჩარჩო, როდესაც იგი ორევე მხრიდან თაფლით სავსეა. 4 კგ-მდე თაფლს იძლევა. ამრიგად, როცა ვიცით ერთი ჩარჩოს თაფლის გამოსავლიანობა, ადვილია ბუდეში თაფლის მა-რაგის განსაზღვრა.

გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახის გაძლიერებული ბარტყიანობა თაფლისა და ჭეოს მცრავზეა დანოკრდებული. კარგი ბარტყიანობა იმ ოჯახებში მიმდინარეობს, რომლებსაც ჰუდეში ბევრი (16—18 კგ) თაფლი და ჭეო აქვთ.

იმ ოჯახში, სადაც თაფლისა და ჭეოს მარაგი ცოტაა, დედა ფუტკარი სწყვეტს კვერცხის დებეს და ოჯახი თანდათხობით სუ-სტდება. ამიტომ ასეთი ოჯახის დათბუნებასთან ერთად, საჭიროა მისი უზრუნველყოფა თაფლისა და ჭეოს მარაგით.

კარგდე დათბუნებული და საკედი მარაგით უზრუნველყო-ფილი ოჯახი უფრო მეტად უძლებს სივრცესივა ძვირდებულიბას. ამის გარდა, მასზე ნაკლებ გავლენას ახდენს გაზაფხულის ამინდის ცეალებადობა.

მოწინავე მეფუტკრები ფუტკრის ოჯახების კარგად დათ-ბუნებით და საკედი მარაგის უზრუნველყოფით და წევენ თაფლის დიდი მოსავლის მიღებას. ისინი ზეოდებოდებანე იხასავენ ისეთ ჩარჩოებს. რომლებშიაც კარგი ხარისხის თაფლია და გაზაფხულზე აძლევეს დუტკრებს იმ ანგარიშით, რომ თითო ოჯახს 10—12 კგ თაფლი მოგიოდეს.

ფიჭების წუნდება. აცილებელია კუდი, გაფუნქებუ-ლი ფიჭების ამოლება ფუტკრის ბუდიდა, ვინაიდაა ასეთი ფიჭე-



პი ძლიერ უშლის ხელს ფუტკრებს მუშაობაში და ხშირად მყოფობის გამომწვევიცაა. მართალია ფიჭების წუნდებას შემოღვიძით ვაწარმოებთ, მაგრამ ზოგჯერ ამის საშუალებას თვით ფუტკრებიც არ გვაძლევენ, რადგან ამოსალები ჩარჩოები საგან ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი.

შემოდგომით წუნდებულ ფიჭებს ოჯახებში ტიხარის გვერდით გადავდგამთ, რომ ისინი ფუტკრებმა დაზამთრებისას გაანთვისუფლონ. მთავარი საგაზაფხულო შემოწმების დროს ფუტკრის რაოდენობა ბუდეში შეძლირებულია და წუნდებული ფიჭები ფუტკრებისაგან განთავისუფლებულია.

ბუდიდან ვიღებთ წუნდებულ ფიჭებს: გაშავებულს, ბევრ სამამლებიანს, ფალარათით დასვრილს, დაობებულს, ამჟავებულ თაფლაანს, ჩახეულს, თაგვისაგან დაზიანებულს და სხვ.

ფიჭის გაშავებას იწვევს ხშირი ბარტყიანობა ბუდეში. დედის ყოველ დღიური კვერცხდების გამო, გაზაფხულიდან შემოღვიმდე ჭოველი ფიჭის უჯრედში რამდენჯერმე ხდება ახალი თაობის გამოსელა. ფუტკრის განვითარება სამ სტადიად მიმდინარეობს: კვერცხი, მატლი და ჭუპრი. მატლის ნაცვალი კანი და ექსკრემნტები უჯრედში ჩეხება და ბოლოს იმდენი გროვდება, რომ ფიჭის უჯრედები შავდება. ამის გარდა, უჯრედების მოცულობაც პატარავდება.

წუნდებული ფიჭების შეუცვლელობა გამოიწვევს ოჯახში ავადმყოფობის გაჩენას და, ამის გარდა, პატარა ტანის ფუტკრის მიღებას. ამიტომ მეფუტკრემ ყოველწლიურად უნდა აწარმოოს ფუტკრის ოჯახებში წუნდებული ფიჭების ახალი ფიჭებით ჭეცვლა.

ფარარათი. ფუტკრის ფალარათიანობას იწვევს ჭირობის სკაში ჩაყოლილი ცუდი საკვები. ულალიანობის პერიოდში ფუტკრები ხშირად ბუდეში აგროვებენ მანანა თაფლს. მანანა თაფლი მცენარის ყლორტებიდან და ფოთლებიდან გამონაურნი ტებილი წევნია. ამის გარდა, მანანა თაფლი მცენარებზე მყოფი სხვადასხვა მწერების განაცლიდანც მიიღება. მანანა თაფლში ფუტკრისათვის წეულებისებელი ბევრი ნივთიერება არსებობს. ამიტომ თუ ოჯახს ზამთარში მანანა თაფლით უნდება კვება, მისი უქანა ნაწლავი გადაიტეირობა და ფუტკარს ფალარათი დაეწყება.

ფიჭების დაობება. ფიჭების დაობებას იწვევს სკის ფსკერის დანესტიანება და არასევიარისი აერაცია სკაში. დაობებული ფიჭების გასუფთავება არ ზეიძლება, იგი სკიდან უნდა ამოვილოთ.

თაფლის დამზავება. თაფლის დამზავებას გამოიწვევს

სკაში დაგროვილი ზედმეტი სითბო. ამ ღროს თაფლი ზედმეტი სინესტეს შეიწოვს და მოხდება მისი გაწყალიანება. გაწყალიანებული თაფლი მეავდება და ფუტკრის საკვებად არ გარგა.

თაგვი. თაგვი ფიქებს აზიანებს ზამთრობით. იგი შეძრება სკაში საფრენიდან ან სხვა ნახერეტიდან, იქ ბუდეს გაიკეთებს და მოელი ზამთრის განმავლობაში ჭამს ფიქებს. ამის გარდა, თაგვი ფუტკარსაც სჭამს. იგი მეტწილად მუცლის იმ ნაწილს მოჭამს ხოლმე ფუტკარს, სადაც სათაფლე ჩიჩახვია მოთავსებული. ზამთრობით ფუტკარი გარინდებულ მდგომარეობაშია და თაგვს ვერ ებრძეის. ზაფხულში თაგვი ფუტკარს ვერ ეკარება. ამიტომ ზამთრობით საფუტკრეში სკების ყველა ნახვრეტი კარგად უნდა დავახშოთ, ხოლო საფრენები მავთულის ბადით ან ლურსმნის ჩაჭედვით ისე უნდა დავაპატარავოთ, რომ სკაში თაგვი ვერ შეძრეს.

სკაში თაგვის გაჩენა ბუდის გაუსინჯავადაც შეგვიძლია შევამჩნიოთ. სკაში დაბუდებული თაგვი ხშირად გამოდის გარეთ წყლისათვის. ყოველი გამოსვლისას მას ფეხებით გამოაქვს ფიქის ნამცეცები, რომლის მცირე რაოდენობა სასვენ ფიცარჩედაც რჩება. ამის გარდა, თუ სკის ფსკერს ბრტყელთავიან მავთულს გამოვუსვამთ, მას ბევრი ფუტკრის თავი გამო ყვება. ყველა ეს იმის ნაშიც იქნება, რომ სკაში თაგვია დაბუდებული. ასეთი ოჯახების ბუდე ზამთრის განმავლობაშიც უნდა გადინჯოთ, თაგვი მოვსპოოთ და შესასვლელები დავუშოთ.

ბუდის შევიწროების ფუტკრის ბარტყიანობის განვითარებისათვის და დი მნიშვნელობა აქვს. ბუდეშეიწროებულ სკაში ფუტკრები კარგად იცავენ მათთვის საჭირო ტეპბერატურას; მატულობს ჩარჩოებზე ბარტყის რაოდენობა და ჩარჩოების ფართობიც მეტი ფუტკრით არის დაფარული.

ბუდის შევიწროებისათვის უკეთესია გამოვიყენოთ ბლინოვის მეთოდი. ბლინოვის მეთოდის დროს 3—4 ჩარჩო ფუტკარს გამოყოფთ სხვა ჩარჩოებისაგან შეასკაში. ჩარჩოებს გვერდებზე ჩაეუდგამთ ტიხარებს. ტიხარებსა და სკის კედლებს შორის დარჩენილ თავისუფალ ადგილს სათბობი მასალით მოივასებთ, შევიდან ბუდეს კიდევ სათბობი მასალას დავაფარებთ და ბუდე დათბუნებული იქნება (სურ. 43). მაგრამ ასე დათბუნებული ბუდის დიდხასს დატოვება არ შეიძლება.

დათბუნების დღიდან დედა ფუტკარი 15—20 დღის განმავლობაში ჩაკვერციავს ყველა ფრენის უჯრედებს და წერდევ კვერცხის დასადებად ადგილი აღარ ექნება. ეს გაორმოება გამოიწვევს დედის კვერცხმდებლობისა და, მაშასადამე, ბარტყიანობის შემცირება.


ჩემი არა აღნიშნული 15—20 დღის გავლის შემდეგ ბუდის
ვაფართოებას უნდა შევუდევთ.

სარიცხვები
სამართლებრივი

ტიხარებს გავსწევთ და თანდათანობით ყოველ სამ-ოთხ დღე-
ში ჩავმატებთ თითო ცარიელ ჩარჩოს (ჩასამატებელი ჩარჩოების
რაოდენობა ლალიანობაზეა დამკიდებული). როცა ქარგად დათ-
ბება, ტიხარებს და სათბობ მასალას მთლიანად ამოვილებთ და შე-
ვინახავთ საფუტკრის საწყობში.

ფუტკრის ბუდის შევიწროებას სხვა მეთოდითაც ვაწარმო-
ებთ. მაგალითად, შეგვიძლია ბუდის ჩარჩოები სკის ერთი კედლისაკენ მივ-
სწიოთ და მეორე მხარეს ტიხარი ჩავ-
დეგათ. ამ ხერხს მაშინ მიმართავენ, რო-
ცა შეფუტკრეს ორი ტიხარი არ ეშოვება,
ანდა ზამთრის პირობები არ მოიხოვს
ბუდის ორივე მხრით დათბუნებას. ამ
დროს ჩარჩოები ყოველთვის სამხრეთის
მხარეს უნდა მივსწიოთ, რადგან ზამ-
თრის ზომიერ ადგილებში მზე სკის კმ-
დელს ხშირად გაათბობს და ბუდეს სით-
ბოს შემატებს.

ფუტკრის ოჯახის გადას-
ხმა. ფუტკრის ოჯახის მთავარ საგა-
ზაფხულო შემოწმებასთან ერთად, უნ-



სურ. 43. ფუტკრის ოჯახის და-
თბუნების ჭესი.

და ჩატარდეს აგრეთვე ფუტკრის ოჯახების გადასხმა ქარგად გა-
წმენდილ დეზინფექცირებულ სკებზი. სკის დეზინფექციას ვაწარ-
მოებთ დენატურატის ალის საშუალებით, ანდა სარჩილავი ლამპის
დახმარებით (სურ. 44). დეზინფექციის დროს სკის კედელი ალის-
ფერი უნდა გახდეს. ამის შემდეგ გვერდზე გადავდგამოთ გადასას-
ხმელ ფუტკრის ოჯახს და მის ადგილას გადეზინფექცირებულ სკას
დავდგამოთ. ძველი სკიდან ამოვილებთ ყველა თაფლიან და ფუტ-
კრიან ჩარჩოს და გადავიტანთ ახალ სკაში. ახალი სკის ბუდეს ვა-
თბუნებთ, ძველ სკას ვწმენდავთ, ვადეზინფექცირებთ და მასში
სხვა ოჯახს გადავსხამთ. ასე ჩატარებთ საფუტკრებში ყველა
ოჯახის გადასხმის.

სკის და ბუდის გასუფთავება არის მნიშვნელობა აქვს ფუტკრის ჯანმრთელობის
დაცვის საქმეზი. უსუფთაო სკა და ბუდე ავადმყოფობის გამომწვევია.
ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ორივე მუდამ გაწმენდილი და გა-
სუფთავებული იყოს.

სკის და ბუდის გასუფთავება შეიძლება თბილ დღეს, რომ
საც ტემპერატურა ჩრდილში 20°C მაინც უდრის. სკის გასუფთავება
ვების დროს მთავარი ყურადღება სკის ფსკერს უნდა მიეაქტიროთ,
რადგან ზამთრის განმავლობაში ფსკერზე ყოველგვარი ჭუჭყი და
უსუფთაობა გროვდება. ჭუჭყით განსაკუთრებით ამოვსებულია სკის
ფსკერის და კედლების ფიცრებს შორის დარჩენილი ნაპრალები.
ამიტომ საფხექით კარგად უნდა გაითხივოს სკის ფსკერი და კედ-
ლები. სკის გასუფთავების შემდეგ საჭიროა მისი დეზინფექცია.



სურ. 44. სკების გამოწვა სარჩილავი ნათურის ალით.

გიგრად ახალ ფიჭას ვდგამთ. ჩარჩოების გაწმენდა დიდანს არ
უნდა გავაგრძელოთ, რადგან მოსალოდნელია ბარტყის გაცივება.
ბუდის გაწმენდის დროს ტიხიარიც უნდა გავწმინდოთ და დეზინ-
ფექციით გავუკეთოთ. გაწმენდილ ჩარჩოებს ვდგამთ სუფთა დეზინ-
ფექცირებულ სკაში. ბოლოს, ბუდეს გაობუნებთ. შემდეგ ვასუფ-
თავებთ მეორე სკას და ბუდეს, და ასე ჩავატარებთ საფუტკრეში
ფუტკრის ყველა ოჯახის გადასხმას დეზინფექცირებულ სკებში.

სკის და ბუდის ჩარჩოების გასუფთავება სხვა სკაში გადაუ-
ტანლადაც შეიძლება. ბუდეში ყველა ჩარჩოს მიგსწევთ სკის ერთ
რომელიმე გვერდზე, რის გამოც მეორე გვერდი განთავისუფლდე-
ბა. განთავისუფლებულ აღგილს საფხექით გავფხეკავთ და გამოვ-
გვით. სკის ამ ნაწილის გასუფთავების შემდეგ, შევუდგებით ბუ-
დის ჩარჩოების გაწმენდას. გაწმენდილ ჩარჩოებს გადმოვდგამთ
სკის გასუფთავებულ ნაწილში. ყოველი გასუფთავებული ამოღებუ-

სკის გასუფთავე-
ბისა და დეზინფექციის
შემდეგ უნდა შევუდგეთ
ბუდის გასუფთავება-
საც. ბუდის გასუფთა-
ვების დროს საფხექით
ვფხექავთ თვითეული
ჩარჩოს თამასებს ცვი-
ლისა და დინდგელის
მოსაცილებლად. ანა-
ფხებ ცვილს ცალქე ვი-
ნახავთ, ხოლო დინდ-
გელს მიწაში ვმარხავთ
ან ვწვავთ.

ჩარჩოების გაწ-
მენდის დროს ვიღებთ
სკიდან ობმოკიდებულ
ჩარჩოებს და მათ შა-

ლი ჩარჩოს ცარიელ ადგილს ვწმენდათ. ასე ვაკეთებთ ყველა ჩარჩოს გაწმენდას. ამის შემდეგ გასუფთავებულ ჩარჩოებს სკის შემ ზე ვათავსებთ, გვერდზე ტიხარებს ვუდგამთ და ვათბუნებთ ანგარიშებას. სკას და ბუდეს გაზიარებულიდან შემოდგომამდე რამდენჯერმე (2—3-ჯერ) სჭირდება გასუფთავება, მაგრამ ეს იმდენად ადგილი და მოსახერხებელი საქმეა, რომ ოჯახის გასინჯვის დროსაც შეგ-იძილია ჩავატაროთ.

ბუდის გაფართოება. ფუტკრის ოჯახის მთავარი სა-
გაზაფხულო შემოწმების შედეგ საფუტკრეში ბუდის გაფართოებას
უნდა შევუდგო. თბილი ამინდებისა და ღალიანობის დაწყებასთან
ერთად დედა ფუტკარი უმატებს კერძოს დებას და ბუდეში არ-
სებული ჩარჩოები მისთვის არასაქმარისი ხდება. თუ იმ დროს მე-
ფიტკრემ ბუდე არ გააფართოვა, დედა შესწავეტს კვირცხის დე-
ბას და ოჯახი სუსტდება.

ბუდის გაფართოებას ფიქიანი ჩარჩოების მიმატებით ვახდენთ. ჩარჩოების მიმატებას დროგამოშევებით ვატარებთ და ერთდროულად უმთავრესად ერთ ჩარჩოს ვუმატებთ. ჩარჩოების მიმატების საჭიროებას ბუდის დათვალიერებით დავადგენთ. ოცა ვნახავთ, რომ ბუდის უკანასკნელ ჩარჩოზე ფუტკარი ველარ ეტევა, მაშინ ესაჭიროება ფუტკარს ჩარჩოს მიმატება. პირველ ხანებში ბუდეს აშენებულ ფიქით ვავაფართოებთ, ხოლო ღალიანობის მომატებისა და ოჯახის გაძლიერების შემდეგ ბუდის ვასაფართოებლად ხელოვნურ ფიქისაც ვიყენებთ.

ბუდის გაფართოების დროს, ფიჭიანი ჩარჩო უნდა ჩავდგათ
უკანასკნელ ბარტყიან ჩარჩოსა და ჰეოიან ჩარჩოს შორის. ეს დღ-
გილი დედისათვის კველის უკეთესია ჩისაკვერცხავილ. ჩარჩოების
მიმატების დროს კარგია თუ გვექნება ჩარჩოები ცოტა თაფლით,
რადგან ამ დროს ოოგორც ბარტყი, ისე ფუტკრებიც უფრო უზ-
რუნველყოფილი იქნება საკვებით და ოჯახიც ჩეარა გაძლიერდება.
როცა ბუდეში ბარტყი 6—7 ჩარჩომდე იქნება და კარგი ღალია-
ნობა დადგება (ე. ი. ზაფხულში), მაშინ შეიძლება სკაში ერთდრო-
ულად ირი ჩარჩოც ჩავდგათ.

ქველი ფინკების ახალი ფინკებით შეცვლა. ფუტკრის ოჯახებში ძველი ფინკების ახალი ფინკებით შეცვლა და ბუდის გაახლება ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს. სკაში ჩადგმული ფინკა 3—4 წლის შემდეგ უნდა შეიცვალოს ახალი ხელოვნური ფინკით, ხოლო ამოღებული ძველ ფინკა ცვილად უნდა გადავალნოთ. ძველი ფინკა სხვადასხვა მიკრობების ბუდეს წარმოადგენს და იგი გადამდები ავადმყოფის გამავრცელებელია. ძველი

ლი ფიქის უჯრედებში დედა ნაკლებად სდებს კვერცხს და თუ ჩას
დო, ისიც აქვ-იქ.

ძველი ფიქების ახლით შეკვლას ღალიანობის დროს ვიწყებთ მარკა
რადგან ამ დროს შეუძლია ფუტკრებს ფიქის აშენება.

გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდში შესაცვლელ შავ ფი-
ქებს გადაედგამთ სკის კედლისაკენ, რომ დედამ შიგ კვერცხი არ
ჩასდოს. შემოდგომაზე ასეთ შავ ფიქებს სულ ვიღებთ ბუღიდან.
ყოველ ოჯახს წლის გინმავლობაში შეუძლია ააშენოს 4—5 ახალი
ფიქი.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა უვარებისი შავი ფიქების ბუ-
ღიდან ამოღება დროებით არ შეიძლება, რადგან შემოდგომაზე
ასეთ ფიქებში შეიძლება ბარტყი ან თაფლი იყოს. ასეთი ფიქები
უნდა გადაედგათ ტიხარის გვერდით. ფუტკარი აქედან თაფლს ბუ-
ღის ცენტრში გადაიტანს. გაზაფხულზე ასეთ შავ ფიქაში დედა
კვერცხს არ ჩასდებს, რის გამოც მისი ამოღება შეიძლება.

ფუტკრის „ქურდობა“ და მასთან ბრძოლა

ფუტკრის „ქურდობა“ და მასთან ბრძოლა, ყველა მეფუტ-
კრემ კარგად უნდა იკოდეს. ფუტკარი ძალიან დაჩვეულია სხვისი
ოჯახიდან თაფლის წალებას. მეფუტკრეობაში ჩვენ ამას ფუტკრის
„ქურდობას“ კუჭოდებთ. რასაკირველია, ეს ტერმინი პირობითია,
რადგან აქ საქმე გვიქვს მხოლოდ ფუტკრის ძლიერ ინსტინქტიან
თაფლის შეგროვებისადმი. მან არ იცის—უოტა თაფლი აქვს თუ
ბევრი, ეს კია, რომ იგი დაუცხრომლად შრომობს და იბრძვის
იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი თაფლის მარაგი შექმნას ბუ-
ღეში.

ფუტკარი განსაკუთრებით მაშინ აძლიერებს „ქურდობას“ და
სხვა ოჯახებზე თავდასხმას, როცა ბუნებაში ღალიანობა არ არის,
ხოლო თუ ღალიანობაა, მაშინ ფუტკრები ალარ ქურდობენ.

ფუტკრის საგაზაფხულო შემოწმება უმთავრესად მცირე ღა-
ლიანობის, ზოგჯერ კი სრული ულალიანობის პერიოდში მიმდინა-
რეობს. ამიტომ ამ დროს ყოველთვის უნდა ვერიდოთ სკის ხშირ
გახსნას, რათა „ქურდობის“ განვითარებას ხელი არ შევუწყით.

„ქურდი“ ფუტკრები პირველად უდედო და სუსტ ოჯახებს
დაესხმიან თავს. უდედო ოჯახი ნაკლებ ბრძოლისუნარიანია, ვიდ-
რე დედიანი. სკაში შესული „ქურდი“ ფუტკრები უბირველეს ყოვ-
ლისა დედას ეძებენ მოსაკლავად. რომ ამით ოჯახს ბრძოლის უნა-
72

რი შეუსუსტონ. სუსტი ოჯახიც ნაკლებ წინააღმდევობას უნდა თავდაპირებელ ფუტკრებს. თავდაპირებელი „ქურდი“ ფუტკრები უაფარებელის არ მიადგებიან სკაში შესასვლელად, არამედ ისინი სკინ-გვლივ ფრენენ და ცდილობენ სადმე შესაძერომი ნახერეტი აღმო-აჩინონ.

„ქურდი“ ფუტკრები თეალით აღვილად შესამჩნევია. ისინი ჯერ თითქოს ერთგვარი შიშით და სიფრთხილით გარს უვლიან სკას, ხოლო რაი ერთხელ მოახერხებენ სკაში შესვლას, მერე გა-ბედულად შედინ იქ და ასევე გაბედულად გამოდიან გარეთ თაფ-ლით დატვირთულნი. ამ დროს სკაში ფუტკრები ისე სწრაფად შე-დიან და გამოდიან, რომ გამოუცდელი მეფუტკრე ვერც კი შეამ-ჩნევს—ეს ოჯახის წევრებია, თუ „ქურდი“ ფუტკრები. თუ გვინდა ფუტკრის ოჯახში ქურდობის არსებობა ზუსტად დავადგინოთ, უნდა ვეცადოთ დავიჭიროთ ჩვენს მიერ ეჭვმიტანილი ფუტკარი და მას შეცელებელ ხელი მოვუჭიროთ. ამ შემთხვევაში ეს ფუტკარი თაფლს უკან გადმოასხამს. ამის გარდა, დავკირვებითაც შეიძლება გავიგოთ, თუ რომელი ოჯახის გაქურდვა ხდება.

სუსტი ღალიანობის პერიოდში ფუტკრის ძლიერი ფრენა სკაში იმას ნიშნავს, რომ აქ ადგილი აქვს ოჯახის „გაქურდვას“, მით უშერეს, რომ ასეთი ღალიანობის დროს ფუტკრის ძლიერ ფრენას ღონიშერ აჯახებშიც ვერ გამჩნევთ.

„ქურდობა“ შეიძლება გამოიწვიოს უვარებისა, კუჭრუტებიანმა სკამ, დიდი ხნით სკის თავის ახლაშ და მუდის გასინჯვის დროს თაფლის დაღვრაში.

ქურდობას თან ბრძოლა. საფუტკრეში ქურდობის გა-ჩენასთან საბრძოლველად წინასწარ ჩავატაროთ შემდეგი ღონის-ძებანი:

1. საფუტკრეში უნდა გვქონდეს კარგი სკები უქუჭრუტანებოდ.
2. არ უნდა გვყავდეს უდედო და სუსტი ოჯახები; უდედო ოჯახს დედა მივცეთ, სუსტი ოჯახი კი გაეაძლიეროთ.
3. საკები ფუტკარს უნდა მივცეთ საღამოებას და ვეცადოთ იგი არ დაგვეღვაროს.
4. ოჯახი უნდა გავსინჯოთ რაც შეიძლება ჩქარა და დრო-ებით ამოღებული ჩარჩო სამუშაო ყუთში ჩავდგათ.
5. არაღალიანობის დროს ოჯახი უნდა გაესინჯოთ დილით ან საღამოთ.
6. არაღალიანობისას უნდა დავაპატიჟოთ ფუტკრის საფრენი.
7. სკის გარეთ არ უნდა დაგვრჩეს დაღვრილი თაფლის წვე-რები, თაფლიანი ფრჭის ნაჭრები, გათაფლული ხელსაწყო-იარაღები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ღონისძიებათა ჩატარებისას ასე
ფუტკრეში ზოგჯერ მაინც გაჩინდება ხოლმე ქურდობა, რომელიც შემდება
შეიძლება მთელ საფუტკრესაც მოედოს. ამიტომ მეფუტკრეში ჭირ
ნილ ქურდობასთან ბრძოლაც უნდა იცოდეს.

გაჩინილი ქურდობის წინააღმდეგ საბრძოლველად მიღებუ-
ლია შემდეგი ღონისძიებათა განხორციელება:

1. ფუტკრის საფრენი ისე უნდა შევამციროთ, რომ სკანდ
ერთდროულად 2—3 ფუტკარი შედიოდეს.

2. ძლიერი ქურდობის დროს საფრენის და სკის გარშემო ნაე-
თი უნდა წიავსეათ.

3. თუ ამ შემთხვევაშიც ქურდობა არ შეწყდა, მაშინ სკის სა-
ფრენი უნდა დაეხუროთ, ხოლო სკა წავიღოთ და სარდაფში დავ-
დგათ, მის აღვილზე კი ცარიელი ნავთწასმული სკა მოვათვეთ.
ორი დღის შემდეგ სკა სარდაფიდან უნდა გამოვიტანოთ. ძველ
აღვილას დავდგათ.

დედების ხელოვნურად გამოჟვანა

დედა ფუტკარი 5—6 წელიწადს და ზოგჯერ მეტსაც ცოც-
ხლობს, მაგრამ მაქსიმალური რაოდენობით კვერცხს იგი ორ-სამ
წელიწადს სდებს. ამის შემდეგ მისი კვერცხი უმეტესად გაუნაყო-
ფიერებელია, რომლისგანაც მამლები იჩეკება. ამიტომ მეფუტკრეშ
ყოველ მესამე წელს უნდა შესცვალოს ძველი დედა ახალი დე-
დით.

დედების ხელოვნურად გამოყვანა გვჭირდება აგრეთვე უფარ-
გისი დედების შესაცვლელად, ახალი ოჯახების შესაქმნელად და
სხვა. ამიტომ ხაჭირო ხდება საფუტკრეში ბეგრი ახალი დედის გა-
მოყვანა.

დედების გამოყვანის დრო და პირობები. დე-
დების გამოყვანის დროს ბუნებაში ღალიანობა უნდა იყოს. უღ-
ლიანობის დროს ფუტკარი სადედეს ცოტას აშენებს და დედაც
უხარისხო გამოდის.

ამიტომ ფუტკრის ოჯახების მთავარი საგაზაფხულო შემოწ-
მების შემდეგ, როცა თბილი ამინდი და ღალიანობა დაიწყება,
უნდა შევუდგეთ დედების გამოყვანას.

დედების გამოყვანის დროს საფუტკრეში უნდა გვჭავდეს თავ-
გადაბეჭდილი სამამლე ბარტყი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყ-
ვანილი დედები გაუნაყოფიერებლი დარჩება. ცნობილია, რომ თუ
ახლად გამოსული დედა ორმოც დღემდე არ განაყოფიერდა, მერე

ის აღარ განაყოფიერდება. ასეთ გაუნაყოფიერებელ დედას წერილი დედა ეწოდება.

მატლის მომცემი და მატლის აღმზრდებელი თჯახის მომზდება. დედების გამოყვანაში მონაწილეობას იღებს ფუტკრის ორი თჯახი. პირებელი, რომელიც კარგი ხარისხის მატლს გვაძლევს, და მეორე, რომელიც მოცემულ მატლს, დედა ფუტკრად აგვიზრდის.

კარგი ხარისხის მატლი რეკორდული დედიანი თჯახიდან უნ. და მიეიღოთ. რეკორდული დედების გამოვლინებას საფუტკრეში უმთავრესად თაფლისა და ცვილის მიღებით საზღვრავენ. ის თჯახი ითვლება ძლიერ და კარგი შთამომავლობის მომცემ თჯახიდ, რომელიც სხვა თჯახებზე მეტ თაფლსა და ცვილს იძლევა. ამის გარდა, ფუტკრის რეკორდულ თჯახებს უნდა ახასიათებდეს ავალმყოფობის და სიცივის მეტი ამტანიანობა.

საფუტკრეში რეკორდული თჯახების გამოვლინება მრავალი წლის დაკვირვების შედეგად ხდება. როცა დადგინდება ამა თუ იმ თჯახის უპირატესობა სხვა თჯახების წინაშე, მაშინ გამოიყენება იგი კარგი ხარისხის მატლის მომცემად. ასეთი კარგი მაჩვენებლებით უნდა ხასიათდებოდეს აღმზრდელი თჯახიც.

საფუტკრეში დედების გამოყვანა თრი წესით ხდება:

- 1) მატლის უჯრედიდან გადაუტანლად და
- 2) მატლის უჯრედიდან გადატანით.

დედების ხელოვნურად გამოსაყვანად საჭიროა შემდეგი ხელ-საწყო-იარაღები:

1. იზოლატორი—დედის დროებითი დასატყვევებლად ჩარჩოზე;
2. დანა—მატლიანი ფიჭის ზოლის ჩამოსაჭრელად და უჯრედის დასადაბლებლად;
3. თარგიანი ჩარჩოები—ბევრი დედის გამოსაყვანად;
4. სოლი—სამკუთხოვანი თხელი ფირფიტა;
5. ყალიბი—ცვილის ჯამების დასამზადებლად;
6. წყლიანი ჯამი—სანთლიანი ყალიბის გასაცივებლად;
7. სპირტურა—ცვილის გასადნობად;
8. გამდნარი ცვილი—ჯამის თარგებზე მისაწებებლად;
9. ფითხი—ბარტყის გადასატანად;
10. სადედე გალია—სადედეების მოსათავსებლად;
11. სანაშენ ჩარჩო—სადედე გალიების მოსათავსებლად.

მატლის მიღება. სადედე მატლი 1—2 დღისა უნდა იყოს. მეტი ხნის მატლი თაფლითაა ნაკვები და ამიტომ მისგან

ცუდი ხარისხის დედა გამოდის. მატლის ხნოვანების ზოგჯერ ჟენდერის ღიათაც განვისაზღვრავთ. ახლად გამოსული მატლი უჯრედში მატლი მოხრილი ძევს. ამ დროს მისი სივრცე დაახლოებით 1,5-შე არ აღემატება. შემდეგ იგი გრძელდება, მსხვილდება და ნახევარ-მთვარის ფორმას დებულობს.

შაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მატლის ხნოვანების თვალით კამორქევების კარგი გამოცდილება უნდა, ამიტომ ზოგჯერ შეიძლება მეფეუტკერე შეცდეს. საქმე ისაა, რომ ერთ დღეს დაბადებული მატლებიც სიდიდით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რადგან ბუ-დის სხვადასხვა იდგილის მეტნაკლები სითბო გავლენას ახდენს მატ-ლის განვითარებაზე და მის ზომაზე.

ერთნაირი ხნოვანების მატლების მისაღებად ვიქტორით შემ-დეგნაირად: ბუდის შუაგულში ვდგამთ ცარიელ ფიჭას და ყოველ-დღიურად ვაკვირდებით—როდის დაიწყებს დედა მასში კვერცხის დებას. კვერცხდების დაწყების დღიდან გვეცოდინება მატლის სწო-რი ხნოვანება. მატლის ხნოვანების გამოსარქევად მიმართავენ აგ-რეთვე იზოლატორსაც. იზოლატორი ხისაგან გაკეთებული ყუთია. იზოლატორი ორივე მხრიდან იმ ზომაზეა დახერცერილი, რომ მარ-ტო მუშა ფურქრებს შეუძლიათ შიგ გასვლა.

იზოლატორში ვდგამთ ახალაშენებულ ფიჭას, ვსვამთ შიგ დე-და ფურქარის, ვეურავთ სახურავს და ვათავსებთ მატლის მომცემ იჯახის. ბუდის ცენტრში. დედა სიდიდის გამო იზოლატორიდან ვარეთ ვერ ვამოვა და იძულებული იქნება კვერცხი ფიჭის უჯრე-დებში ჩასდოს. სამი დღის შემდეგ ჩარჩოს ვიღებთ იზოლატორი-დან და ვდგამთ ისევ ბუდის ცენტრში. ორი დღის გავლისას ამ ჩარჩოში ვევეცოდება ორი დღის მატლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მატლები დედების გამოსაყვანად ხელოვნურად დამზადებულ სადედე ჯამებში არ გადააქვთ, სარგებ-ლობენ მატლიანი ჩარჩოს ერთი გვერდით. ამისათვის ფიჭის ერთ გვერდს ისე შეიძროდ მიადგამენ იზოლატორის გვერდს, რომ დე-დას არ შეეძლოს ფიჭის მეორე გვერდზე ჩაკვერცხვა.

მატლის მომზადება. მატლიანი ჩარჩო უნდა შევიტა-ნოთ ოთხში, რომელშიაც ტემპერატურა $20-30^{\circ}$ -ს უნდა უდრი-დეს. ნაკლები ტემპერატურა გამოიწვევს მატლის გაცივებას, ხო-ლო მეტი—საკვების ამოშრობას.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბუდიდან ბარტყიანი ჩარ-ჩოს ამოღების დროს, მასზე მყოფი ფურქრების ჩაბერტყეა არ ვარგა, რადგან ამით შეიძლება მატლები დავაზიანოთ. ამიტომ ფურქრები ჩარჩოს ფრთხილად ჯაგრისით უნდა მოვაცილოთ.

სადედე მატლის მომზადება აღმზრდელ ოჯახში გადასცემისას
ორი წესით ხდება:

1) მატლის გადაუტანლად, როდესაც მატლი აღმზრდელ ოჯახს
იმავე უჯრედით ეძლევა და

2) სადედე მატლის გადატანით, როცა მატლი ჯერ გადაიტა-
ნება ცვილისაგან გაკეთებულ სადედე ჯამში და შემდეგ მიეცემა
აღმზრდელ ოჯახს.


დედების გამოყვანა მატლის გადაუტანლად
მატლის გადაუტანლად დედების გამოყვანის დროს მიმართავენ აღ-
ლების ხერხს და მუზალევსკის მეთოდს.

აღლების ხერხის გამოყვენების დროს ბუდიდან ამოლებულ მატ-
ლიან ჩარჩოს თხელი და ოდნავ გამთბარი მჭრელი დანით ფიჭას
შეულ სიგანეზე ვაჭრით ვიწრო ზოლად. ამისათვის თათახში მაგი-
დაზე ფიჭას იმ გვერდით ვდებთ, რომელზედაც ნაკლები მატლე-
ბია.

ზოლი უნდა შეიცავდეს დაუზიანებელ უჯრედთა ისეთ რიგს,
რომლის თვითონეულ უჯრედში იქნება მატლი. ზოლის ჩამოჭრის დროს
ფიჭას ქვედა რამდენიმე რიგი უნდა გამოვტოვოთ და მომდევნო
შექრივი ავილოთ ჩამოსაჭრელად. ცნობილია, რომ ფიჭის ქვედა ნა-
წილში სითბოს ნაკლებობის გამო ხშირად ცუდი ხარისხის მატლი იზ-
რდება. ჩამოჭრილ ზოლში თითო უჯრედის გამოტოვებით ვსპობთ
მატლს. ზოლის ფსკერს ვასველებთ გამდნარ ცვილში და ვაწებებთ
აღმზრდელი ოჯახიდან ამოლებული ფიჭის ამოჭრილ ქვედა ნახე-
ვარჩე. აღმზრდელ ოჯახს სადედე მატლის მიცემამდე 5—6 სა-
ათით ადრე ვართმევთ უველა თავლია ბარტყს და დედა ფუტკარს.
აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ აღმზრდელი ოჯახის ბუდის
შუაში ვდგამთ ზოლიან ფიჭას. აღლების ხერხის უმთავრესად პატა-
რი საფუტკარები და ცოტა რაოდენობის დედების გამოყვანის
დროს ხდარობენ.


ბევრი დედის გამოსაყვანად ვხმარობთ თარგიან ჩარჩოს. თარ-
გი წარმოადგესს ხის ნაჭერს, რომლის სისქე 5 მმ, სიგანე ზედა
ნაწილში 10 მმ და ქვედა ნაწილში 20 მმ-ს უდრის. ფიჭის მატლი-
ან ზოლს ვჭრით თითო-თითო უჯრედებად. უჯრედის ფსკერს და-
ვასველებთ გამდნარ ცვილში და დავაწებებთ თარგზე. თარგების
ფსკერსაც ვასველებთ გამდნარ ცვილში და ვამაგრებთ სპეციალურ
სადედე ჩარჩოზე. თარგებიანი ჩარჩოს აღმზრდელ ოჯახში ძოთავსე-
ბისას მატლიან უჯრედების ქვევით უწდა შექმნდეს პირი. სადედე
ჩარჩოდ ვიყენებთ ჩვეულებრივი 12 ჩარჩოიანი სკის ჩარჩოს. ჩარ-
ჩოს სიგანეზე მიმაგრებულია 2—3 20 მმ სიგანის და 8—10 მმ სის-

ეს თმასები თამასები ერთმანეთთან დაშორებულია 5-ეტაჟზე
ტიპურით. სადედე ჩარჩოში დაახლოებით თავსღება 50-მდე თარ-
კი მატლით (სურ. 45).



სურ. 45. სადედე ჩარჩო მასზე დამაგრებული თარგებით.

მუზალევსკის მეთოდით დედები გამოყავთ სოლების საშუალე-
ვით. სოლებს აკეთებენ ასანთის კოლოფისაგან. სოლი წარმოადგენს




სურ. 46. სოლები მასზე მიმაგრებული ჭიანი უჯრედებით.

სამჯუთხედი ფორმის ფირფიტას, რომლის სიგრძე 35 მმ და განი
15 მმ-ს უდრის. ფიჭის ზოლის თვითეულ მატლან უჯრედს გამ-
დნარ ცვილში ფსკერს დავუსველებთ და დავაწებებთ სოლის გაფარ-
თოებულ ნაწილზე (სურ. 46). სოლს ჩავარჭობთ მოშავო ფერის
ფიჭაში ჭადრაკისებურად. სოლებიან ფიჭას ჩავდგამთ აღმზრდელ
ოჯახში. უმჯობესია თუ მატლიან სოლებს მოვათავსებთ ისეთ ფი-
ჭაშე, რომლის ზედა მაარეს თაფლი იქნება.

როგორც თარგებიანი სადედე ჩარჩო, ისე სოლებიანი ფიჭაც
უნდა მოთავსდეს აღმზრდელ ოჯახში თავგადაბეჭდალ ორბარტყი-
ან ჩარჩოს შორის.

დედების გამოყვანა მატლის გადატანით და დების გამოსაყვანად, წინასწარ უნდა დამზადდეს ცვილისაგან სადედე ჯამები. სადედე ჯამებს ამზადებენ სპეციალური ყალიბით. ყალიბის აქეთებენ გაშლის, მსალის ან სივა მაგარი ჯიშის ხისაგან, ყალიბის სიგრძე 10 სმ და სისქე 9—10 მმ-ს უნდა უდრი-დეს. ყალიბის მომრგვალებული თავი აქვს.

სადედე ჯამების და-
სამზადებლად ყალიბის მომ-
რგვალებული თავი ჯერ უნ-
და დავისეველოთ ცივ წყალ-
ში და შემდეგ ჩავუშვათ გამ-
დნარ ცვილში ყალიბის ცვი-
ლიდან ამოლებისას ერთხელ
უნდა დაციქნიოთ ხელი ცვი-
ლის წვეთების მოსაცილებ-
ლად. ყალიბი კიდევ უნდა
ჩავუშვათ ცვილში შედარე-
ბით ნაკლებ სილრმეზე და
ასე გავიმეოროთ 2—3 ჯერ.
ბოლოს, ცვილიანი ყალიბი
ასევ ცივ წყალში უნდა ჩავდოთ სრული გაციცებისათვის (სურ. 47).




სურ. 48. სანერგე ჩარჩო, რომლის თა-
მასებშე მიმ-გრებულია ხელოვნური
სადედე ჯამები.

გეთ უჯრედიდან მატლის გადატანას სადედე ჯამში.

ფიჭის უჯრედიდან მატლის გადატანა სადედე ჯამში მეტუტ-
კრის ერთგვარ დახელოენების მოითხოვს, რაღაც ამ დროს მოსა-
ლონელია ზოტლის დაზიანება. დაზიანებულ მატლს კი ფუტკარი
არ ჰილებს და სადედე ჯამილან გადმოგდებს.

უჯრედიდან მატლის გადატანა სადედე ჯამში ფითხის საშუ-




სურ. 47. ა—ნის მასრები; ბ—სადედე
ჯამების გასაცეცებელი ჩხირი.

გაციცების შემდეგ ფრთხი-
ლად ორი თითით ყალიბს ვაშო-
რებთ ცვილისაგან გაკეთებულ
ჯამს. სადედე ჯამს ფსაერს უსვე-
ლებთ გამდნარ ცვილში და ვაწე-
ბებთ სანერგე ჩარჩოს თამასებზე.
სანერგე ჩარჩოს აქეთებენ ჩვეუ-
ლებრივი 12 ჩარჩოიან სკის ჩარჩო-
საგან (სურ. 48). ჩარჩოს სიგანეზე
პარალელურად გაკეთებულია ერთ-
მანეთთან 5—6 სანტ დაშორებით
3—4 თამასა. სადედე ჯამების
დამზადების შემდეგ უნდა შევუდ-



ალებით წარმოებს. ფითხი ლითონის მავთულისაგან ქეთდება ჭარბი თავი გაბრტყელებულია და მოხრილი. ფითხს ბატის ფრთი-საგანაც აკეთებენ (სურ. 49).:

უჯრედიდან სადედე ჯამში მატლის გადატანის დროს, გამოხარი დანით ნახევრამდე ადაბლებენ მატლიან უჯრედებს, რათა მატლი უჯრედში კარგად გამოჩნდეს და გაგვიადვილდეს მისი ფით-



სურ. 49. ა—ფითხი ჭიის გადასატანად. ბ—ჭიის ჩამყნა სადედე ჯამში ფითხით, გ—უჯრედიდან ჭიის გადატანა ფითხის სა-შუალებით.

ხოთ ამოლება. ამისათვის მატლიან ტიჭას სიბრტყით ვდებთ ოთახში მაგიდაზე. ფითხის გაბრტყელებულ თავს მატლს ფრთხილად ამოვდებთ ქვევიდან ზურგის ქვეშ.

უნდა ვეცადოთ, რომ მატლთან ერთად საკვებიც ამოვილოთ და გადავიტანოთ სადედე ჯამში, რადგან მაშინ მატლი უფრო ადგილად მოსცილდება ფითხს და ამავე დროს უკეთესად მიეწებება ჯამის ფსკერსაც. თუ მატლთან ერთად საკვები ვერ ამოვილეთ, მაშინ წვრილი ჩინჩით ცოტა თაფლი უნდა დავისხათ ჯამის ფსკერს.

აღმზრდელი ოჯახისათვის მისაცემი მატლის რაოდენობა და-
მოკიდებულია: აღმზრდელი ოჯახის სიძლიერებე, ახალგაზრდა ფუტ-
კრების რაოდენობაზე, ღალიანობაზე, ჰაერის ტეპერატურაზე,
ოჯახის საკვების მარაგზე და სხვ. თუ ოჯახი ყველა ამ პირობე-
ბით უზრუნველყოფილია, მაშინ შეიძლება მას მიეცეს 40—50-მდე
სადედე მატლი.

ყოველთვის უნდა ვიეარაუდოთ, რომ მიცემული მატლის რა-
ოდენობიდან ნაწილს ფუტკრები არ მიიღებენ, ნაწილი სადედების
გადაბეჭვდის დროს ჩვენს მიერაც იქნება დაწუნებული, ხოლო ზო-
გიერთი დედა განაყოფიერების შემდეგ დაკარგული აღმოჩნდება.
ამიტომ მეფუტკრებ მატლების აღმზრდელ ოჯახს ყოველთვის იმ
დედების რაოდენობაზე მეტი მატლი უნდა მისცეს, რომელთა გა-
მოყვანაც მას სურს.

მატლების მიცემის შემდეგ, მთავარია აღმზრდელი ოჯახის
მოვლა. უპირველეს ყოვლისა აღმზრდელი ოჯახის ბული კარგად
უნდა დავათბუნოთ გვერდებიდან და ზევიდანაც. მეორე დღეს უნ-
და გავსინჯოთ აღმზრდელი ოჯახი და ვნახოთ, რამდენი მატლი
მიიღო მან. მიღებულ მატლებს ფუტკრები უშენებენ სადედებს და
აძლევეა საკვებს. არის შემთავევა, როცა აღმზრდელი ოჯახის მიერ
მატლების შილების შემდეგ ცუდი ამინდები დაიწყება და ღალია-
ნობა ზეწყდება. ამ დროს ოჯახი ხელოვნურ კვებაზე უნდა გადაყი-
ყავიოთ. ცელოვნური კვებისათვის ვიყენებთ შაქარწყალს ან თაფლ-
წყალს.


აღმზრდელი ოჯახის შემდეგ გასინჯვა სადედების თავგადა-
ბეჭვისას უნდა მოადეს. თავგადაბეჭდილი სადედები სადედე გა-
ლიებში უნდა შოთავსლეს, თორემ პირველად გამოსული დედა,
გილრლის ყელა დანარჩენ სადედეს.

სადედების გალიაში მოთავსება სადედე მატლის მიცემიდან
10 დღის შემდეგ ტარდება. გალიაში გამოსული დედის კვებისათ-
ვის გალიის ქვედა ის სარქელზე უნდა მოვათავსოთ საკვები. საკ-
ვებად შეიძლება გამოვიყენოთ თაფლიანი ფიჭის ნაჭერი, ხოლო
უკეთესია თუ გავაკეთებთ ყანდის საკვებს. ყანდის საკვები კეთდე-
ბა შაქრის ფქვილისა და თაფლისაგან.

ჩეულებრივ დანაყილ ზაქარს გავატარებთ წმინდა საცერეში-
თაფლს (თაფლი ჯანსაღი ოჯახიდან უნდა ავილოთ) გავათბობთ
ცეცილზე სრულ განიხილეთ და გავაცივებთ. გაცივებულ თაფლს
გაყრით თანდათანობით იძლევ შაქრის ბუდრს და გზილავთ, ვადრე
6. ჩეფატკრების პრაქტიკული.



მოხელისას იგი ცომად არ იქცევა. სადედების გალიებში მოფარისებული ბის დროს უნდა მოხდეს მისი გადარჩევა. პატარა, ძალიან წაგრძელებული, მრუდე და გაშვრილებული სადედე უნდა დავიწუნოთ, რადგან აქედან ყოველთვის ცუდი დედები გამოვლენ. სადედისა და შემდეგ დედის მოსავლელად ყოველ სადედესთან გალიაში ვათავსებთ 10—15 ახალგაზრდა ფურტკარს. სადედებიან გალიებს ვათავსებთ სპეციალურ სანაშენო ჩარჩოში და ვუბრუნებთ იმავე აღმზრდელ ოჯაას ანდა იგი შეიძლება რომელიმე სხვა ოჯაასაც მიყცეთ (სურ. 50).



სურ. 50. ტიტოვის გალიები სადედებით სანაშენო ჩარჩოში.

ერებული დედა ანდა დავუტოვოთ 1—2 თავგადაბეჭდილი სადედეთუ ვინიცობა აღმზრდელი ოჯაასი სადედების მიცემის დროს დასუსტდა, მაშინ იგი უნდა გავაძლიეროთ მწიფე ბარტყის მიცემით.

ნუკლეუსები დედების გასანაყოფიერებლად

ხელოვნურად გამოყვანილი დედების გასანაყოფიერებლად საფუტკრეწი უნდა შევქმნათ პატარა ოჯახები ნუკლეუსების საბით. ნუკლეუსებისათვის ჰეიძლება გამოვიყენოთ დადან-ბლატის 12-ჩარჩინიანი სკა. დადან ბლატის 12 ჩარჩინიანი სკა ტიბარის საშუალებით უნდა გავყოთ 3—4 ნაწილად (სურ. 51).


ტიხარი მოძრავი უნდა იყოს და სკის ფსკერს ისე ედგმებოდეს, რომ ფუტკრები ერთი განყოფილებიდან მეორეში ვერ გავიდნენ. სკის ყოველ განყოფილებას თავისი საურენი უნდა ჰქონდეს. სკის საფრენები ერთიმეორის წინააღმდეგ უნდა იყოს პოწყობილი. კარგი იქნება, თუ სკის ყოველ განყოფილებას სხვადასხვა ფერით შევლებავთ, რადგან დედა ფუტკარი გასაყოფიერების შემდევ კარგად გაარცვევს ოჯაას.

ნუკლეუსებს უნდა გაეუკეთოთ ცალკე სახურავები, რათა ოჯაასის გასიცვევის დროს ფუტკარი ას დედა ერთა სუკლეუსიდან შეორებში არ გადავიდეს.

დადან-ბლატის სკაში ნუკლეუსების როთავსებას საერთოდ დი-

დი უბირატესობა აქვს. ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, ოთხი ფლანელი ერთ სკაში გეყავს მოთავსებული და ისინი ზამთრობით ერთმანეთს კარგად ათბობენ და, მეორე, ნუკლეუსებიდან ადვილია ნორმალური ფლანელის შექმნა, დათბუნება, გაძლიერება და სწვ.


ზოგიერთ დიდ სა-
უუტკრეში, სადაც ბევ-
რი დედაა საჭირო პა-
ტარა ნუკლეუსებს აკე-
თებენ. პატარა ნუკლე-
უსში დადან-ბლატის
სკის ბუდის $\frac{1}{6}$ ზომის საფრენი
ჩარჩოს ათავსებენ (სურ.
52). ჩარჩოს სიგანე უდ-
რის (გარეთა მარიდან)
140 მმ, ხოლო სიმაღ-
ლე—134 მმ. ნუკლეუსს
აკეთებენ ორჩარჩო-
ანს და ნარიმანშლის მა-
ვივრად მავთულის კაუჭის უკეთებენ. ნუკლეუსის სახურავის შუა აღ-
გილი გახვრეტილია,
საიდანაც უნდა ჩავ-
დოთ მწიფე სადედე ან
დედა გალით.



სურ. 52. პატარა ნუკლეუსი დადან-ბლატის ჩარჩო-
ში $\frac{1}{6}$ ზომის ჩარჩოთი.

ში არ ჩავერცხოს და ფუტკარმა თაფლო არ ჩაასხას.

საფრენი



საფრენი

სურ. 51. ერთ სკაში მოთავსებული 4 ნუკლეუსი.

გილი გახვრეტილია,
საიდანაც უნდა ჩავ-
დოთ მწიფე სადედე ან
დედა გალით.

ნუკლეუსში მოთავ-
სებულ ფუტკრებს არ
შეუძლიათ ფიჭა აშე-
ნონ, ან თაფლი შეაგ-
როვონ. ამიტომ ნუკ-
ლეუსისათვის ხელოვ-
ნურ ფიჭას ასაზენებ-
ლად ფუტკრის ძლიერ
რჯახს უდგამენ. ხე-
ლოვნურ ფიჭას ბუდის
ან საკუჭნაოს უკანის-
კნელი ჩარჩოს გვერ-
დით დგამენ, რათა დე-
დამ აშენებულ უჯრედ-



ზოგჯერ ისე აკეთებენ, რომ დადან-ბლატის სკის საკუჭნაოს ჩამოვალი არ მოვალეობს ამ დროს ბუდესა და საკუჭნაოს შორის გაყოფ ბადეს ათავსებენ, რათა დედა ფუტქარი ზევით (საკუჭნაოში) არ ავიდეს. როდესაც ფუტქრები ნუკლეუსის ჩარჩოებში თაფლს ჩასხამენ და თავისგადა-ბეჭვდას დაიწყებენ, ნუკლეუსის ჩარჩოებს ამოიღებენ და მათ მა-გიერად სხვას ჩადგამენ.

თვითეულ ნუკლეუსში დგამენ ერთ ჩარჩოს საკვებით და მე-ორეს—მშრალი ფიტით. ამის შემდეგ იწყებენ ნუკლეუსში ძლიერი თვალით ანალგაზრდა ფუტქრების ჩაბერტყვას. ანალგაზრდა ფუტ-კრის ჩაბერტყვა და შეგროვება ჯერ სანაყრეში უნდა მოხდეს. ფუტქრების ჩაბერტყვის დროს ჩარჩო კარგად უნდა დავათვალი-ერთ, რომ დედა არ გაყვეს ფუტქრებს. სანაყრეში ფუტქრების ჩაბერტყვის შემდეგ ეხსნით საბურავს სანაყრეს და ყოველ ცალ პე ნუკლეუსში დაახლოებით ვყრით ერთ ჩაის ჭიქა ფუტქარს. ფუტქრების დასახლებიდან 5--6 საათის გავლის შემდეგ ნუკლეუსს ვაძლევთ მწიფე სადედეს ანდა გაუნაყოფიერებელ დედას ვალით. ასეთი ნუკლეუსების მოწყობა სჯობია ხანგრძლივი ღალიანობის პერიოდში, რადგან ხანმოკლე ღალიანობის დროს ისინი ზეიძლება ფუტქრებმა გაქცეროთ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პატარა ნუკლეუსებს აქვს მთელი რიგი უარყოფითი მაარეები. ასე, მაგალითად: აატარა ნუკ-ლეუსების სკების დასტანდებლად საჭიროა ბევრი ხე ტყის მასალა, რაც აძვირებს დედების ღირებულებას, ასეთ ნუკლეუსებში დედების შეფასების საშუალება არ გვეძლევა, ისინი ძნელი დასათბუზებელია, დედები ნუკლეუსებში უხარისხო გამოდის და სხვა.

პატარა ნუკლეუსების უპირატესობად ზეიძლება ჩაითვალი-ს ის, რომ ამ შემთავევაში ფუტქრების მცირე რაოდენობა გვჭარდე-ბა და ბევრი დედების გამოყვანა შეიძლება.

ნუკლეუსში ფუტქრის დასახლება. ნუკლეუსში ფუტქრის დასახლების დროს უნდა იყოს წყნარი და თბილი აძინ-დი, თოლო ფუტქრის უმეტესი ნაწილი ღალახე წასული.

ნუკლეუსში უნდა დავასაბლოთ ანალგაზრდა არამეტრინავი ფუტქარი თავგადაბეჭდილი ბარტყიანი ჩარჩოებით. ამრიგად ნუკ-ლეუსში უნდა იყოს ერთი ჩარჩო ფუტქრით და მწიფე ბარტყით, ერთი მშოალი ფიჭით და ერთიც—საკუებით. ნუკლეუსის მოყა-ბის შემდეგ საჭიროა დამატებით ფუტქრის მიცემა, აირომ ჯა-სა-ლი. ოჯათიდან 1 - 2 ჩარჩო აღალგზრდა ფუტქარს ჩატეორუავთ ნუკლეუსში და დავდგამთ ჩისთვის მიჩნეულ ადგილას.



ნუკლეუსში დედის ან სადედის მიცემა დასახლებიდან აკორეცენტ
საათის გავლის შემდეგ ხდება.

ნუკლეუსში ფუტკრები ღალიანობის დროს უფრო ღებულო-
ბებ როგორც გაუნაყოფიერებელ დედას, ისე სადედეს. რაც უფრო
ახალგაზრდა დედა, მით უფრო კარგად ღებულობენ მას ფუტკრე-
ბი და პირიქით. დედა ფუტკარზე უფრო კარგად ფუტკრები სადე-
დეს იღებენ, ამიტომ უმჯობესია ნუკლეუსს მიცემ სადედე და რა
დედა.

ნუკლეუსში დედას გალიით ორ ფიჭის შორის ათავსებენ. გა-
ლიის ქვედა სახურავს ფიჭის თხელი ნაჭრით ხურავენ. სადედეს ნუკ-
ლეუსში შასრით ათავსებენ, ხოლო თუ იგი სოლზეა, მაშინ ჩარჩოს
ფიჭის ზედა ნაწილში ჩაარჭიობენ.

შევრი სადედეს დროს თითო ნუკლეუსს ორ სადედეს აძლე-
ვენ, რადგან შეიძლება რომელიმე სადედეში დედა დაიღუ-
პოს.

6 უკლეუსების მოვლა. 1. 5—6 დღის განმავლობაში ნუკ-
ლეუსს უნდა მივაწოდოთ წყალი ჩარჩოებში ან საკვებ ჭურჭელში
ჩასხმით.

2. ნუკლეუსის საფრენი იმდენად უნდა დავაპატაროთ, რომ
მხოლოდ 2—3 ფუტკარს შეეძლოს შესვლა.

3. თუ რომელიმე ნუკლეუსი ფუტკრების სიმცირის გაშო და-
სუსტდა, იგი უნდა გავაძლიეროთ თავგადაბეჭდილი ბარტყიანი
ჩარჩოს ჩადგმთ.

4. ნუკლეუსის გასინჯვა უნდა ვაწარმოოთ დილით ან სალა-
მოს, რადგან სხვა დროს მისი გასინჯვა გამოიწვევს ქურდობას ან
დედის დაკარგვას.

5. კარგია, თუ გასინჯვის დროს არ ვიხმართ საბოლებელს,
რადგან საბოლებლის ბოლი დედა ფუტკარს უფრო მოუსვენარს და
მშიშარს გახდის. ახალგაზრდა დედა ყოველთვის უფრო მოუსვე-
ნარი და მადალია, ამიტომ იგი სწრაფად გადადის ერთი ჩარჩო-
დან მეორეზე და ცდილობს სადმე მიიმალოს.

6. ნუკლეუსის გასინჯვის დროს შეიძლება დედა შემთხვევით
ვაფრინდეს. მაშინ უნდა შევწყვიტოთ მუშაობა და გავჩერდეთ სა-
ნამ დედა არ დაბრუნდება (დედა რამდენიმე წუთში დაბრუნ-
დება).

7. უნდა ვერიდოთ ნუკლეუსის ხშირ გასინჯვას. საერთოდ
ნუკლეუსს პირველად დედის მიცემის მეორე დღეს სინჯავენ, რომ
თარწმუნდენ დედის მიღებაში, ხოლო მეორედ—5—6 დღის შემ-



დეგ, რომ გაიგონ დედის განაყოფიერება და კვერცხის დების უებზე განვითარება.

8. ახალგაზრდა დედა 15 დღეში ნაყოფიერდება, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როცა ზოგი დედა უფრე ადრე განაყოფიერდება, ზოგი კი უფრო გვიან. დედის განაყოფიერების ვადების ასეთი ცვალებადობა უმთავრესად ამინდზეა დამოკიდებული. ამიტომ თუ ნუკლეუსში დედა 15 დღეში არ განაყოფიერდა, მაშინ იგი სხვა გაუნაყოფიერებელი დედით ან მწიფე სადედით უნდა შევცვალოთ. განაყოფიერებული დედის კვერცხის დების დაწყებიდან 2—3 დღის შემდეგ ფუტკრის ოჯახში ვცვლით ძველ დედას ანდა შევადგენთ ახალ ოჯახს. ნუკლეუსების ნაწილს ისევ ვტოვებთ სათადარიგო დედის შესანახად.

ფუტკრის ნაყარი

ძეველად საფუტკრის გაზრდა და ფუტკრის ოჯახების გამრავლება ბუნებრივი ნაყრობის შედეგად ხდებოდა. დღეს კი განვითარებული კულტურული მეფუტკრეობა უფრო ხელოვნური ნაყარის გაქეთებას მიმართავს.

მოკლედ უნდა აღვნიშნოთ ხელოვნური ნაყარის უპირატესობა ბუნებრივ ნაყართან შედარებით.

ხელოვნური ნაყარის გაქეთება თვითონ მეფუტკრებეა დამოკიდებული. საფუტკრეში ნაყრების გაქეთება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ნაყრების დროულად მოწყობით ხდება ოჯახების და ფუტკრის მაქსიმალური გამრავლება, რის შედეგად ღალიანობის, დროს საფუტკრეში ბევრი თაფლი გროვდება.

ბუნებრივი ნაყრობის დროს, პირიქით, თაფლის შემოსავალი საფუტკრეში მცირდება, რადგან ფუტკრის ოჯახი ნაყრობის სურვილის გაჩენის დღიდან ნაყრის გამოშვებამდე ამცირებს მუშაობას და ნექტარის შემოზიდვის სკაში. ამის გარდა ბუნებრივი ნაყრობა ხშირად მთავარ ღალიანობის პერიოდს ემთხვევა და გაყოფილი ოჯახი ველი ასწრებს ამ დროს არსებული ნექტარის მთლიანად აღებას.

ამიტომ ფუტკრის ოჯახების გამრავლება და საფუტკრის ზრდა ხელოვნური ნაყრების გამოყვანით უნდა ვაწარმოოთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, საფუტკრეში ხშირად მაინც გამოვა ხოლმე ბუნებრივი ნაყარი და თუ მეფუტკრემ არ იცის მისი მოელა-პატრონობა იგი დაიკარგება.

ფუტკრის ნაყარის გამოსვლა. 'გაზაფხულზე ძლიერი ოჯახი სწრაფად მრავლდება და ამით სივიწროვეს განიცდის.


სურვილენის
სამართლებრივი განკუთხები

სივიწროვის გამო ფუტკრებს ახალი ოჯახის შექმნის სურვილენის
დებათ.

ნაყარის გაჩენას ხელს უწოდს კარგი თბილი გაზაფხული, ღა-
ლიანობა და ოჯახის სიძლიერე.

ახალი ოჯახის შექმნისათვის ფუტკარს სჭირდება ახალი დე-
და და მის გასანაცოფიერებლად—მამლები. მიტომ საფუტკრეში
ოჯახების ნაყრიანობა იწყება უმთავრესად მაისის დასაწყისში, ხო-
ლო ზოგჯერ თუ კარგი ამინდები და კარგი ღალიანობაა, იგი შე-
იძლება აპრილის ბოლოსაც დაიწყოს.

როდესაც ფუტკრის ოჯახში სადედები გაჩნდება, ეს იმას ნიშ-
ნავს, რომ ოჯახი ნაყარის გამოშევებას აპირებს. ნაყრობის სადედებს
ფუტკრები უმთავრესად ფიჭის ნაპირში აშენებენ (სურ. 53).



სურ. 53. მარცხნივ—ნაყრობის სადედები, მარჯვნივ—გაჭივრების
სადედე, შუაში აშენებული სადედე ჯამები.

როცა ფუტკრის ოჯახში თაგვადაბეჭდილ სადედეს ვნახავთ,
უნდა ვიფიქროთ, რომ ორ-სამ დღეში ამ ოჯახიდან ნაყარი გამო-
ვა. ნაყარი უმთავრესად დილის 9 საათიდან 3 საათამდე გამო-
დის.

ნაყარის გამოსვლის შინ ფუტკრები იქსებენ ჩიჩახს თაფლით
3 დღის მარაგით და ისე გამოლიან სკიდან. პირველად სკიდან გა-
მოდის მუშა ფუტკარი, რომელსაც ბოლოს დედა ფუტკარიც გა-
მოყვება. გამოსული ფუტკარი ჯერ მაღლა მიიწევს, ტრიალებს
სკის გარშემო, თანდათანობით შორდება მას და, ბოლოს, რამდე-

ნიმე წუთის შემდეგ, ნაყარი დაიწყებს ხის ტოტზე ან სხვა საგანზე შეხვევას (სურ. 54).



შეგუნდებული ნაყარი რამდენსამე საათს იცდის და თუ მეფუტკრემ იგი დროზე არ დააბინავა, ფუტკარი აიშლება და მიაშურებს იმ ახალ ბინას, რომელიც მას წინასწარ ჰქონდა მოძებნილი მზეერავების საშუალებით.

როგორც წესი, ოჯახიდან პირეელი ნაყარი ყოველთვის ძველი დედით გამოდის, ხოლო თუ შემდეგ ამ ოჯახმა კიდევ მოისურეა ნაყრების გამოშევება, მაშინ ყველა გამოსულ ახალ ნაყარში ახალი დედა იქნება. ბეჭრი ნაყარის გამოსულით ოჯახი ძალზე სუსტდება. ამის გარდა, გამოსული ნაყარიც სუსტია.



ნაყარის სიძლიერეს სასწორზე აწონით არქვევენ. ძლიერი ნაყარი წონით 3 კგ-ს და მეტსაც უნდა უდრიდეს, საშუალო—2 კგ-ს, ხოლო სუსტი—1 კგ-ს. ძლიერი ნაყარი მეტწილად მთავარი ღალიანობის დროს კვყავს.

არის ხოლმე შემთხვევა, როცა დედა თავისი უძლურების გამო ნაყარს არ გამოყება. ამ დროს სკიდან გამოსული ფუტკრები ცოტა დედას ულარ შენიშნავენ, ისევ სკაში დაბრუნდებიან.

ნაყარის დაპინავება. გამოსული ნაყარის დაბინავებისათვის საჭიროა: სქა, ჩარჩოები ხელოვნური და შშრალი ფიჭით, სანაყრე, სხვადასხვა იარალი (ხერხი, ოკეი, კიბე, ჭალდი, ჭოკი), ოჯახის მოსათავსებელი ადგილი და სხვა.

თუ საფუტკრეში ან მის მახლობლად ისეთი მცენარეები არ არის, რომელსაც ფუტკარი მიეხევევა, მაშინ ჩენ თვითონ უნდა გავაკეთოთ ნაყრის მისატყუებელი მოწყობილობა. ამისათვის მიწაში ჩაგდესობთ 1,5 მეტრი სიმაღლის ბოძს და ზედ მოვათავსებთ ჩაშო-

სალებ ჩრტალ დაც. 1
ხის ტოტის მიწაში ჩარჭობაც.

გამოსული ნაყარი იწყებს მიხევებას ხის ომელიმე ტოტზე ან
იშვიათად — მის ტანზე. მიხევეული ნაყარის გუნდს ქვევიდან შევუდ-
გამთ სანაყრეს, ტოტს ერთი ხელის დაკვრით შეეარჩევთ და ფუტკრე-
ბი სანაყრეში ჩაცვივ.
დებიან. შემდეგ სანაყ-
რეს შემოვაბრუნებთ და
კუჭით ჩამოვკიდებთ
იმ ადგილას, სადაც
ნაყარი იყო მიხევეული.
სანაყრეში ფუტკარი
ზემოთ შექუჩდება, ხო-
ლო სანაყრის გარეთ
დარჩენილი ფუტკრები
აიშლებიან და ისინიც
სანაყრეში შევლენ.

თუ ფუტკარი ხის
ტანზეა მიხევეული, მა-
შინ იგი ჯაგრისით უნ-
და ჩავხევეტოთ სანაყ-
რეში, ხოლო თუ ფუტ-
კარი ძალიან გაფანტუ-
სურ. ჩ. მიწაში ჩასობილი ბოძი ზედ მოხავებუ-
ლადა მოხევეული, მა-



შინ ერთი მუჭა ფუტკარი უნდა ჩავყაროთ სანაყრეში, რომელიც იქვე
უნდა ჩამოვკიდოთ. რამდენიმე წუთში სხვა ფუტკრებიც შევლენ სა-
ნაყრეში. არის ხოლმე შემთხვევა, როცა ნაყარი ძლიერ მაღლა მი-
უწვდომელ ადგილას მიეხევეა ხის ტოტს. ამ დროს საჭიროა ხეზე
ვასვლა, ტოტის ფრთხილად მოჭრა და თოვით მისი ძირს ჩამოშ-
ვება. ასეთი ნაყარი შეიძლება სანაყრის გარეშე სკაში ჩიგბერტყოთ
და სკა დროებით იქვე ხის ქვეშ დავდგათ, რომ დანარჩენი ფუტ-
კრებიც შიგ შევიდნენ. ყველა ფუტკრის სკაში შესვლის შემდეგ შე-
იძლება სკა წავილოთ მისთვის განკუთვნილ ადგილას.

საერთოდ მაღალი ხიდან ნაყარი სახურიებიანი სანაყრით ჩა-
მოყვათ (იხ. სურ. 190) სანაყრეში ნაყრის ჩაყრის შემდეგ სანაყრეს
რამდენიმე წუთით ხეზე აჩერებენ, რათა დარჩენილი ფუტკრები მას
შემოხებიონ.

კარგია თუ დაბინავებულ ნაყარს მივცემთ 1 ან 2 თაფლიან
ჩარჩოს. თუ თაფლიანი ჩარჩო არა ვაკეს, მაშინ ფუტკარს უნდა
გავუკეთოთ 2 კვ მდე ხელოვნური საკვები. ჩარჩოების ბუდეში ჩად-

გმისას მათ ერთ ან ორ მხარეზე ტიხარი უნდა მოვუთავსოთ, შემო-
დან ტილო დავათაროთ და სკა მხად იქნება ნაყრის მოსაზღვევის დროის
ლად.

ნაყარის დაბინავება. სანაყრიდან სკაში ნაყარის მა-
შინვე მოთავსება არ ვარგა, რადგან ამ დროს შეიძლება ნაყარმა
ოჯახი დატოვოს. ამიტომ უკეთესია ნაყარი 1—2 საათის შემდეგ
დავაბინაოთ.

იმ მიზნით, რომ ნაყარმა სკა არ დატოვოს, სკაში სხვა ჩარ-
ჩოებთან ერთად კიდევ დგამენ ერთ ჩარჩო თავგადაუბეჭდავ ბარტყს.
სკა აუცილებლად უნდა დავდგათ მზეზე მოფარებულ ადგილას. თუ
საჩრდილობელი ხე არ არის, მაშინ სკა ხელოვნურად უნდა დავ-
ჩრდილოთ.

ნაყარს სკაში აბინავებენ ორი ხერხით:

- 1) ფუტკრის ზევიდან ჩაბერტყვით სკაში და
- 2) საფრენში შეშვებით.

ფუტკრის ზევიდან ჩაბერტყვის დროს თავახდილ სკაში ჩარ-
ჩოებს ერთ მხარეს მივწევთ და სანაყრიდან ფუტკრებს თავისუფალ
ადგილას ჩავბერტყვავთ. ჩაბერტყვის შემდეგ ჩარჩოებს ისევ სკას შუ-
აში გავწევთ, ტიხარს ჩავუდგამთ, ტილოს გადავათარებთ და სკას
სახურავს დავხურავთ.

ნაყარის სკაში საფრენიდან შეშვებისათვის ფუტკრებს დავ-
ბერტყვავთ სკის საფრენის წინ დაფენილ ტილოზე. ტილოს ერთი
კიდე საფრენს უნდა უერთდებოდეს. წინასწარ სკაში ზევიდან უნ-
და ჩავყაროთ 1—2 მუჭა ფუტკარი და ტილო დავათაროთ. ეს სა-
ჭიროა იმისათვის, რომ სკაში ჩაყრილი ფუტკრის ბზუილის გაგო-
ნებისას გარეთ მყოფი ფუტკრები უფრო სწრაფად შევლენ სკაში.

ოჯახის მიერ ნაყარის გამოშვების დასადგენად უპირველეს ყოვლი-
სა უნდა გაესინჯოთ ამ მხრივ ეჭვმიტანილი ფუტკრის ოჯახები,
რომელ ოჯახშიაც აღმოჩნდება ფუტკრის სიმცირე და ახალგაზრ-
და დედა ან სადედები, იმ ოჯახიდან იქნება გამოსული ნაყარი.
ხოლო მეტი სიზუსტისათვის ნაყრიდან უნდა ავილოთ ერთი მუჭა
ფუტკარი და იგი მარლაგადათარებული ჭიქით ბნელ ადგილას დავ-
დგათ. როდესაც ნაყარს დაებინავებთ, ჭიქა გარეთ გამოვევს,
დამწყვდეულ ფუტკრებს ფქვილს დავაყრით, ჭიქიდან გამოვუშვებთ
და ვადევნებთ თვალს—რომელ ოჯახში დაბრუნდებიან ფუტკრები.
მაშინ ამ ოჯახის შემოწმება მოვიხდება, რათა ნამდვილად დავად-
გინოთ იქიდან ნაყრის გამოსულა.

როგორ მოვუაროთ ნაყარს. 1. ნაყარი დაბინავების



მეორე დღეს უნდა გაესინჯოთ. თუ ფუტკრებს ფიჭის შენება უწყიათ და ლალაზე დაფრენენ, მაშინ ნაყარი ოჯახს აღარ დატვირთვა ვებს.

2. მდ შემთხვევაში, თუ ნაყარის დაბინავების დღიდან ცუდი ამინდი ან გვალვა დაიწყო და ლალიანობა შეწყდა, ფუტკარს საკეთი აღარ ეყოფა. თუ ამ დროს მას ხელოვნური საკვები არ მივაწოდეთ, ნაყარი ოჯახს დატოვებს ან დაიღუპება.

3. ერთ ხანს ნაყარში ახალგაზრდა ფუტკრის მატება ნელა მიმდინარეობს. ამავე დროს ყოველდღიურად იღუპება ლალაზე წასული ფუტკრის დიდი ნაწილი. ამ დანაკლისის შევსება და ნაყარის გაძლიერება მწიფე ბარტყით ან ფუტკრის მიცემით ხდება.

4. ზოგ ნაყარს დედა განაყოფიერებული და ზოგს გაუნაყოფიერებელი ეყოლება. თვალყური უნდა ვადევნოთ — როდის დაიწყებს კვერცხის დებას განაყოფიერებული დედა, როდის განაყოფიერდება და მოგვცემს კვერცხს. განაყოფიერებული დედის არსებობა კვერცხის გაჩენით დასტურდება.

5. გასანაყოფიერებლად გაფრენილი დედის დაქათვებისას ნაყარს საჩქაროდ უნდა მივცეთ ახალი დედა ან თავგადაბეჭდილი სადედე.

6. ნაყარის გაძლიერებასთან ერთად ნაყარს თანდათანობით უნდა ცუმატოთ ხელოვნური ფიჭა, ხოლო მთავარი ლალიანობის დაწყებისას — აშენებული შშრალი ფიჭები, რათა ნაყარმა კარგად დაიწყოს თაფლის მარაგის შეგროვება.

ნაყარის სურვილის შეწყვეტა. 1. ნაყარის გამოსხვიდან 3—4 დღის გავლისას ბუდეში, გარდა ერთი კარგი სადედისა, ყველა უნდა მოვსპოთ, ვინაიდან ამ დროს ბუდეში კიდევ ბევრია 1—2-დღიანი ახალგაზრდა ბარტყი, რის გამოც ფუტკრები კიდევ მოისურვებენ ნაყარის გამოშვებას და შეუდგებიან ახალი სადედების აშენებას. 3—4 დღის შემდეგ ბუდე ისევ უნდა გაესინჯოთ და თუ სადედები აღმოჩნდა, კვლავ მოვსპოთ ისინი. ამის შემდეგ ოჯახს ახალგაზრდა ბარტყი აღარ ეყოლება და, ცხადია, მას ნაყარობის სურვილიც შეუწყდება.

2. როგორც ვთქვით, პირველ ნაყარს ძველი დედა მიყვება და ოჯახში მწიფე სადედე უჯრედი რჩება. თვალყური უნდა ვადევნოთ აქედან დედის გამოსვლას და მის განაყოფიერებას. ამიტომ ნაყარის გამოსვლიდან 15 დღის შემდეგ ოჯახი უნდა გაესინჯოთ.

თუ ვნახეთ, რომ სადედის ხუთი სწორადაა მოჭრილი და ცალი კიდით ზედევ ჰქიდია, მაშინ დედა წესიერად გამოსულა; თუ სადედე გვერდიდან გამოხრულია, ეს იმის ნიშანი იქნება. რომ

ფუტკრებს დედა მოუკლავთ, ხოლო თუ სადედე ისევ გადაბეჭდის დროა, დედა თავისით მომკვდარა (იხ. სურ. 53) სამივე შემთხვევაში საჭიროა სხვა დედის შოვნა და ოჯახისათვის მიცემა.

3. დადგენილია, რომ ზედმეტი სიცხვე, სკაში ფუტკრის სიციტროვე და ჰაერის ნაკლებობა ნაყორბის გამომწვევია. ამიტომ თუ სკა მზებელ დგას, მას ნის ტოტები უნდა დავათაროთ, ხოლო აერაციის გაძლიერებისათვის საფრენი გავაღიდოთ.

ოჯახების ხელოვნური გამრავლება

როგორც აღნიშნეთ, ხელოვნური ნაყორების მიღება საფუტკრებზე ვეგმური გზით მიმდინარეობს.

ოჯახების ხელოვნურად გამრავლებისათვის საჭიროა წინასწორ მომზადება:

1. ნაყორის მიღებამდე უნდა ვიზრუნოთ დედების გამოყვანისათვის. დედები, როგორც ვთქვით, საფუტკრეში ხელოვნურად გამოვყავს.

2. გასამრავლებელი ოჯახი ძლიერი და ჯანსაღი უნდა იყოს.

3. ოჯახების ხელოვნურად გამრავლება უმთავრესად ვაზაფხულის თბილ დღეს ღალაზნობის დროს უნდა ჩავატიროთ.

ოჯახების ხელოვნურად გამრავლების მრავალი მეთოდი არსებობს. მათ შორის ჩვენ ზოგიერთ უმთავრეს მეთოდს განვიხილავთ.

ოჯახიდან ოჯახის გამოყოფა. ძლიერი ოჯახიდან ყოველთვის შეიძლება ახალი ოჯახის გამოყოფა. როდესაც ფუტკრები მინდორში ფრენას დაიწყებენ, მიგვაქვს ცარიელი სკა გასაყოფ ოჯახთან და ვდგამთ მის გვერდით. გასაყოფი ოჯახიდან ამოვილებთ ჩარჩოების ნახევარ რაოდენობას თაფლით, ბარტყით და ზედ მსხდომი ფუტკრებით. ამ ჩარჩოებს გადავიტანთ ახალ სკაში. ვეძებთ დედას, რათა ვიცოდეთ—ძველ სკაში დარჩი იგი თუ ახალ ში გადავიდა.

ოჯახის გაყოფის დამთავრების შემდეგ ორივე სკას ვათბუნებთ და 1,5 მეტრით ვაშორებთ ერთმანეთს. ორივე სკას ერთი ფერი, ერთხაირი სიმაღლე და საფრენის ერთხაირი მოცულობა უნდა ჰქონდეს. მინდვრიდან დაბრუნებული ფუტკარი ცოტა ხანს ძველი სკის ადგილამყოფელთან დაიწყებს ფრენას, ხოლო შემდეგ ნაწილი ძველ სკაში შევა, ნაწილი კი—ახალში. საღამოს ორივე ოჯახს საფრენს ვუბატარავებთ და უდედოდ დარჩენილ ოჯახს სათადარიგო დედას ვაძლევთ ან სადედეს ვამყნით.



ამის შემდეგ საჭიროა, ორივე ოჯახის განვითარებას ყური ვაღევნოთ, განსაკუთრებით კი იმ ოჯახს უნდა მივაჭროთ ყურადღება, რომელსაც აზალი დედა ან სადედე მივეცით. ამასთანავე, ორივე ოჯახის დროგამოშვებით უნდა მივცეთ 1—2 ხელოფნური ან მშრალი ფიჭა.

ძველი ფუტკრისაგან შემდგარი გამონაყოფ ოჯახსაც აკეთებენ. ამისათვის წინასწარ მოვამზადებთ სკას. სკაში ვდგამთ 2 ჩარჩო მშრალ ფიჭას, 2 ჩარჩო ხელოფნურ ფიჭას და 1 ჩარჩოს საკებით. შემდეგ ვეძებთ დედას გამოსაყოფ ოჯახში და რომელ ჩარჩოზეც ვნახავთ მას, იმავე ჩარჩოთი ჩავდგამთ აზალ სკაში. აზალ სკას ვდგამთ ძველი სკის აღილას, ხოლო ძველს აზალ აღვილას გადავდგამთ.

მინდორში მყოფი ფუტკრები შევლენ აზალ სკაში და, ამგვარად, მივიღებთ ძველი ფუტკრებისაგან შემდგარ აზალ ოჯახს. ძირითად ოჯახს, რომელიც უფელოდ დაგვრჩა, მივცემთ აზალ დედას ან სადედეს. ძველი სკას აზალგაზედა ფუტკრებს, სანამ ისინი გამოიმლერებდნენ 3—4 დღის განმავლობაში ვაძლევთ წყალს. ამის შემდეგ ორივე სკას თანამიმდევრობით უნდა მივცეთ მშრალი ან ხელოფნური ფიჭა.

ოთხჩარჩოიანი გამონაყოფი. ძლიერ ოჯახს, ვართმევთ ორ ჩარჩოს დაბეჭდილი ბარტყით და ორ ჩარჩოს თაფლოთა და ჭეოთი. ამ ჩარჩო იქნას ვათავსებთ აზალ სკაში. მეორე დღეს, როდესაც გარეთ მფრინავი ფუტკრები აზალი სკიდან ძველ სკაში დაბრუნდებიან, გაროვაყოფ ოჯახს ვაძლევთ სათადარივო განაყოფიერებულ ან გაუნაყოფიერებელ დედა ფუტკარს.

ამ აზალ ოჯახს, მის, სწრაფად გაძლიერების მიზნით, სხვა რომელიმე ოჯახიდან ვუმატებთ 1—2 ჩარჩოს დაბეჭდილი ბარტყით. ასეთი ბერით შემდგარი აზალი ოჯახი ძალიან ჩქარა ძლიერდება და თაფლის პრიდუქციის მოცემასაც ასწრებს. ასეთი გამონაყოფის ანუ ნაყარის გაკეთებას საფუტკრეში უმთავრესად გაზაფაულზე აწარმოებენ.

ფუტკრის მთაბარობა

ფუტკრის ოჯახების ერთი დაკილიდან მეორე აღვილზე გადაყეანას თაფლის მიღების მიზნით თასტარობა ეწოდება. მთაბარო-



პის საშუალებით 2—3—4 ადგილის შეიძლება თაფლოვანი რეებიდან თაფლის მიღება.

საქართველოს ბუნებრივი პირობები თითქმის ყველგან მოითხოვს ფუტკრის მთაბარობის მოწყობას. ფუტკრის მთაბარობა ჩვენში მიმდინარეობს გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში.

სანამ მომთაბარე ფუტკრის ოჯახებს სამთაბაროდ წავიყვანდეთ, საჭიროა სამთაბარო ადგილის კარგად შესწავლა: რა თაფლოვანი მცენარეებია ამა თუ იმ ადგილის, როდის იწყებენ ისინი ყვავილობას, როდის ამთავრებენ მას და რა რაოდენობითაა მცენარეები.

ფუტკრის ოჯახების სამთაბაროდ მომზადება პა. ფუტკრის ოჯახების სამთაბაროდ წაყვანისათვის საფუტკრეში საჭიროა შემდეგი მუშაობის ჩატარება:

1. ფუტკრის ოჯახების წაყვანის წინ მძიმე, თაფლიანი ფიჭუბი უნდა გამოვწუროთ, თორემ თაფლიანი ჩატარდან ფიტა ზოგჯერ სიმძიმის გამო სკაში ჩავარდება და დაღვრილ თაფლში ფუტკარი ჩაიხრჩობა.

2. სკაში ყველა ჩარჩო კარგად უნდა გავამაგროთ, თორემ გზაში ისინი რახრახს დაიწყებენ და ერთმანეთს მიეხლებიან. ჩარჩოების რახრახს მოყვება ფიტის ჩანგრევა, ფუტკრების გაჭყლეტა და ზოგჯერ დეფის სიკვდილიც.

თუ ბუდეში გოფმანის ჩარჩოები არა გვაქვს, მაშინ მისი გამაგრება გამყოფი თამასებით შეიძლება. გამყოფი თამასები სისქით 1 სმ-ს, სიგანით 1,5 სმ-ს და სიგრძით ბუდის ჩარჩოს გვერდის თამასის ნახევარს უდრის. გამყოფი თამასის ერთ თავში უნდა ჩავაჭდოთ იმ ზომის ლურსმანი, რომ მისი თავები დააბლოებით 12 მილიმეტრით გამოდიოდეს გარეთ. ამნაირად გაკეთებული გამყოფი ისე უნდა ჩავდგათ ყოველ ორ ჩარჩოს შორის, რომ ლურსმანის თავები ზედა თამასის ეყრდნობდეს.

ფუტკრის ოჯახების ადგილზე მოყვანისას გამყოფი შეიძლება ამოვილოთ და შევინახოთ საჭიროების დრომდე. სკის უკანასკნელი ჩარჩო, თუ იგი სკის კედელს მჭიდოოდ არ ედგმის ლურსმანით უნდა დავაჭედოთ.

ბუდის ჩარჩოების გამაგრების შემდეგ სკის ნაწილები: ფსკერი, ბუდე. საკუჭნაო, სამთაბარო ბადე და საცურავი ერთმანეთთან კარგად უნდა გავამაგროთ. სკის ნაწილების გამაგრება თამასების შიჭედებით შეიძლება, მაგრამ ამით სკის კედლები ფუჭდება.—აზრი:

ტომ სკის ნაწილების გასამაგრებლად არსებობს სპეციალური ჩარ-
 ჩიკი.

როდესაც სკას სამთაბაროდ მოვაწყობთ, სალამოს ფუტკრის
 ფრენის დამთავრების შემდეგ ოჯახებს საფრენს დავუხურავთ და ვენ-
 ტილატორებს გაეხსნით. არის ხშირი შემთხვევა, როგორც ზაფხულის
 სიცხიან დღეებში ფუტკრების ნაწილი სალამობით და ზოგჯერ
 ღამითაც სკაში არ შევლენ და სასვენ ფიცარზე ჯგუფად სხე-
 დან.

ამ შემთხვევაში უნდა მოვიშველით საბოლებელი. საბოლე-
 ბელს წყნარია ვუბოლებთ ფუტკარს სასვენ ფიცარზე ხან ერთ მხა-
 რეს, ხან მეორეს. ბოლის გავლენით ისინი იძულებული იქნებიან
 სკაში შევიღნენ, რითაც საშუალება მოგვეცემა საფრენი დავტოოთ.
 საფრენის დაკეტვის და ვენტილატორის გაღების დროს სკას ტი-
 ლოს ვაშორებთ.

ფუტკრის სამთაბაროდ გადაყვანა. სამთაბაროდ
 ფუტკრის გადაყვანა უმთავრესად ღამით უნდა ჩავატაროთ. ფუტ-
 კრის ოჯახები გადაგვყვას ავტომანქანით; მატარებლით, თვით-
 მფრინავით, ურმით და სხვა.

ფუტკრის ოჯახები სატრანსპორტო საშუალებაზე ისე უნდა
 დავღვათ, რომ სკის წინა ან უკანა მხარე გზის, მიძართულებით
 იყოს.

მანქანაზე დაწყობილი სკები თოკით კარგად უნდა შევკრათ.
 თოკი ხშირად უნდა გავსინჯოთ რომ არ მოეშვეს. მანქანა გზაში
 ჩვეულებრივზე უფრო ნელა უნდა ვატაროთ.

აღვილზე მისევლისას სკები წინასწარ შერჩეულ იდგილის 4 მე-
 ტრით ერთიმეორესთან დაშორებით ჭადრაკული წესით უნდა დავ-
 დგათ. საფუტკრეს წინასწარ ცხოველები უნდა მოვაშოროთ, რომ
 ისინი ფუტკარმა არ დაკბინოს. 10—15 წუთის შემდეგ დავხურავთ
 სკის ვენტილატორებს და გავალებთ ფუტკრის საფრენს.

სახურავის ახდა, ბუდის გაისიჯვა, საცეტების გახსნა და სხვ.
 აღვილზე მისევლის დღეს არ შეიძლება, რადგან ფუტკარი მგზავრო-
 ბის გამო ძლიერ გამრაზებულია და ნეიძლება დაგვეხსტროს. ხო-
 ლო თუ ვნახეთ, რომ რომელ ცეინ სკიდან ფუტკარი არ გამოდის ან
 შევამჩნიოთ, რომ ჩარჩოში ფიტა ჩაგლეჯილა და თაფლი დალვირ-
 ლა, ასეთი ოჯახი დაუყოვნებლივ უადა გაეხსნათ და ნაკლი გამო-
 ვასწოროთ.

მეორე დღეს, როდესაც ფუტკრები დაწყნარებულია და მუ-
 შაობაც დაწყებული აქვთ, წეიძლება ოჯახის დეტალური გასინჯვა.
 ოჯახების გასინჯვის მიზანია: სკის სახურავების მონდა, ტილოების

დაფარება, საკეტების გახსნა, ჩანგრეული ფიჭების გასწორები. გამზე/ ყოფი თამასების ამოღება, ბუდის შემოწმება და საერთოდ შესრიგში მოყვანა.

ცნობილია, რომ დიდი რაოდენობის თაფლსა და ცვილს ძლიერი ოჯახები გვაძლევს. ამიტომ საჭიროა ოჯახს ისე შეეუწყოთ ხელი, რომ მას ნაყრობის სურვილი არ დაებადოს. ამ მიზნით ოჯახს წინასწარ უნდა გაუფართოოთ ბუდე, რათა ფუტკრებმა სივიწროვე არ იგრძნონ, ჩაეუდგათ ხელოვნური ფიჭა ბუდის შეაგულში, გაედართოოთ საენტილაციო დარაბები, გვადიღოთ საფრენები, დაცხრდილოთ სკები ხის ტოტებით ან სხვა რაიმე დასაჩრდილოვი მასალით და სხვა.

მიუხედავად ამ ღონისძიებისა, ძლიერი ოჯახი ზოგჯერ მაინც იფიქრებს მთავარი ღალიანობის დროს ნაყარის გამოშვებას. ამიტომ ღალიანობამდე 40 დღით ადრე უნდა ჩავატაროთ ასეთი ოჯახების ხელოვნური ნაყრიანობა, რომელიც არავითარ გავლენას არ მოახდებს თაფლის შეგროვებაზე. ამის გარდა ღალიანობის წინ ძველი დედები ახალი განაყოფიერებული დედებით უნდა შეეცვალოთ.

როდის დავადგათ ბუდეს საკუჭნაო. ფუტკრის ოჯახები უნდა გაესინჯოთ და ვნაბოთ, რომელ სკას სჭირდება საკუჭნაო და რომელს არა. თუ ოჯახს თორმეტივე ჩარჩო მთლიანად აშენებული აქვს, ფუტკრები 12 ჩარჩოზე საედაო და 8—10 ჩარჩო ბარტყია, მაშინ შეიძლება სკას საკუჭნაო დავადგათ.

ბუდეზე დადგმის დროს საკუჭნაო საესე უნდა იყოს ცარიელი ფიჭიანი ჩარჩოებით. თუ ცარიელი ფიჭიანი ჩარჩოები არასაჭმარისია, მაშინ ეყლოვნური ფაჭანი ჩარჩოები უნდა დაკუმატოთ და მოვათავსოთ ისინი შმრალ ფიჭიან ჩარჩოებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ 12-ჩარჩოიანი სკის საკუჭნაო 12-ჩარჩოიანია, ჩენ მაინც საკუჭნაოში 8—9 ჩარჩოს მოვათავსებთ. ამ დროს ფუტკრები საკუჭნაოში უფრო გრძელ უჯრედებს ააშენებენ, ვიდრე ჩენულებით 12-ჩარჩოიან საკუჭნაოში. ამის გარდა, გრძელუჯრედებით ფიჭაში დედა ფუტკარი კვერცის არ ჩასდებს. იმისათვის, რომ ფუტკრებს საკუჭნაოში გრძელუჯრედებიანი ფიჭები ვაზენებინოთ, უნდა მოვიქუთ ასე: დაიწყებენ თუ არა ფუტკრები საკუჭნაოში ფიჭის შეხებას, ჩარჩოების რაოდენობა უნდა შევამცროთ და დაეტოვოთ 11 ჩარჩო. ჩარჩოები ერთმანეთს თახაბარი მანძილით უნდა დავაცილოთ.

როცა ფუტკრები ისევ დაიწყებენ უჯრედების გადიდებას,

კვლავ ვამცირებთ ჩარჩოებს და ასე განვაგრძობთ სანამ საკუჭნიან
ში 8—9 ჩარჩო არ გვექნება.

სანგრძლივი და ძლიერი ლალიანობის ადგილას შეიძლება
ბუდეს ერთდროულად ორი საკუჭნაოც დავადგათ. ამ დროს სა-
კუჭნაოს ჩარჩოების მაგივრად შეიძლება ბუდის ჩარჩოც გამოვიყე-
ნოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც ერთი საკუჭნაო აივ-
სება და მეორე ცარიელი საკუჭნაო გვინდა დავადგათ, ცარიელი სა-
კუჭნაო იღმება პირეელ საკუჭნაოსა და ბუდეს შორის. ფუტკარი
ამ დროს უფრო ენერგიულად ცდილობს ცარიელი საკუჭნაოს თაფ-
ლით გაესებას.

შენიშვნულია, რომ ფუტკრები ყველაზე ადრე საკუჭნაოს იმ
ჩარჩოებს აესებენ, რომელიც ბუდის შუა ჩარჩოების პარალელუ-
რადაა, ხოლო განაპირო ჩარჩოები ცარიელი რჩება. ამიტომ საჭი-
რო საკუჭნაოს ყოველ 2—3 დღეში გასინჯვა და ჩარჩოების გა-
დაადგილება.

არის შემთხვევები, როცა ფუტკრები ბუდის თაფლით, ფუტ-
კრითა და ბარტყით გავსების შემდეგ მაინც არ აელენ საკუჭნაო-
ში. ამ შემთხვევაში ფუტკრები უნდა ვაიძულოთ და ძალით დავაწ-
ყებინოთ საკუჭნაოში მუშაობა. ამიტომ დროებით ვიღებთ საკუჭ-
ნაოს 1—2 ჩარჩოს და მათ ადგილას ბუდიდან ამოვწევთ ჩარჩოს
ფუტკრებიანად.

ამოწეული ბუდის ჩარჩოებზე მსხდომი ფუტკრების მიერ მუ-
შაობის დაწყების შემდეგ ბუდიდან საკუჭნაოშიც სხვა ფუტკრებიც
ამოვლენ სამუშაოდ. ფუტკრების საკუჭნაოში მუშაობის დაწყების
შემდეგ ამოწეულ ბუდის ჩარჩოს ჩავდგამთ ისევ ბუდეში, ხოლო
საკუჭნაოდან დროებით ამოღებულ ჩარჩოს—საკუჭნაოში.

ღალიანობის შეწყვეტა. ღალიანობის ზეწყვეტის მა-
უწყებელ სიგნალს წარმოადგენს საკონტროლო სეის მატების შემ-
ცირება, მაგრამ დაკვირვებული შეფუტკრე ისედაც შეატყობს ღა-
ლიანობის დამთავრებას. ამ დროს ფუტკრები ისე ხალისით აღარ
დაფრინავენ მინდორში, როგორც ღალიანობის დროს. საფუტკრე-
ში შემცირებულია ფუტკრის მაიარული ბზუილი, იღარ გეცემს
ოჯახებიდან თაფლის სუნი. უმღმევრად დარჩენილი ფუტკრები
ცდილობენ მეხობელ სკაში შეძრონენ, თაფლი გაიტაცონ და
სხვა.

საკუჭნაო დან თაფლის გამოღება. საკუჭნაოდან
თაფლის გამოღება მაშინ შეიძლება, როცა ფუტკრებს თაფლიანი
ფიტები ნაევრად გადაბეჭდილი იქვთ. გამოსაწური ჩარჩოების ამო-
7. მეფუტკრეობის პრაქტიკული.

ლებისას ფუტკრები ჩარჩოდან ბუდეში უნდა ჩავბერტყოთ. ამასთან
თვის სკას სახურავს და ტილოს ავადით და ზევიდან ჩარჩობების გადაცვა
ბოლებებს ვუბოლებთ ისე, რომ ბოლი ბუდეში არ ჩავიდეს. ბო-
ლის გავლენით ფუტკარი ბუდეში იწყებს ჩასვლას.

შემდეგ საკუჭნაოდან ვიღებთ თაფლით საესე ჩარჩოებს და
ჩარჩოზე დარჩენილ ფუტკრებს ჯაგრისით ან სუფთა ბალახით ბუ-
დეში ჩავბერტყავთ. ამოლებული თაფლიანი ჩარჩოს აღვილას ვდგამთ
ცარიელ ჩარჩოს. თუ ცარიელი ჩარჩოები არა გვაქეს, მაშინ გა-
მოწურვამდე საკუჭნაოს უჩარჩოდ ვტოვებთ. ამოლებულ თაფლიან
ჩარჩოებს ჩავდგამთ ჩარჩოების გადასატან სპეციალურ ყუთში და
თაფლის გამოსაწურ ოთახში წავიღებთ.

თუ საკუჭნაოების მარაგი მაგვეროვება, მაშინ არ არის საჭი-
რო ცალკე ჩარჩოების ამოლება, არამედ მთლიანად ვესნით ბუდეს
საკუჭნაოს და მის მაგიერ ვდგამთ ცარიელ საკუჭნაოს.

საკუჭნაოებიდან თაფლის გამოლების დროს ხშირად ვვინდე-
ბა ბუდიდანაც თაფლის გამოწურვა, რაღვან ზორჯერ ბუდე ისე გაიგ-
სება, რომ ფუტკარს აღია აქეს თაფლის ჩასისხმელი ადგილი.
ამიტომ ყოველი გამოწურული ბუდის ჩარჩო ისევ ძველ ადგილას
უნდა ჩავდგათ. ყოველ თვის უნდა გვიხსნოდეს, რომ ბუდის ჩარჩო-
ების გამოწურვის დროს, ბუდეზი არ წემცირდეს ზამთრისათვის
საჭირო საკეცი მარაგი.

თაფლის გამოსაწური ოთახი. თაფლის გამოსაწუ-
რი ოთახი წელმიწევნით სუფთა და ფუტკრისაგან დიცული უნდა
იყოს. მა მთაბრი ტემპერატურაზე თაფლი სქელდება და ძევლად გამო-
დის ფიჭის უჯრედებიდან.

ტოცა ყველა ჩარჩოს შევიტან თაფლის გამოსაწურ ოთახში,
ციბრუტის საშუალებრი შევუდებით თაფლის გამოწურვას.

საშემოდგომო საშუალები და ფუტკრის დაზამთრისა

ლალიანობის დამთაერების წემცევ უნდა შევეუგეთ საშემოდ-
გომო საძუნაოების ჩატარების საზემოდგომო სამუშაოების დარის-
ხიანად შესრულება და ფუტკრის კარგიდ დაზამთრება, მომავალი
წლის უავი თაფლის მიღების საწინარია. მოწინავე მეტუტკრევი ი-
საცემიდგომო სამუშაოთ კარგად ჩატარებით იწყებენ ფუტკრის
ოჯახების მომზადებას პრავიდლი წლის მთავარი ლალიანობის შე-
სასვედრად და დრო შედეგსაც იღწევენ. ლალიანობის დამ-

თაფრებისას საფუტკრეში საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

საქართველოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ყველა ოჯახს უნდა დაეუპატაროვოთ საფრენი, რაღაც საფრენშევიწროებული სკის დარაჯები უფრო კარგად იცვენ რეზაბს.

2. სკის ყველა ნაშილი კარგად უნდა დავათვალიეროთ, ხომ არ არის საღებ იცეთი ადგილი, სადაც „ქურდი“ ფუტკარი სკამი შეძრობას შესძლებს.

3. ფუტკრის ოჯახების გასინჯვა დილით ან სალამოს უნდა ჩავატაროთ. გასინჯვის დროს დროებით ამოლებული ჩარჩო სხვა ჩარჩოების გასინჯვამდე სპეციალურ საფუტკრის ყუთში უნდა ჩავდგათ.

4. თუ ლალიანობის შემდეგ თაფლის გამოლება დაგვჭირდა, თაფლიანი გამოსაწური ჩარჩოები სალამო უამს უნდა ამოვილოთ და გამოწურვაც ღამით ჩავატაროთ. გამოწურული ჩარჩოები (საჭუჭხაოს საზუალებით) გამოსამშრალებლად ღამით ისევ ფუტკრებს უძღა ჩავუდგათ.

5. თაფლის გამოწურვისა და ღალიანობის დამთავრების შემდეგ სკებს უნდა მოვხსნათ საკუჭნაო და შევინაბოთ საწყობში.

ფუტკრის გამრავლება. საშემოდგომო სამუშაოებს შორის მთავარი ყურადღება ფუტკრის ოჯაოში დედის კვერცხმდებლობას და ახალგაზრდა მუტკრების გამრავლებას ექცევა. ღალიანობის დამთავრებასთან ერთად, დედის კვერცხის დებაც მცირდება.

აგვისტო-სექტემბერში გამოჩეული ფუტკრის უმეტესი ნაშილი კვდება ან იღუპება, ხოლო დარჩენილი ფუტკრებიდანაც ზამთარში აგრეთვე ბევრი იძოცება. ამიტომ მცირდებუტკრიანი ოჯახი ყოველთვის ცუდად იზამთრებს და გაზაფიულზე ნაკლებად ვითარდება.

მრავალი ცდით დამტკიცდა, რომ ერთ-ერთ ღონისძიებას დედის კვერცხდების გაძლიერებისათვის წარმოადგენს ძველი დედების ასლით შეცვლა. ღალიანობის დამთავრებისას ახალი დედები ხანგრძლივად და ბევრ კვერცხს დებენ. ამის გარდა, ახალგაზრდა დედების კვერცხდებლობა გაზაფიულზეც უფრო ინტენსიურია.

ამრიგად, მეფუტკრე ძელი დედების შესაცვლელად ახალი დედების გამოყენების მთავარი ღალიანობის პერიოდში იწყებს, ვინაიდან ამ დროს გამოყენილი დედები კარგი ხარისხია. ამის

მეორე საუკეთესო საშუალებას საშემოდგომო კვერცხდების გაძლიერების თვალსაზრისით წარმოადგენს ხელოვნურად ღალის შექმნა. ხელოვნურად ღალის შექმნის შიზნით ზოგიერთი მეფუტკრე მიმართავს შემოდგომით ფუტკრის კვებას; თაფლით ან ზაქრის სიროვათ, ანდა თავგადაბეჭდილი კოტათაფლიანი ფიჭას უჯრედების სახურავების პატარ-პატარა ფართობის აჭრით. ასეთი კვებით ბუდეში ფუტკრები ზრქენიან გაცხოველებულ მუნიკბას, დედა ღილიანობის გაჩენის წარმოდგენით იწყებს კვერცის დებას.

ამის გარდა, ზოგიერთ ადგილას თავისებური პირობების გა-
მო არცენია საჭირო ხელოვნური კვების ჩატარება, ისე დაიწყება
საშემოდგომო ღალიანობა და სკაში ნექტარის ზეტანისთანავე დე-
და იწყებს კვერცხის დებას.

ვუტარის თჯახების საშემოდგომა გეოლოგია
(რეპირი)

ღალიანობის დამთავრების შემდეგ უნდა შევუდგით ფუტკრის ოჯახების დაწვრილებით შემოწმებას. შემოწმების შედეგი უნდა შევიტანოთ საფუტკრის ფორმა № 3 უურნალში. შემოწმების ზი-ზანიდ გამოყარყვიოთ:

1. ჰყავს თუ არა ოჯახს დედა ფუტკარი და როგორია იგი;
 2. აქვს თუ არა ფუტკარს თაფლის საქმიანისი საზამთრო მარგი;
 3. როგორაა ბუდეში ჩარჩოები განლაგებული;
 4. როგორი ხარისხისაა თაფლი და სავა.

დედის შემოწმება. დედის არსებობის დასადგენად გათვალიერებთ ბუდეს და თუ ოჯაში წესაერთად ნადები კვერცხები ვხახუთ, მათი ამ ოჯას დედა პყოლია და ილარ არის საჭირო მისი ჩარჩოებზე ძებნა. ფუტკარი წლის განმავლობაში გაიცლის სამ პერიოდის: ნაყრობის, ლალიანობის და თაფლის გამოწურვის პერიოდებს.

ნაყრობის პერიოდზე გამოყენილი დედებიდან ზოგიერთი გა-
ნაყოფიერების ღრმას იკარგება და ზოგიც გვიან გამოსულის გასო,
მამლების არაწსებობისას გაუნაყოფიერებელი რჩება. ამიტომ გა-
100



უნაყოფიერებელი ცრუ დედები უნდა მოესპოთ და ოჯახებს ჭარუა-
დარიგო დედა მივცეთ.

თაფლის მარაგის განსაზღვრის დროს საქართველოს პირობებისათვის ერთ ძირ სკა-
ზე ოჯახის სიძლიერის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ 16—20 კი-
ლოგრამამდე თაფლი. ბუდეში თაფლის მარაგის განსაზღვრას თვალ-
დათვალ ვაწარმოებთ. ბუდის ერთი ჩარჩო თრივე მიზრიდან თაფ-
ლით სავსეა, მაშინ შეიძლება მისგან 4 კგ-მდე თაფლი გამოვწუ-
როთ.

რაკი ეს ვიცით, ადვილია ბუდის ყველა ჩარჩოზე თაფლის რა-
ოდენობის განსაზღვრა. თუ სკაზი თაფლი საქმარისი არ არის, მა-
შინ იგი უნდა შევავსოთ წინასწარ შენახული თაფლიანი ჩარ-
ჩოთი.

საზამთრო და საგაზაფხულო თაფლის მარაგს მთავარი ლა-
ლიანობის დროს ჩარჩოებით ინახავენ.

ჩარჩოების განლაგება ბუდე ში. ბუდეში ჩარჩო-
ების განლაგების დროს უბარტყო და ცოტათაფლიანი ჩარჩოები
გადაგვატეს ტიხარის გვერდით. ფუტკრები ცოტათაფლიანი ჩარჩო-
ებიდან თაფლს ბუდეში გადაიტანენ, ჩარჩოებს გაგვინთავისუფ-
ლებენ და ბუდის ჩარჩოებში თაფლის რაოდენობას გაზრდიან. თუ
შემთხვევით ბარტყიანი ჩარჩოები აღმოჩნდა, ისინი უნდა მივწიოთ
ტიხარისაკენ. ჩარჩოებიდან ბარტყის გამოსვლის შემდეგ შეგვიძ-
ლია მათი ამოლება.

თაფლის ხარისხის შემოწმების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ მანანა-თაფ-
ლის არსებობას. თუ ბუდეში მანანა-თაფლი აღმოჩნდა, იგი უნდა
შევუყალოთ კარგი ხასისშის თაფლიანი ჩარჩოებით. მანანა-თაფლი
ორგვარი წარმოშობისაა: მცენარეთა და მწერთა წარმოშობის. ზა-
ფხულის დღე-ლამის ტემპერატურის ცვალებადობის შედეგად, ზო-
გიერთი მცენარის ფოთლები გამოყოფს ტკბილ წვენს. ფოთლები-
დან ტკბილ წვენს ფუტკარი არალალიანობის დროს იღებს, მიაქვს
სკაში და თაფლად გადაამუშავებს.

ზოგიერთი მცენარის ფოთლებზე მწერთა ჯგუფები სახლო-
ბენ. მათ ექსკრემენტებს მოტებილო გემო აქვს. ფუტკარი მასაც
იღებს და თაფლად ამუშავებს. თრივე წარმოშობის თაფლი მანანა-
თაფლს მიეკუთვნება, მაგრამ ფუტკარისათვის ყველაზე მაწყინარია
მწერთა წარმოშობის მანანა-თაფლი.

რაც შეეხება ფოთლების გამონაერონიდან მიღებულ მანანა-
თაფლს, იგი ფუტკარისათვის მავნებელი არ არის, თუმცა მანანა-



თაფლი ხარისხით მაინც დაბალია ნექტრის თაფლთან
რებით.

მწერთა წარმოშობის მანანა-თაფლი იწვევს ფუტკრის ფალ-
რათს და ზამთრის საკვებად არ ვარგა. მისი არსებობის დაღენა-
შეიძლება დაახლოებით შემდეგი გარეგანი ნიშნებით: მანანა-თაფ-
ლი მუქი ყავისფერია, ფიტიდან ნაკლებად იწურება, ჩვეულებრივ
თაფლზე უფრო სქელია, სიტკბოც ნაკლები აქვს, ვიდრე ნექტრის
თაფლს, და არა არომატიულია. მიუხედავად ამ გარეგანი ნიშნე-
ბისა, მანანა-თაფლის გარჩევა ჩვეულებრივი თაფლისაგან ზოგჯერ
მაინც ძნელია.

არსებობს მანანა-თაფლის არსებობის გამორკვევის რამდენიმე
ხერხი, რომელთაგან ჩვენ მომლოდ ერთს აღნიშნავთ, რადგან ის
უფრო მარტივია და მოსახერხებელი. ვიღებთ ერთ წილ მანანა-
თაფლს და ორ წილ დესტრილირებულ ან სუფთა წყიმის წყალს.
აურევთ ორივეს წყირის საშუალებით და შემდეგ ვუმატებთ 10-ჯერ
მეტ 96° ლვინის სპირტს. მანანა-თაფლის არსებობისას ხსნარი მი-
იღებს რძისებრ მღვრიე თეთრ ფერს, წინააღმდეგ შემთხვევაში
კი სითხე გამჭვირვალე იქნება.

ბუდის საზამთროდ გამზადება

ზამთრის მოახლოებისას ფუტკარი ნაწილობრივ თვითონ აწ-
ყობს ბუდეს, ახდენს თაფლის მარაგის გაადგილებას ბუდეში,
ამაგრებს ჩარჩოებს ცვილით, დინდგელით ლესავს სკის ნახვრე-
ტებს და სხვა. როდესაც ფუტკრის ოჯახში თაფლის განლაგება
ვერ უზრუნველყოფს მის გაზამთრებას, მაშინ საჭიროა აღმიანის-
დახმარება.

სკაში ჩარჩოები ისე უნდა გადავაადგილოთ, რომ ბუდეში
თვითონ ჩარჩო 2 კგ. თაფლზე ნაკლებს არ შეიცავდეს.
ამის გარდა, ჩვენც უნდა შევლესოთ ჭუჭრუტანები, შევამციროთ
საფრენი, დაგათბუნოთ ოჯახი და სხვა.

მოწინავე მეფუტკრეები დიდ წარმატებას სწორედ ფუტკრის-
ოჯახში უზეო თაფლის დატოვებით იღწევენ. ასეთი ფუტკრის ოჯა-
ხი ადრე გაზაფხულზე შეუფერხებლივ ავითარებს ბარტყიანობას,
თუნდაც რომ ბუნებაში არც იყოს ლალიანობა.

საზამთრო ბუდის მოწყობა

1. საზამთროდ ბუდეში იმდენი ჩარჩო უნდა დავტოვოთ, რამ-
დენსაც ფუტკარი ფარავს, ხოლო უკანასკნელი ჩარჩოს გვერდზე



ପ୍ରାଚୀନବିଦ୍ୟା

卷之三

538

ଶାନ୍ତିକୁଳରେ ଉଦ୍‌ଘାଟନିମାର୍ଗରେ ୧୯

විජයවාස්

3380

କୁଟୀର୍ମାଣିଙ୍କ ଲାଗୁବିଧିରେ ଉପରେରେ ଉପରେରେ

ରଙ୍ଗକଣ୍ଠର ମେଘଦୁର୍ବ୍ଲପ୍ତିରେଣୁଳିକୁ ଅନ୍ତରାଳମିଳିଲା (ଶୋଭାରୁଦ୍ଧମିଳିଲା) —
ଫୁଲ୍ପରିହିନ୍ଦୀ: ୧.

కులాద్రి ప్రజాసాధన రంగములో



ზედმეტად ერთი ჩარჩო და, ტიხარი უნდა ჩავდგათ. ბუდეში დასა-
ტოვებელი ჩარჩოების განსაზღვრისათვის ცივ ამინდში ბუდეში მდგრადი
კიდან უნდა დავხედოთ და რამდენ ჩარჩოზეც ფუტკარი ზის, იმ-
დენი ჩარჩო დავტოვოთ.

შემცირებული ბუდის დროს სკაში მეტი სითბო იქნება, და
ფუტკარიც ნაკლებ თაფლს დახარჯვეს. ამის გარდა, ფუტკარს კუჭ-
ნაწლავი არ გადაეტვირთება და გაზაფხულზე თბილი ბუდე დედას
კვერცხის დებას ადრე დააწყებინებს.

2. ბუდეში არ უნდა დავტოვოთ ცოტათაფლიანი ჩარჩოები,
რადგან გარინდებულ მდგომარეობაში მყოფი ფუტკრები საკვების
შემოლევისას ჩარჩოზე ვერ გადავლენ და ზიმშილით დაიხოცებან.
ამის გარდა, ბუდეში არც თაფლით მთლიანად საესე ჩარჩოს და-
ტოვება ვარგა. ასეთ ჩარჩოზე (თაფლი ჰაერთოდ ცივია) ფუტკრის
გუნდი არ გაჩერდება და ბოლოს ბუდე ორ ნაწილად გაი-
ყოფა.

3. ცოტათაფლიანი ჩარჩოები, როგორც ვთქვით, უნდა ამო-
ვილოთ ბუდილან, მაგრამ თუ ვატყობთ, რომ ოჯახს სახამითო
თაფლის მარაგი აკლია, მაშინ უმჯობესია ასეთი ჩარჩოები ტიხა-
რის გვერდით გადავდგათ. ფუტკარი აქედან თაფლს ბუდის ჩარ-
ჩოებზე გადაიტანს.

4. ყოველ გუნდს ჩარჩოზე თაფლი 1,5—2 კგ-შედე უნდა ჰქონ-
დეს, რადგან ცოტათაფლიან ჩარჩოზე ფუტკარს ზამთარში საკვე-
ბი გამოელევა, სხვა ჩარჩოზე ვეღარ გადავა და დაიხოცება.

ზამთარში ფუტკრის გუნდის ფიჭაზე განშეყობა კრამიტის სა-
ხურავს მოვაგონებს: ფიჭის ზევით მსხდომი ფუტკრები თაფლთან
ახლოს სხედან, ხოლო ქვევით მსხდომ ფუტკრებს თავები მოთავ-
სებული აქვთ მათ მუცლის ქვეშ. ფიჭის ზემოთ მსხდომი ფუტკრე-
ბი ფიჭის უჯრედებიდან იღებენ თაფლს და გადაცემენ ქვემოთ
მყოფ ფუტკრებს, ქვემოთ მსხდომი ფუტკრები კიდევ მათ ქვემოთ
მსხდომ ფუტკრებს და ასე შემდეგ.

ფუტკრის ზამთრობისათვის შეაძლებას (თუ ზამთარი ადრე იწყება) ოქტომბრის დასაწყისში უნ-
და შეეუდევთ. უპირველეს ყოველისა უნდა ჩავატაროთ სკების ფსკე-
რის გაწმენდა და ბუდის კარგად დათბუნება.

ბუდე უნდა მოვაწყოთ სკის შეა ნაწილში და ჩარჩოებს გვერ-
დზე ტიხარი ჩაეუდევთ. ტიხარსა და სკის კედელს შორის დარ-
ჩენილი თავისუფალი აღიალი დასათბუნებელი მასალით უნდა ამო-
ვესოთ. დასათბუნებელ მასალად შეიძლება გამოვიყენოთ ხავსი,
თივა, ბურმუშელა, ქეჩა, სხვადასხვა ძენი და სხვა (იხ. სურ. 43).



კარგი იქნება, თუ ამ დასათბურებელი მასალისაგან ბალტიში გავაკეთებთ და ისე ჩავლგამო სკაში. ასე გაკეთებული ბალტურები სკას სისუფთავეს შეუარჩენებს და სკის დანესტრიანებასაც ნაკლებად ექნება ადგილი. ბურეს ზემოდან ქეჩი ან ბალიში უნდა დავაფრიოთ. ყოველივე ამის შემდეგ სკები სადგამებზე უნდა შევდგათ და ქვეშ გამხდარი ფოთოლი დავაყროთ.

სკის საფრენი სამირეთისაცნ უნდა მივაჭიოთ. საფრენის სიგანე 3—4 სმ-მდე უნდა შევამციროთ. საფრენს ზემოდან ბატარა ფირარი უნდა მივაჭიდოთ, რომელიც მას ქარისაგან და მზის შენათებისაგან დაიცავს. მხე ფუტკარს ზამთარში ხშირად გარეთ იტყუებს და სიცივის გამო ზოგჯერ იგი უკან ვეღარ ბრუნდება.

თავების საწინააღმდევეოდ საფრენის ჭინ კბილანა თუნუქი ან ლურსმნები უნდა ჩავაჭიდოთ. კბილანებს ან ლურსმნებს შორის ფუტკრის გასასვლელი ადგილი 8 მმ-ს უნდა უდრიდეს.

ფუტკრის მოვლა ზამთარში. ფუტკრის ოჯახებს ზამთარში კარგი მოვლა-პატრონობა უნდა.

ზამთარში ფუტკრისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად საჭიროა:

1. ბოვლიანობის დროს გაფრინდოთ თოვლისაგან სახურავი და საფრენი.

2. სახურავი ქირმა რომ არ გადააგდოს, იგი უნდა დავაჭიდოთ ან მავთულით გადავკროთ.

3. დროგამოშვებით ვათვალიეროთ საფრენი—ხომ არ არის სკაში თავების შეძრომის ნიშნები და თუ ასეთი აღმოჩნდა, შევიტანოთ სკა თბილ ოთახში გასასინჯად.

4. ზამთრის ბოლოს შევამოშოთ ის ოჯახები, რომელიცაც შედარებით საკვების ნაკლები მარაგი ჰქონდათ და თუ საჭიროა დავეხმაროთ მათ თაფლის ან ხელოვნური საკვების მიცემით.

ფუტკრის ავადმყოფობანი და გავნებლები

ფუტკარს მრავალი გადამდები ავადმყოფობა ემართება და ბევრი მავნებელიც ჰყავს. გადამდები ისეთ ავადმყოფობას ეწოდება, რომელიც ერთი ფუტკრიდან ან ბატტუიდან მეორეზე გადადის, ხოლო პრაგადამდები—ისეთს, რომელიც მეორე ფუტკარს არ გადაედება.

გადამდები ავადმყოფობის გამომწვევია სხვადასხვა ცოცხალი მიკრობი.

მეფუტქრე კარგად უნდა იცნობდეს ფუტქრის სხვადასხვა
ავადმყოფობას და იცოდეს მათთან ბრძოლის ყველა ხერისხისათვე
ზარტყის გადამდებ ივალმყოფობათა ჯგუფს ექუთნის:
ამერიკული სიდამალე, ევროპული სიდამპლე, არტეჭა ბარტყი,
ჩაქირული ბარტყი და გაქვავებული ბარტყი. აღნიშნულ ავადმყო
ფობათაგან ყველაზე უფრო გავრცელებული ჩვენში ამერიკული და
ევროპული სიდამპლეა.

აშერიკული სიდამპლე

ამერიკული სიდამპლე ამ ავადმყოფობას იმიტომ ეწოდება,
რომ პირველად იგი ამერიკაში შეისწავლეს. ამერიკული სიდამპლე
თავგადაბეჭდილ ბარტყს ლუბავს. იგი უმთავრესად მაისში, ივნის-
სა და ივლისში გამოვლინდება, მაგრამ თუ დაავადებულმა ოჯახმა
ჭაიზამთრა, მაშინ იგი გაზაფხულზეც გაჩნდება.

ამერიკულ სიდამპლეს იწვევს ბაცილა თარტე. მატლი ილუპტ-
ბა. თავგადაბეჭერდილან + დღის შემდეგ, ხოლო ზოგჯერ ჭუპრობის
დროსაც. თუ ავადმყოფობა ოჯახში მომძლავრებულია, მაშინ შეიძ-
ლება თავლია ბარტყიც დაავადდეს. რატომაა, რომ უმთავრესად
თავგადაბეჭერდილი ბარტყი იღუბება და არა თავლია? საქმე ისაა,
რომ სანამ მატლი თაფლით იკვებება, ბაცილების განვითარებისათ-
ვის არახელსაყრელი პირობა არსებობს, ხოლო როცა მატლი ჭუპ-
რობის სტადიაში გადავა, მის თრვანიშნში შაქრის აოდენობა იჭ-
ლებს, შაქრის ნაკლებობა კი ბაცილების განვითარებისათვის ხელ-
საყრელ პირობას ქმნის. მა დროს ბაცილა სწრაფად მრავლდება
და კლავს მატლს. მაგრამ თუ ოჯახი დასუსტებულია, ავადმყოფი
ძლიერ შოდებულია და მატლები საკვების ნაკლებობას განიცდიან,
მაშინ ბაქტერიები მატლს თავვადაბეჭერდებდეც ლუბავს.

ამერიკული სიდამპლის გამავრცელებელია უმთავრესად: ავად-
მყოფი და შევდარი ბარტყი, ავადმყოფი ოჯახის თაფლი და დაა-
ვადებული უჯრედები.

ავადმყოფის გამავრცელებლად ითვლება: მუშა ფუტქარი,
„ჭურდი“ ფუტქარი, მამალი ფუტქარი, ავადმყოფ ოჯახიდან ჯან-
საღ ღაჯახში ჩარჩოების გადატანა და სხვა. ფუტქრის ორგანიზმში
მიკრობები შედის საჭმლის მომნელებელი ორგანოებიდან.

აშერიკული სიდამპლით დაავადებული ბარტყის ნიშნები


1. დაავადებული ბარტყის უჯრედების სახურავები ჩანსნექი-
ლია და ოდნავ განვრეტილი. თუ ბარტყი თავგადაბეჭერდალეც დაი-

ლუბა, მის უჯრედს ფუტკრები აღარ ბეჭდავენ და ცდილობენ მასა უჯრედიდან ამოილონ.

2. დამპალი მასა წებოვანი და წევადია. თუ დალუბულ ბარტყეს შერილი ჩაირით შევეხებით და მას ნელნელა ზემოთ ამოვწევთ, ვნახავთ, რომ ჩაირს ამოვება მატლის გრძელი წებოვანი ძაფის-ბაგვარი ნაწილი (სურ. 56).

3. მატლის დამპალ მასას სადურგლო წებოს სუნი აქეს.


4. მკვდარი ბარტყი მოთავსებულია უჯრედის კედლის ქვემო ნაწილში. იგი ხმება და მაგრად ეკვრის კედელს ისე, რომ უურ-კრები მას უჯრედის კედელს ვეღარ აცილებენ.



სურ. 56. დამპალი ბარტყის წელვადობა ამერიკული სიდამპლით დაავადების შემთხვევაში.

5. ამერიკული სიდამპლით დაავადებული ბარტყიანი ფიჭა გვრელებულია (სურ. 57).

ამრიგად, ამერიკული სიდამპლით დაავადებული ოჯახის აღმოჩენა ზემონათქვამი გარეგანი ნიშნებით შეიძლება. მაგრამ მეტი სიზუსტისათვის უნდა ავილოთ ფიჭის ყველაზე მეტად დაავადებული ნაწილი (ზომით 10—15 სმ) და გავგზავნოთ იგი სპეციალურ



სურ. 57. სიდამპლით დაავადებული ფიჭა ლაბორატორიაში შიკროსკოპის ქვეშ გასასინჯად.



ამერიკული სიდამპლის გაჩენის საწინააღმდეგო
ორნამენტის შემდეგი:

1. უნდა ვებრძოლოთ საფუტკრეში „ქურდობის“ გაჩენას;
2. ფუტკრის ოჯახის ყიდვის დროს წინასწირ უნდა შევამოწმოთ მისი ჯანმრთელობა;
3. ყოველგვარ სამშაო ინვენტარს ხმარების შემდეგ უნდა გაფურცელოთ დეზინფექცია;
4. ავადმყოფი ოჯახიდან მიღებული თაფლი ცალჭე უნდა შევინახოთ ისე, რომ ფუტკარმა არ ნახოს;
5. არ უნდა გამოვიყენოთ ხელოვნური ფიჭისათვის სიდამპლით დაავადებული ფიჭიდან მიღებული ცვილი;
6. საფუტკრეში ყოველთვის უნდა ვიყოლით ძლიერი ოჯახი და უზრუნველვყოთ იგი უსეი საკეცბით;
7. დროულად უნდა შევცვალოთ ბუდის ჩარჩოები და არ დაკუშვათ ფიჭის ზედმეტად გამავება;
8. არ უნდა ვკეცბოთ ნაყიდი შეუმოწმებელი თაფლით;
9. ოჯახის გასინჯვის შემდეგ კარგად უნდა დავიბახოთ ხელები საპნით;
10. საფუტკრეში ამერიკული სიდამპლის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ უნდა გავსინჯოთ ფუტკრის ყველა ოჯახი, დაავადებული ოჯახები მოვათავსოთ საფუტკრის მოშორებით და ვაცნობოთ ეს აგრძონებს ან ვეტერიმს.

ამერიკულ სიდამპლესთან ბრძოლა. ამერიკული სიდამპლით დაავადებული საფუტკრე კარანტინში უნდა ვიყოლოთ.

ამერიკულ სიდამპლესთან საბრძოლველად მიმართავენ დაავადებული ოჯახის გადასხმასა და შემდეგ მკურნალობის ჩატარებას.

ფუტკრის ოჯახების გადასხმა ლალიანობის დროს უნდა ჩატარდეს. როცა სალამოს ფუტკრის ფრენა იქლებს, ავადმყოფ თვალის ფილებთ და მის ადგილას ახალ დეზინფექცირებულ სკას დავდგამთ სკაში რამდენსამე ხელოვნურფიჭიან ჩარჩოს მოვათავსებთ. სკის წინ გაზეოს გავშლით, ავადმყოფი ოჯახიდან ამოვილებთ ჩარჩოებს და ფუტკრებს ფრთხილად გაზეთზე დავბერტყავთ. როცა ყველა ჩარჩოს ასე დავბერტყავთ, ბოლის საშუალებით ფუტკრებს ნელნელა სკაში შევიყვანთ. გადასხმულ ოჯახს ვაძლევთ გალიით ანალგაზრდა განაყოფიერებულ დედას. დაავადებული თაფლიანი, ჭიონანი და ბარტყიანი ჩარჩოები სარდაფში უნდა შევიტანოთ.

სკის წინ გაფენილ გაზეთს დავწევთ, მის ირგვლივ შემდეგნაირად: ერთ ლეტრ შექრის სიროვზე (ერთი წილი შაქარი და ერთი წილი ოდულებული წყალი) ვასხამთ ცტელ წყალში გახსნით 1 გრამ სულფანატროლს ან 2 გრამ სულციმიდნატრის პრეპარატს.

თუ პენიცილინს ვნმარობთ, ერთ ლეტრ სიროვზე უნდა ავილოთ 900000 ერთეული, ხოლო პრეპარატი წინასწარ გავსხათ უკი წყალში და შემდეგ განვაზიათ გაცივებულ სიროვზი.

სამკურნალო სიროვს (ნელთბილს—30—37°) ოჯახის ვაძლევთ საღამოობით იმ ანგარიშით, რომ ფუტკრის ყოველ გუნდზე 100 გრ სიროვი მოდიოდეს. მკურნალობა უნდა ჩატარდეს ყოველი 5—7 დღის შემდეგ, ვიდრე ოჯახი არ განკურნება.

კარგი შედევი გამოიღო აგრეთვე ამერიკული სიდამპლით და-აფადებული ოჯახების ორჯერ გადასხმამ სკაში. მაგრამ იმ შემთხვევაში პირველი გადასხმის დროს ფუტკრებს უნდა მივცეთ იელოვნური ფიჭის ერთზოლიანი ჩარჩოები და მეორე გადასხმის დროს—მთლიანი ხელოვნური ფიჭები. მეორე გადასხმის შემთავევაში მკურნალობა და მოვლა იმავე წესით უნდა ჩავატაროთ, როგორც ერთხელ გადასხმის დროს.

სარდაფუში შეტანილი ცარიელი და ბარტყიანი ფიჭები სანთლად უნდა გადაეცნოთ.

ავადმყოფი ოჯახებიდან მიღებული თაფლი უნდა შევინახოთ თავდაცმულ ჭურჭელში და მისი საკვებად რეალიზაცია წეიძლება შემოღობაშე ან ზამთარში.

ამერიკული სიდამპლით დაავადებული ყველა სკა და ჩარჩო გამოვწვათ საჩინილავი ლამპით.

ავადმყოფ ოჯახებიდან თაფლის გამოწურვის შემდეგ ციბრუტი ჯერ წყლით კარგად უნდა გავრცელოთ და შემდეგ 2—3 პროცენტიანი ნატრიუმის ან კალიუმის სხნარით დეზინტექცია გავუკმოთთ. მერე კიდევ გამოვაცლოთ წყალი და გავაშროთ მზეზე.

თაფლის გამოსაწურავიდ ხმარებულ ხელსაწყო-იარალებს ცუცხლზე უნდა გავუკმოთ დეზინტექცია ან 30 წუთით გავაჩეროთ სარეცხი საღის 2—3 პროცენტიან ადულებულ ისარაში.

იმ შემთავევაში, როდესაც საფუტკრეში ამერიკული სიდამპლით დაავადებული 1—2 ოჯახი აღმოჩნდება, სათანადო კომისიის დასკვნით ეს ოჯახები წეიძლება მთლიანად მოვსპონთ. ოჯახის მოს-

პობისათვის ფუტკრები საღამოს გოგირდის გაზით ან ფორმაცია
ნით უნდა დავხოცოთ, ბოლო ფიქტები ჩარჩოიანად დაწევათ. სარიცხვები
უსაჭროები
ეჭვმიტანილ საფუტკრეში ფუტკრის ოჯახების შემოწმება ზა-
ფხულში ყოველ 10—15 დღეში უნდა ჩავატაროთ.
ფუტკრის ოჯახების გაჯინსაღებიდან ერთი წლის შემდეგ სა-
ფუტკრეს კარანტინი უნდა მოვხსნათ.

ევროპული ხიდაშპლე

როგორც სახელშოდება გვიჩვენებს ევროპული სიდამპლე ეგ-
რობაში აღმოაჩინეს და მისი შესწავლაც იქ მოიდა.

ევროპული სიდამპლე ფუტკრის ოჯახში თავს იჩენს გაზაფ-
ხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში. მის გავრცელებას უმ-
თავრესად ხელს უწყობს ოჯახში საკეები მარავის ნაკლებობა და
ცივი ამინდები. უცი ლალიანობის დროს ავადმყოფობა კლებუ-
ლობს, ხოლო არალალიანობისას (შემოდგომაზე) ისევ ძლიერდება-

ევროპული სიდამპლით თავით ბარტყი ავადდება და 4—5
დღის ასაქში იღუპება, მაგრამ თუ ავადმყოფობა ოჯახში გაძლიერ
და, მაშინ თავგადაბეჭდილი ბარტყიც კვდება.

ამერიკული სიდამპლის გამომწვევია ბაცილა პლუტონი, ალვეი,
სტრეპტოკიასისი და სხვა. მიკრობები, მაგრამ ამ ავადმყოფობას
უმთავრესად ბაქტერია პლუტონი იწვევს. ბაქტერია პლუტონის
შემდეგ ჩნდება მიკრობი ალვეიც, რომელიც მატლის სიკუდილის-
თანავე სწრაფად მრავლდება და გამოდევნის მატლიდან სხვა მიკ-
რობებს.

ევროპული სიდამპლის ნიშნები. 1. ევროპული ხი-
დამპლით დავადებული მატლი ჩეეულებრივ თეთრი ფერს კარგავს—
ჯერ ყვითელი გაიდება, მერე მუქი და ბოლოს იურია. ბატლის დამ-
პალი მასა არაწევადია და ფუტკარი მას თავისუფლად იღებს უჯ-
რედიდან.

2. მკვდარ მატლს ფეხის ოფლის სუნი აქვს, ხოლო სიდამ-
პლის სტადიანი მყრალი სუნი უდის, ანიტომ მას მყრალ სიმყაფუ-
საც ეძაიან.

3. ევროპული სიდამპლით დალუპული თავგადაბეჭდილი ბარ-
ტყი უჯრედების ნასურელების მცრე ამერიკულ სიდამპლეს წაა-
გას. მაგრამ ზუსტად რომ გამოვარეულით—რომელ სიდამპლესთან
გვაქვს საქმე, ყურადღება უნდა მივაქციოთ უჯრედში დალუპული
ბარტყის მდგომარეობას, მის სუნს და წევადობას.

ამის გარდა, ევროპული სიდამპლით დავადებული ბარტყი

შოუსენრობის გამო უჯრედში სხვადასხვა მდგომარეობაში კვლება.
4. დაავტობული ბარტყიანი ფიჭის შეხედულება ძალიან მდგომარეობაში კვლება
ლია. ევრობული სიდამპლის დროს გამიმარი მატლის ქერქი ისე
შავრად არ არის მიწებებული უჯრედის კედელს, როგორც ამას
ადგილი აქვს აბერიკული სიდამპლის დროს.

ევრობულ სიდამპლესთან ბრძოლა. 1. საფუტ-
კრის ყველა ოჯახი ძლიერი უნდა იყოს, რადგან ევრობული სი-
დამპლე უფრო მოუელელ და სუსტ ოჯახებს ემართება. ძლიერი
ოჯახი, თუნდაც მას ევრობული სიდამპლე დაემართოს, ადვილად
განიკურნება ამ ავადმყოფობისაგან. პირველ ხანებში ევრობული
სიდამპლე ისე თოლ ფრჩებშია, რომ ადვილია შისგან ოჯახის
განკურნება.

2. ოჯახს ყოველთვის უნდა ჰქონდეს საკები ჭარბი მარავი.
იგი განსაკუთრებით გაზიარდულზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი
ნექტრით და ჭეოთი.

3. უნდა იყოს დათბუნებული, ჰყავდეს ახალი დედა და ჰქონ-
დეს ახალი ფიჭები.

4. ავადმყოფი ოჯახის ბუდე უნდა შევამშეიღროვოთ და ზედ-
მეტი ცარიელი და თაფლიანი ფიჭები ამოვილოთ.

5. საჭროა ოჯახი გვყვადევს სუფთა მდგომარეობაში და
სკის ყველა ნაწილი დე ხახუჭექცირებული იყოს.

ევრობული სიდამპლის მკურნალობა ზეიძლება იმავე პრეპარა-
ტით, რომელსაც ამერიკული სიდამპლის დროს ვხშარობთ, ხოლო
ის ოჯახები, რომლებიც ამ საზუალებით არ განიკურნებიან, უნდა
გადაესათ დეზინფექცირებულ სკაში ხელოვნური ფიჭის ჩარჩო-
ებზე და ვკვებოთ სამკურნალო პრეპარატით.

ევრობული სიდამპლით დაავადებული ფუტკრის ოჯახების გა-
დასხმა იმავე წელით წარმოებს, როგორც ამერიკული სიდამპლით
დაავადებული ოჯახებისა, რაგრამ ევრობული სიდამპლის დროს
გადასხამ ოჯახებში დარჩენილი ყელა ბარტყიანი ჩარჩოები უნ-
და მოვათებსოთ ერთად საეციალურად დატოვებული ავადმყოფი
ოჯახების ბუდეში.

ამ ოჯახებში დედები უნდა მოგეკარი უზრუნ-
ველყოთ წყლით. 10-20 დღის წერდებ ამ ოჯახებიდან უნდა შევ-
ქმნათ ახალი ოჯააი. ახალ ოჯახებს უხდა ვუმკურნალოთ ზემოთ
აღნიშნულ სამკურნალო პრეპარატით და მივცეთ დედა.

ფუტკრის გადასხმის ზემდეგ განთავისუფლებული ფიჭები უნ-
და გადადედოთ. სასლად, თოლო სკები და სხვა ინვენტარი გავა-
ტაროთ დეზინფექციაში,

ევროპული სიდამპლის დროსაც საფუტკრეს კარანტინი წერტილი
მოგხსნათ მისი გაჯახსალებიდან ერთი წლის გავლის შემდეგ გადასახლდა



ფუტკრის გადამდები და არაგადამდები ავადმყოფობაზე

ფუტკრის გადამდები ფალარათი. ფუტკრის გა-
დამდებ ფალარათს იწვევს ნოზემატოზის სპორები. ნოზემატოზის
სპორები პირის ღრუდან მოავდებიან ფუტკრის შუა ნაწლავში და
იწყებენ იქ განვითარებას. სპორიდან გამოდის პარაზიტი, მრავლ-
დება და თავისი განავლით ფუტკარს სწამლავს. როცა ფუტკარი
ფალარათით აფადდება, სპორები განვეალთან ერთად გარეთ გამო-
დის.

სპორები სერის სკის ბუდეს, ჩარჩოებს, ფიჭას, თაფლს და
სკის კედლებს. ამის შემდეგ ავადმყოფობა ჩქარა ვრცელდება ფუტ-
კრებს შორის.

ნოზემატოზი საფუტკრეში ყველაზე მეტად თავს იჩენს ზამ-
თარში და ვაზაფხულზე. თუ ნოზემატოზით დაავადებულ ფუტკრის
ოჯახს ზამთარში კარგი საკედებით უზრუნველყოფთ, მაშინ ავად-
მყოფობა შეიძლება შემცირდეს და ბოლოს სულაც გაქრეს. მარ-
თალია, ფუტკრის ნაწილი როგორც ზამთარში, ისე კუჭის გაშენ-
დის (გამომღერების) დროსაც ილუაება, მაგრამ დანაკლისი ამ შემ-
თვევაში ახალგაზრდა ფუტკრით იცხება. თბილ რიონებში, სადაც
საფუტკრე ზამთრობით კარგია მოწყობილი, ნოზემატოზი დიდ სა-
შიშორებას არ წარმოადგენს, რადგან ასეთ პირობებში ფუტკარი
ხშირად ახერხდებს გარეთ კუჭის გაშენდას.

შეიძლება შოხდეს, რომ ნოზემატოზით დაავადებული ფუტ-
კრები მასანა თაფლზე ზამთრობდეს. მაშინ ზამთრის დასასრულს
საფუტკრეში აუცილებლად ფალარათი გაჩნდება. შეეცდებიან რა
ფუტკრები ფალარათით დასერილი ფიტების გასუჟთავებას, თვი-
თონვე სწეულდებან ნოზემატოზით. ასე დაავადებული ფუტკრის
ოჯახი ზოგჯერ სულ ილუპება ან იმდენად სუსტდება, რომ თავს ველარ
იცავს ქურდი ფუტკრებისაგან. „ქურდი“ ფუტკრები ამ შემთავევაში
თვითონ იდებიან ავადმყოფობის გამავრცელებელი საფუტკრები.

ნოზემატოზის გამავრცელებლად დედა ფუტკარც ითვლება,
ვინაიდან ამ ავადმყოფობით დაავადებული დედა სკაში კიშტას გაწ-
მენდით მასობრივად გადადებს იმას ფუტკრებს. ისაც უხდა ვიცო-
დეთ, რომ ნოზემატოზით დაავადებული დედა ფუტკარი დიდიანს-
ვერ ცოცხლობს და შეიძლება განათებამდეც მოკვდეს.


როცა საფუტკერეში ნოზემატოზი გაჩნდება, მაშინვე უნდა შეეწყოროთ ჩარჩოების გადატანა სკიდან სკაში, შევაჩეროთ სჭერილობის თვალის გაძლიერება სხვა თვალის გაძლიერების ხარჯზე და სხვა.

ნოზემატოზით და-


ავადებული ფუტკის თვალის გამორკვევა ფუტკის შუანაწლავის გამოღებით ხდება. ფუტკარს პირველად თავი უნდა წაგაწყვი- ტოთ, შემდეგ ფრჩხი- ლებით ფრთხილად მუც- ლის ბოლო მოვწიოთ და ისიც მოვაგლიჯოთ.

მოვაგლიჯო მუცლის ბოლოს გამოყება მსხვილი და წვრილი ნაწ- ლავი და ბოლოს კუჭიც (სურ. 58).

ფუტკის სალი ზუა ნაწლავი გამჭვირვალეა, ფერით უმეტე- სად მოწითალო, გარეგნული შეედულებით ძე-ეს გვაგონებს. და- ვადებული შუანაწლავი მლვრიე ტალაის ფერისაა და ძალიან გა-



სურ. 58. ფუტკის შუანაწლავის გამოღება.



სურ. 59. ფუტკის შუან.წლავის შემადგენლობ., მიკროსკოპ- ში ძლიერი გადიდებისას. მარცხნივ ჯანსალი, მარჯვნივ ნო- ზემატოზით დავადებული.

ჭიმულია. მაგრამ ასეთი ნიშვებით ნოზემატოზის სპორების ზუსტად დადგენა შეუძლებელია. ამისათვის ზუა ნაწლავის შიგთავსი უნდა წაგუსვათ სუჟთა შემაზე და მიკროსკოპით დავხედოთ. მიკროსკო- პის ქვეშ ბრინჯის მარცვლების მაგვარ გროვებად დავინახავთ ნო- ზემატოზის საორებს (სურ. 59).

შუანაწლავის შიგთავსის ნიმუშებს დაავადებული თვალის გილებთ, როცა თვალის საზამთრებია მოთაცებული, ერთი თვით იდრე, ვიდრე მათ გარეთ გამოვიტანდეთ, თვითეული თვალის გილიდან 8. მეფუტკეობის პრაქტიკული.

40—50-მდე მკვდარ ფუტკარს ამოვილებთ, ხოლო თუ ფუტკარის
ოჯახები გარეთ ზამთრობენ, მაშინ ყოველი სკის საფრთხეა მასა
20—30 ცალ ცოცხალ ფუტკარს ვრემოთ. ორივე შემთხვევაში და-
გამზადებთ ნ. მუშებს, რომლებსაც ასანთის კოლოფში ვათავსებთ
ფუტკრის ოჯახის №-ის და მისამართის წარწერით.

ნოტება ტოზით დაავადებული ოჯახების გაჯანსალება

1. ნოტება ტოზით დაავადებული ფუტკრის ყველა ოჯახი უნდა გადავსხათ დეზინტეგეტურებულ სკაზი. გადასიმულ ოჯახს უნდა თაფლიანი ჩარჩო მივცეთ რმ ინგარიზით, რომ ყოველ ერთ ჩარჩო ფუტკარზე მოდიოდეს 1,5—2 კილოგრამი თაფლი. სკაზი დარჩენილი ჩარჩოები (გარდა ბარტუსის) უნდა ამოვილოთ, გავტხოთ და გაეწმინდოთ 4% ფორმალინის ხსნარით. ბოლოს, ბარტუსი ჩარჩოც უნდა ამოვროთ სკადან და ჩაედგათ გადასხმულ ფუტკრის ოჯახში.

2. გადასხმულ ოჯახებში ყოველწლიურიდ თანდათანობით უნდა განვაახლოთ ბუდე უვარებისი ჩარჩოების ამოღებით და ხელოვნური ფიჭის ჩადგენით.

3. საფუტკრენი ყოველ წელს ძელი დედების მთელი რაოდენობის 40—50% ააილი დედებით უძადა ზევცვალოთ.

4. სუსტი ოჯახები იმდენად უნდა გვეძლიეროთ ძლიერი ოჯახების ხერჯზე ბირტყებს და ფუტკრის მიცემით, რომ გადასამული ოჯახის ფუტკრები 6 ჩარჩოს მანც ფარავდეს.

5. ოჯახისათვის საზამთროდ კარგი ხარისხის თაფლიანი ჩარჩოები მთიარი დალიანის დორს უბდა შევარჩიოთ.

6. შემოღომაზე ოჯახებს რაც ზეიძლება მეტი ახალგაზრდა ფუტკრები უნდა გამოვიყვანიოთ და გისაზამთრებლად კარგიდ დავათმუნოთ.

ფუტკრის არაგადამდები ფალარათი დაკაუნირებულია ფუტკრის კუჭნაწლავის ზედმეტ გარატვირთვასთან, რომლის დროსაც ფუტკარი გამოყოფს თევლ გახავალს ეს დაღუნილობა ოჯახში თავს იჩენს შუაზამთაობი და აღრე გაიძუაულზე.

ფალარათის გ: მომწვევეა:

1. ცუდი ხარისხის სატ. მთრო მარიგი, როგორიცაა: მანანა თაფლი, ავეგვებული თაფლი და ხევა;

2. საზამთროდ ოჯახს ცდად ინწყობა (პუდის დაუთბუნებლობა);



3. სკაში სინესტის წარმოშობა;
 4. სკაში ზედმეტი ან ნაკლები ტემპერატურის არსებობა ფალარათით დაავადებული ოჯახის გარეგანი ნიშნები:
 1. ფუტკრის განავალი უმთავრესად ცვითელია. იგი წინწკლუბადაა მოფეხილი მისაფრენ ფიცარზე, სკის წინა კედელზე და ზოგჯერ მთელ სკაზეც;
 2. ფუტკრის განავლით გასერილია სკის ფსკერი, კედლები და ფიქები.
- ფალარათის თავიდან იცილება შეიძლება:
1. ფუტკრის ოჯახისათვის საზამთრო მარაგად კარგი ხარისხის თაფლის დატოვებით;
 2. ფუტკრის ბუდეში ნორმალური ტემპერატურის და სინესტის დაცვით;
- ფალარათით დააჩადებული ფუტკრები უნდა ვკვებოთ შაქარ-წყლით, ხოლო თუ ფალარათი ძლიერ ფორმაშია, ფუტკარი სხვა სკაში უნდა გადაესხათ.

მოწავლა

ფუტკრის მოწამელის იწვევს ბალებში ხეხილის მავნებლების საწინააღმდეგოდ გამოყენებული შაამების ნაერთები. შეწამლულ მცენარეზე ფუტკარი იგროვებს ნექტარს, ჭეოს და ამ დროს იწამლება.

მოწამლული ფუტკრები ზოგი უცბად კვდება, ზოგი მიწაზე ცოცავს, ზოგი კი გარინდებულია და კანკალებს. მოწამლული ფუტკრის რიცხვი ხშირად იმდენად დადია, რომ ზოგჯერ სკის მთელ წინა აღვილს ფარავს. მოწამლული ფუტკრებიდან ბევრი მინდორ-ზივე ღლუბება და იმპივება მოაითო თანდათანობით სუსტდება და ბოლოს შეაძლება იგი სულაც დაიღუაოს.

მოწამვლის ნიშანი. დახოცილ ფუტკრებს შუცელი გაბერილი აქვთ და ძლიერ დალოლავენ მიწაზე.

უნდა ალინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბარტყის მოწამვლაც ხდება, რადგან ფუტკრები სკაში მოტანილ ჭეოთი ბარტყებს კვებავენ.

ფუტკრის მოწამელის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთ ლონისძიებას წარმოადგენს ოჯახის დროებით სხვა აღვილას გადაყვანა და იქ დატოვება მანაცდე, სანამ მოწამლულ ადგილის შაამების გავლენა არ ჩიქჩება.

ფუტკრის მტრებად ითვლებიან ის ფრინველები და მწერები, რომლებიც ფუტკრებზე ნადრობენ და ანადგურებენ მათ. ფრინველებიდან ფუტკრის მტრებია კვირიონი და ლაქო, ხოლო მწერებიდან—ონავარი, ფუტკარჭამია, ფუტკრის მგელა და ჭიათა.

კვირიონი—მეტად ლამაზი ფრინველია. მისი ტანი ცისფერია, ხოლო კისერი ოქროსფერი. სიგრძით იგი 26 სმ უდრის (სურ. 60).

კვირიონი ფუტკრის დიდი მტერია. ხშირია ზემთხვევა, როცა კვირიონების თავ-

დასხმის შეღეგად ფუტკრის ოჯახი თითქმის მთელ მოღალე ფუტკრებს ჰქონდავს. კვირიონი მიწაში იკეთებს ბუდეს და იქ დებს გვერცხებს. იგი საფუტკრეში სკასთან აილო დაჯრება და გარეთ გაძოფრენილ ფუტკარს იქცებს. კვირიონი ადამიანს ხაკლებად ეპურება. კვირიონების საფუტკრეზე თავდასიმის დროს მეფუტკრემ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები უნდა იმართოს, თორებისინი ააღგაზრდა ფუტკრების დაჭირით მთელ საფუტკრეს გაანადგურებენ.

კვირიონებს მეფუტკრები თოფით და ბუდეების დანგრევით ებრძებან.

ლაქო—ფრინველია და იკვებება როგორც ფრინველთა კუტრცხით, ისე სივადასხვა ბჭერით. ლაჯო ბუდეს იკეთებს საფუტკრის მახლობლად და ანადგურებს ფუტკარს.

ლაქოს უნდა დაეუნგრიოთ ბუდე და ეებრძოლოთ თოფით. ონავარი—მწერია და წააგავს კრაზახას. ონავარს თავი



სურ. 61. ონავარი (ნამდევილი ზომით).

და გულმრერდის წინა ნაშილი ყვითელი აქვს. ონავრების ყოველი
ოჯახი დედისა და მუშა ონავრებისაგან ზესდგება. სიგრძით
ვარი 23—30 მმ არ აღემატება (სურ. 61). ზამთარში ონავრის
ყველა ოჯახი ილუპება და რჩებიან მხოლოდ განაყოფიერებული
დედები, რომლებიც თბილ ადგილებში ზამთრობენ. ონავარი ბუ-
დეს ფულუროში ან ზოგჯერ საბლის სახურავში იკეთებს. იგი სა-
ზენ მასალად იყენებს ხის ქერქს, რომელსაც გადაამუშავებს ნერ-
წყვით და აქცევს ქალალდის მაგვარ მასალ. ონავარი აშენებს ფი-
ჭას ჰორიზონტალურად და იარუსებად.

დედა ონავარი უჯრედში დებს კვერცხს, რომლისგანაც 5



სურ. 62. ფუტკარჭამია.

დღის შემდეგ გამოიჩინება მატლი. მატლი 9 დღის შემდეგ გადა-
დის ჭუპრობის სტადიაში, ხოლო 14 დღის გავლისას ჭუპრიდან
ვამოდის ონავარი. ონავარი მატლს მწერების წვენით კვებავს.

ონავარი ფუტკრებზე ნადირობს და ზოგჯერ თაფლსაც იტა-
ცებს სკიდან. ონავარს ებრძეიან ბუდეების მოსპობით. ეს ღონის-
ძება უნდა ჩატარდეს საღმოობით, როცა ონავარი ბუდეშია.
ონავარს ძლიერი შხამი აქვს და ბევრმა კბენამ შეიძლება ადამია-
ნის სიკედილიც გამოიწვიოს.

ონავარს მახითაც ებრძევიან. მასედ ხმარობენ ფართოყუ-
ლიან ბოთლს, რომელშიაც $\frac{1}{3}$ სიმაღლით თაფლიან წყალს
ასხამენ. თაფლიანი წყლის ნაცვლად ხშირად ლვინის ძმარ-
საც ხმარობენ. ონავარი ბოთლში ჩაძერება და დაიხრჩობა. მა-

ხე საფუტკრეში ლალიანობის დროს უნდა დავდგათ, თორემ არ დალიანობისას მახვი თვით ფუტკრები დაიარჩობიან.

ფუტკარჭამია — მტაცებელი მწერია. მისი სიგრძე 65 მმ აღწევს (სურ. 62). ფუტკარჭამია ბუდეს იკეთებს მაისში და დებს 3—4 ცალ კვერცხს. იგი ნაუირობს ფუტკრებზე და ანადგურებს შათ. ფუტკარჭამია სხვა მწერებითაც იკეთება, მაგ., იგი სშირად შიშიდან ამოგლეჯს კრაზ-ნების ბუდეს და ჭამს ამ მწერს.

ფუტკარჭამიას უნდა ვებრძოლოთ ბუდეების დანგრევით და თოვით.

ფუტკრისმგელი — მწერია და იგი ჩვეულებრივი კრაზანი-საგან სხეულის სიდიდით და სიყვითლით განირჩევა. დედალი ფუტ-კრისმგელა ბუდეს ფერდობებზე იკეთებს (სურ. 63). ბუდის სილრმე ხოგჯერ ერთ მეტრიამდეც აღწევს. ფუტკრისმგელა ფუტკარს თაფ-ლოვან მცენარეზე დაჯდომის დროს იქრს, კლავს მას თავისი ნეს-



სურ. 63. ფუტკრისმგელა და მისი ბუდე.

ტარით, წუწნის თაფლს ჩიჩახვიდან და მოკლული ფუტკარი მიაქვე ფუდეში მატლების გამოსაკვებად. დედალი ფუტკრისმგელა მკვდა-რი ფუტკრის მკერდზე დებს კვერცხს. კვერცხიდან გამოსული მატ-ლი ფუტკრის სხეულით იკვებება. მამალი ფუტკრისმგელა შთამო-ავლობის აღზრდაზე არ ზრუნავს.

ფუტკრისმგელას გამრავლება იყლისიდან იშება და გრძელ-დება სექტემბრიამდე. დაკვირვებით გამოირკვა, რომ 1,5 ჰექტარ ფართობზე დასახლებული ამ მწერის თოობის აღსაზრდელად დაახ-ლოებით 1900000 ცალა ფუტკარია საჭირო.

ფუტკრისმგელასთან საბრძოლველად მიღებულია მისი ბუდე-ბის დანგრევა, ბუდეებით დაფარული ფართობის გადახვია და დე-დების დახოცვა.


ჭიათუა — მტაცებელი მწერია. იგი მოშინალო-მოყვითალი ფერისაა. ჭიათუა კვერცის დებს წეალში და კვერციზან გამოსაყლოვარა მატლი განვითარების ყველა სტადიას წყალშივე გაივლის. ჭიათუა დაფრინავს მზიან ამინდში და ნადირობს ფუტკარზე.

ჭიათუსთან საბრძოლველიდ, მისი დაზისების და განდევნის მიზნით, შიმართავენ თოფის სროლას.

ზემოთ ჩამოთვლილი მტრების გარდა, ფუტკარს ბევრი სხვა შეცრიც ჰყავს, მაგ.: ზაშვი, მერცალი, ბელურა, ზექაუნა და სხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ფონიზელების ჰიერ ფუტკარისათვის შიკუნებული ზარალი უმნიშვნელოა ის სარგებლობასთან შედარებით, რაც მათ სოფლის მეუროვნისათვის მოაქვთ.

ფუტკარის პარაზიტები

პარაზიტები ცხოვრობენ ფუტკარის ორგანიზმზე და იმდენად აწუხებენ მას, რომ მცირდება მისი ზრომის უნარიანობა. ფუტკარის პარაზიტებს ეკუთვნიან: ფუტკარის ტილი, ჭრელი მაისა, ჩვეულებრივი მაისა და მაისის ნოჭი.



სურ. 64. ფუტკარის ტილი.

ფუტკარის ტილი. ფუტკარის ტილი უმთავრესად სასკვეშირის საში. ნაშილშია გავრცელებული. მას ჩვენშიაც ხშირად ეხვდებით.


ტილის სხეული დაფარულია შუქი მოშინალო ბეჭვებით. მასი თავი შოკლეა და ცერტიკალურად ქვევით არის დახრილი. ბუცელი ოვალური ფორმისაა და 5 ნაშილისაგან შესღება. თავზე კრთი წყვილი ულვაში და რთული თვალები, ხოლო გვერდზე სამი წყვილი ფეხები იქვე (სურ. 64).



ტილი კვერცხის საშუალებით მრავლდება. კვერცხს იგი ფურულება და ნაბეჭდებზე დებს, ხოლო იშვიათად — სკის ფსკერზე და სამართლის ნაგავში. კვერცხიდან გამოსული მატლი, თაფლით და ქეთით იკვებება. ბატლიდან განვითარებული ტილი შელლდება ფუტკრის გასსაკუთრებით დედა ფუტკრის სხეულზე და დებს კვერცხს.

ფუტკრის ტილი მიბლაუნებულია ფუტკრის მკერდზე და ერთ-ერთი თავისუფალი ფეხით უქამდე ულიტინებს ფუტკრის ზედა ტუჩს, სანამ ფუტკრი ხორთუმს არ გაძიყოფს. ხორთუმზე ტილი თავისი პირის დანამატებით წუშნის ტებილ წვენს.

ფუტკრის ტილთან საბრძოლდებული სმარობენ ნაფთალინს. ლამე სკის ფსკერზე ქილალდის ფურცელს იფენენ და ზედ 15—20 გრამ ნაფთალინს ფხვნილს ჰყრიან. ამ დროს სკის კველა



ურ. 65. ჭრელი მაისა და მისი მატლი.

ურ. 66. ჩევულებრივი მაისა და მისი მატლი.

ჭუჭრუტანა დაცული უნდა იყოს. დილით ფუტკრის გამოფრენამდე ნაფთალინიანი ქალალდი ტილებით სკილან გარეთ გამოაქვთ. ნაფთალინს ოჯახში ზედიზედ შაბაშდე ყრიან, სანამ ტილი არ მოისპობა.

როცა ოჯახში ტილი მარტო დედა ფუტკარს ჰყავს, ტილს სხვა ხერხით სპონბენ: ფრთხილად მოკიდებენ მკერდში ხელს დედა ფუტკარს და დასვამენ გადმობრუნებული ვიქის ქვეშ თევზზე, ერთხელ უბოლებენ მას თამბაქოს ბოლს. თამბაქოს ბოლის ზემოქმედებით დედა ფუტკარს ტილები მოიცილდება და თევზზე დაცივა. ტილებისაგან განთავისუფლებულ დედას ისევ ოჯახს გუბრუნებთ.

ჭრელი მაისა. ჭრელი მაისა — მწვანე ფერის ხოჭოა, მისი სიგრძე 30—32 მმ. უდრის (სურ. 65). ხოჭოს მატლი ყვავილებში იმაღლება და უცდის მწერის ყვავილზე დაჯდომას. ყვავილებზე უფრო ხშირად ფუტკარი ჯდება. ჭრელი მაისას შატლიც უმუტესად ფუტკრის სხეულზე გვხდება. ჭრელი მაისა თავისი კაუჭა უეხებით ჩაბლაუნებულია. ფუტკრის გულის ჩორჩის. ფუტ-



კარი ამ დროს ძლიერ სწუხს, ტრიალებს და ზოგჯერ კიდევაც პერიოდის შედეგის მასას მატლი მცვდარი ფუტკრის სხეულიდან სწუწნის ჭრის შედეგის მასას მასასთან საბრძოლველად მიღებულია მისი და-ჟერა და დახოცვა, მაგრამ ამ დროს დიდი სიფრთხილე გვმარ-თებს, რადგან დაჭრისას ხოჭო უშევებს ისეთ შეამს, რომელიც კინგები მოხვედრისას იწვევს ანთებას და დაწყლულებას.

ჩვეულებრივი მაისა. ჩვეულებრივი მაისა ჭრელი მა-ისასაც განხორციელდება შავი ფერით. ზორით ივი 11—35 მმ. მდე აღ-შევს (სურ. 66). დედალი მაისა გაზაფხულზე მიწაში 4000-მდე კვერცხს დებს. კვერცხიდან 28—42 დღის შემდეგ გამოიჩინება მატ-ლი. მატლი ამოდის მიწიდან, აღოლდება მცენარეებზე და იმა-ლება ყვავილებში. იგი თავი ესხმის ყვავილზე მიტრენილ ფუტ-კარს და ებლაუჭება მისი ტანის ბუსუსებს. ამ მატლთან ბრძოლა იმავე ხერითი წარმოებს, როგორც ჭრელ მაისასთან.

ბარტყის პარაზიტები

ბარტყის პარაზიტებია ფუტკრის კუზიანი ბუზი და ფუტკრის ხოჭო და სკის ხოჭო.

ფუტკრის კუზიანი ბუზი. ფუტკრის კუზიან ბუზს ვულმეკრდი შავი ფერისა და მუცელი ნაცრისფერი აქვს. ფეხები ვრცელია (სურ. 67).

კუზიანი ბუზი შეძვრე-
ბა სკაში, მონახავს
ხინიერ მატლს, გახ-
ვრეტს მის კანს და ჩა-
დებს შიგ კვერცხს.
კვერცხიდან გამოსუ-
ლი მატლი 6—7 დღის
განმავლობაში ფუტ-
კრის მატლის ორგანიზ-



სურ. 67. ფუტკრის კუზიანი ბუზი.


მით იკვებება. ჭრე-
ლიდ გადაქცევის წინ შატლი ლრღნის უჯრედის სახურავს, გამო-
დის გარეთ და სკის ფსკერზე ჭუპრად იქცევა. 12 დღის შემდეგ
ჭუპრიდან მწერი გამოდის.

კუზიან ბუზთან საბრძოლველად მიმართავენ სკის კარგად გა-
სუფთავებას და სუსტი ოჯახების გაძლიერებას.

ფუტკრის ხოჭო და სკის ხოჭო. ფუტკრის ხო-
ჭო და სკის ხოჭო ერთმანეთს გეანან, მაგრამ სკის ხოჭო მაინც
განიჩინება ფრთის ქვეშ მოთავსებული მუქი ლაქებით (სურ. 68).
სკის ხოჭოს უმთავრესად მაის-ივნისში ვაკლებით მცნარეებზე.

დედა ხოჭო კვერცხს დებს როგორც მწერთა ბუდეში, თე

ფუტკრის ბუდეშიაც. კვერცხიდან გამოიჩეკება მატლი, რომელი სკის ფსექტოზე სიბინძურები ცალკრობს. იგი იკვებება მცვლარი ფუტკრის კრით. მაგრამ ზოგჯერ საკვების ძებნის დროს ფიტაზე მატლი აღმოჩნდება. ფიტაზე იგი იკვეთებს ბუდეს და ფუტკრის მატლით იკვებება. მატლი იზამთრებს სკის ხვრელებში. გაზაფულზე იგი ისევ გამოდის სკის ხვრელიდან და იდის ფიტაზე. ხოჭოს მატლი ჭუპრობის სტადიას სკის გარეთ მიწაში გაიფლის. 30—35 დღეში ჭუპრიდან ხოჭო გამოიჩეკება.



სურ. 68 ა) ფუტკრის ხოჭო, ბ) სკის ხოჭო.

ფუტკრის და სკის ხოჭოებთან საბრძოლველად მიღებულია სკების სუფთად შენახვა.


ფუტკრის და სკის ხოჭოებთან საბრძოლველად მიღებულია სკების სუფთად შენახვა.

ფუტკრის მავნებლები

ფუტკარს ბევრი მავნებელი ჰყავს როგორც სკაში, ისე სკის გარეთაც. მავნებლები არღვევენ ფუტკრის მიერ აშენებულ ცვილის ნაეგბობას სკაშიაც და საწყობებშიაც.

ამის გარდა, მავნებლები იტაცებენ თაფლს და ზოგჯერ მათი მოქმედება ისე ძლიერია, რომ მთლიანად ანადგურებენ ფუტკრის ბუდეს.

ჩვენ აქ მხოლოდ ფუტკრის უმთავრეს მავნებლებში შევჩერდებით. ასეთი მავნებლებია: ცვილის ჩრჩილი, თაგვი, ჭიანჭველა და კრაზანა.



სურ. 69. ცვილის ჩრჩილი: პეპლები, მატლი და კვერცხი.

ცვილის ჩრჩილი. ცვილის ჩრჩილი ორი სახისაა: დაღი და პატარა ჩრჩილი. დაღი ჩრჩილის პეპლის სიგრძე 15—20 მმ აღწევს (სურ. 69). ამ პეპლის ფრთები ნაცრისფერია და მურა ან

შავი წერილი ზოლებით არის დატარული. პეპლის ტანი ყაჲრისტენის რია. დედალი პეპლი უფრო დიდია, ვიღრე მამალი.

ცვილის ჩრჩილის პეპლი ლამით ფრინავს, დღისით კი მოფარებულ ადგილებში იძალება.


დედალი პეპლი ცოცხლობს 12—14 დღეს და ამ ხნის განმავლობაში მას ზეუძლია 500 დან 1500-მდე კვერცხი დადოს. პეპლის კვერცხს დიდი გამძლეობა იქვს. მაგალითად, შემოღომაზე დადებულ კვერცხს ზეუძლია გაიზამთროს და ზაფხულში, ხელსაყრელი პირობების დროს, იქიდან მატლი გამოიჩეკება. მატლი 10° ტემპერატურის პირობებში აჩერებს განვითარებას და იმყოფება მიძინებულ მდგომარეობაში, ამ მდგომარეობაში მატლი შეუძლია რამდენსამე თვეს გასძლოს. ტემპერატურის აწევის ზემდეგ იგი კვლავ იწყებს განვითარებას და 8—10-ჯერ იცვლის ქანს. ჩრჩილი წელიწადში 3—4 თობის იძლევა.

ცვილის ჩრჩილი, როგორც ვთქვით, ანადგურებს ფიჭას და ბარტყსაც ლუპავს. მატლი ფიჭის უჯრედების ქვეშ იკეთებს გზებს. ბარტყი მატლის მიერ გაკეთებულ ქსელში ებმება, ველარ მოძრაობს და კვდება (სურ. 70).

ბუდეში ჩრჩილის არსებობის შემოწება ადვილია: ფუტკრანი ჩარჩოს გავანთავისუფლებთ ფუტკრებისაგან. განთავისუფლებული ჩარჩოს ზედა თამასზე რამდენჯერმე დავარტყამო ხელს. ზეშინებული მატლი დაიწყებს სწრაფ მოძრაობას და გადმოცვინდება ფიჭის უჯრედებიდან. ამის გარდა, თუ ჩრჩილი მომძლავრებულია, მას ფიჭაზე ადვილიდ დავინახავთ.

ჩრჩილის გაჩენის შინააღმდეგ ბრძოლა: 1. საფუტკრეში უნდა ეყოლოთ ძლიერი ფუტკრის ოჯახები, რადგან ასეთი ოჯახები ჩრჩილის პეპლის სკაში არ უშევებენ.

2. სკის ყველა ჭუჭრუტანა კარგად დაცული უნდა იყოს.



სურ. 70. ჩრჩილისაგან დაშინებული ფიჭა. ზანე მოსახანს: ქსელისაგან გაკეთებული გზები, ჩრჩილი და მისი მატლები.

3. უნდა ვაწარმოოთ ბუდის ძეელი ფიჭების რეგულირება
ახალი ფიჭების შეცვლით.

4. უფუტკრო და უბარტყო ფიჭები არ უნდა გვექონდეს სკა-
ში, რადგან პირველ რიგში ჩრჩილი ასეთ ფიჭებზე იბულება.

5. სისტემატურად უნდა ვაწარმოოთ სკის ნაწილების და ჩარ-
ჩოების გაწმენდა-გასუფთავება, ხოლო დაგროვილი ხავავი ცე-
ხლში დავწევათ.

ჩრჩილთან ბრძოლა. 1. სკაში და ჩარჩოებში გაჩენი-
ლი ჩრჩილის მატლი უნდა დავხოცოთ. ყველა ჩარჩო კარგად შე-
ვამოქმოთ ჩრჩილის მატლის აღმოსაჩენიდ. ჩრჩილის მატლე-
ბისაგან სკისა და ჩარჩოების ერთხელ გაწმენდა არ კმარა, ვი-
ნაიდან ბუდეში მატლი შეიძლება კიდევ დარჩეს მიმალულ აღვი-
ლას. ამისათვის ჩრჩილიანი სკების გაწმენდა რამდენჯერმე უნდა
ჩატარდეს და ამის შემდეგ დავიცვათ ჩრჩილის გაჩენის საწინააღ-
მდევრო ზომები.

2. მშრალი ფიჭები უნდი მოვათავსოთ სადეზინფექციო კამე-
რაში და უნდა ვუბოლოთ გოგირდი. გოგირდი დაბოცავა ჩრჩილის
მატლებს.

სადეზინფექციო კამერა ისე მჭიდროდ უნდა იყოს დაცული,
რომ გოგირდის ბოლი გარეთ არ გამოვიდეს. გოგირდის
დაწვის დროს სიფრთხილეა საჭირო, რათა ცეცხლი არ ვაჩინოთ.
შებოლებას ვაწარმოებთ (თუ ტემპერატურა 12 გრადუსზე მეტი არ
არის) ყოველ 10 დღეში.

დეზინფექციის დროს უნდა გამოვიყენოთ დოც. ს. კ. ულენ-
ტის მეთოდი. იგი გოგირდის შესაბოლებლად იყენებს თუკის ქვა-
ბებს. ერთ ქვაბში ასხამს წყალს და მასში დვამს მეორე გოგირდი-
ან ქვაბს. გოგირდის დაწვას აწარმოებს ანთებული ქალალდით. გო-
გირდიან ქვაბს აფარებს მავთულის ბადეს, რომელიც ხელს უშლის
გოგირდში შეყოლილი უცხო ნივთიერებების ზემოთ ამოსროლას.
სადეზინფექციო კამერას თვალყური უნდა ვადევნოთ, რათა გო-
გირდი წესიერად იწვევდეს.

3. თუ საფუტკრეს სპეციალური სადეზინფექციო კამერა არა
აქვს, მაშინ გოგირდის შებოლებას სკებში ვაწარმოებთ. სკის ბუ-
დებს ვადგამთ საკუჭნაოებს. ყველა ხერელს და საკუჭნაოების გვერ-
დებს თიხით შევლესავთ და ბუდიდან სათანადო ჭარის შემწე-
ობით გოგირდს შევუბოლებთ.

თავგი. თავგი ფუტკრის ოჯახისათვის ზამთარშია საშიში.
ზაფხულში იგი ფუტკარს ვერაფერს ვნებს. ზაფხულში ფუტკარი
თავგებს სკაში არ უშვებს. თუ ზამთარში თავგი სკაში შეძვრა, იგი

ექვედა და დაიწყებს თავულის ჭამას. ამის გარდა,  ლრონის და აფუჭებს ფიჭებს, თანაც თავისი ხმაურით ძლიერდება და ეტერპერატურა ვებს ფუტკარს.

თავეი სკაში უმთავრესად საფრენიდან შეძერება, ხოლო თუ სკა ძველია, შეიძლება საეთ ადგილებიდანაც შევიდეს.

თავეის წინაულმდეგ ზომების მისალებად სკის საფრენი შემოდგომიდანევ უნდა დავააზარაოთ და ფუტკრის დატოვებულ შესასვლელს კბილებიანი თუნუქის ნაჭერი გაეუკეთოთ.

თავეის მოსასპობად მიმართავენ შემდეგ ლონისძიებებს:

1. საფრტკრეში დგამენ სპეციალურ ხაფანგს.
2. სწამლავენ თავეს თეთრი დარიშნით, სტრიქნინით და სხვა.

ჭიათურელი. ჭიანჭველა ფუტკრის ოჯახს თავს ესხმის და იტაცებს თავულს ბუდიდან. იმ ადგილებში, საღაც ჭიანჭველა ძლიერ გავრცელებულია, იგი დიდ ზიანს აყენებს ფუტკრის ოჯახს.

ჭიანჭველასთან ბრძოლის მიზნით საფრტკრის გარშემო 100 შეტრენ ააგვიანებენ მის ბუდეებს. ნაულ იერელებს ცოტათი აფართოვებენ და შიგ თითო ჭიქი ნავთის ასამენ. შემდეგ ხერელს მიწას მიაყრიან. ნავთის ორთქლისაგან ჭიანჭველა იამცება.

ამის გარდა, ჭიანჭველა რომ სკაში ვერ შევიდეს, სკის ბოჭებს კუპრს ან ტაოტს წაუსვამენ.

კრაზანი. კრაზანი სკაში შედის და თაფლით იკვებება. მართალია, კრაზანის ფუტკარი ებრძევის და სკაში არ უშვებს, მაგრამ სუსტ ოჯააში იგი მაინც ააერაებს შესკვლას.


კრაზანასთან ბრძოლის მიზნით საფრტკრეში ბოთლით თაფლიან ჭყალს დგამენ. თაფლიან ჭყალში კრაზა. ა ჩადას და ილუება. კრაზანას საჭერი საფრტკრეში ლალიანობის დროს ღამლამობით უნდა დავდგათ, ხოლო არალიანობისას — დილდილობით და საღამოობით, როცა ფუტკარი სკაშია შესული.

ცვილის ნედლეულის შენახვა და გადამუშავება

ცვილის ნედლეული აღვილად ფუტდება, რის გამოც იგი კარგად უნდა შევინაოთ და გადავამუშაოთ. ხედლეულს უმთავრესად ცვილის ჩრჩილი აფექტება. ამის გარდა, მას აზიანებს თავეი, რბის სოფერები და სიე.

ცვილია ნედლეული გადაღნობამზე უნდა შევინაოთ მშრალ და გრილ შენობაზე. ჩრჩილის ყველა სტადია: ჭია, ჭუპრი და პეპელა 10° ტემპერატურის დროს არ ვითარდება და მი-

სინებულ მდგომარეობაშია, ხოლო 55° ტემპერატურის პირობებში
ალიზენული სტადიები იღუპებიან. ამიტომ ცვილის ნედლეულის უნდა აეწიოთ 55° -მდე და
შევინარჩუნოთ იგი 10 წუთის განმავლობაში. ცვილის ნედლეულის



სურ. 71. მზის ცვილსადნობი. I—საერთო ხელი; II—განივი
ჭრილი; III—ლითონის ბადე, IV—ტაფა; V—ხელგობა
სანალისათვის.

სტადიები დაიღუპებიან. ამის შემდეგ შენობაში არ უნდა აეწიოთ
ჩრჩილის ტემპერატურა 10° . ზე ზეკით, რათა შენ-ხელ ცვილის ნედ-
ლეულს ჩოხალი არ გაუჩნდეს.

ცვილის ნედლეულს ჟენობაში ზოგჯერ გოგირდს უბოლებენ.

ეს არ გარება, რადგან გოგირდი და ნაფთალინი საერთოდ ცეილონ
აფუჭებს და აუარესებს მის ხარისხს.

ცეილონ
საერთო კომისია
სამსახურის მიერავის


ცეილის ნედლეულის გადამუშავება არ უნდა დავავიანოთ,
იგი რაც შეიძლება მაღლე უნდა გადავადნოთ. საფუტკრეში ცეილის
ნედლეულის გადამუშავება უმთავრესად ორი ხერხით მიმდინარე-
ობს:

1. მზის ცეილსაღნობით და
2. ცეილსაწნევით.

მზის ცეილ საღნობი. მზის ცეილსაღნობი ყველა სა-
ფუტკრეში უნდა იყოს. იგი მაღალი ხარისხის ცეილს იძლევა და
არ მოითხოვს სათბობ მასალის. მეტობ მასზე გამდნარი ფიჭის ნაჩ-
ჩენები 50% ცეილს შეიცავს. ამიტომ ამ ხელსაწყობზე ყოველთვის
პირველი ხარისხის ცეილის ნედლეული უნდა გადავადნოთ, რომ
ცეილის გამოსავალი 70% და მეტს უდრიდეს. რაც შეეხება II—
—III ხარისხის ცეილის ნედლეულს, იგი ცეილსაწნევის საშუალე-
ბით უნდა გადავამუშაოთ.

მზის ცეილსაღნობი კეთდება ყუთის მსგავსად, რომლის უკანა
კედელი მაღალია წინახე. ყუთის შიგნით მოთავსებულია მავთუ-
ლის ბადე, ხოლო მის ქვეშ

— თუნუქის ფურცელი. ზევი-
დან ამ ყუთს ეაურება ჩარჩო-
ებში ჩასმული მინის სააუ-
რავი (სურ. 71). მზის ცეილ-
საღნობი საფუტკრეში უნდა
იღვეს მზიან დეველის. მზის
სხივები მოხვდება საღნობს
და გააღნობს შასში მოთავ-
სებულ ცეილის ნედლეულს.
გამდნარი ცეილი გადამდინ-
დება და ზეგროვდება სპეცი-
ალურ ჭურჭელში. მზის
ცეილსაღნობი ცოტა მაღლა
უნდა იღვეს და დროდადრო
მზისკენ უნდა შევაბრუნოთ
ხოლმე.



სურ. 72. საფუტკრის ცეილის საწნევი.

მზის ცეილსაღნობზე დღეში შეიძლება გადავაჭნოთ 4 კგ-მდე
ცეილი, ე. ი. მას შეუძლია 50 ფუტკრის ოჯახს მომსახუროს.




ცეილ საწნევი. ცეილსაწნევი შესდგება: კასრისა, ორი
ცხრილისა, საწინეისა და ხრამნისაგან (სურ. 72). კასრს გვერდზე

ვერტიკალური ორი თამასა აქვს გაკეთებული. ცხრილები შედება /
გასრის ფსკერზე და კასრის გვერდზე. ხრაინს აქვს სახელური დროშა
ლის საშუალებით იგი ტრიალებს და აწვება საწინებს.

ცველსაწნებში იშენება: მე 2 და მე-3 ხარისხის ფიჭა და
შეის ცვილსადნობში გადაუღნობელი ფიჭის ნარჩენები.

ცვილის ნედლეული. ცვილის ნედლეულს შეადგენს:

1. შავი ძველი ფიჭა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლო-
ბაში ოჯახს ემსახურება და მრავალი ბარტყიანობის შედეგად გა-
შავებულია და გამოცვლას მოითხოვს.



სურ. 73. საშენი ჩარჩო. ზევით ხელოვნური ფიჭის ზოლი,
ქვევით აშენებული ფიჭა.

2. სინესტის ზევავლენით დაოპებული ფიჭა.

3. ბევრი სამამლიანი ფიჭა, თუნდაც იგი ახალი ფიჭა
აყოს.

4. თავისისავან ან მექანიკურად დაზიანებული ფიჭა.

5. ობმოკიდებული ჭეოიანა ფიჭა.

6. საშენ ჩარჩოდან მიღებული ფიჭა.

7. სკას კედლებისა და ჩარჩი უბის ანაფეკი და სხვ.

საშენი ჩარჩო. საშენი ჩარჩის დაბიშნულებას შეადგენს
ცვილის მიღება. საშენი ჩარჩო ჩვეულებრივი ჩაოჩისაგან არაფრით
გახსხვავდება, ოლობდ მასში არც მავთულია გაბძული და არც
მთლიანი ხელოვნური ფიჭაა ჩაკრული (სურ. 73).

საშენ ჩარჩოს მაზის ვიყენებთ, როცა ფუტკრის ბუდე მთლი
ანად განახლებულია ასალი ფიტებით.

საშენი ჩარჩოს ზედა თამასაზე მიკრულია ერთი სანტიპეტინი რი სიგანის ხელოვნური ფიჭა. როცა ლალიანობა დადგება, მე-ფუტკრე გაუნაშილებს ოჯახებს, სიძლიერის მიხედვით ან რო-რო საშენ ჩარჩოს.

საშენი ჩარჩო უმთავრესად უნდა ჩავდგათ ბუდის გვერდით ბარტყიან და ჭეოიან ჩარჩოებს შორის.

ბუდეში საშენი ჩარჩოს ჩადგმისთანავე ფუტკრები დაიწყებენ მასზე ფიჭის ჩამოშენებას. როცა ჩარჩო ფიჭით ნახევრამდე აშენდება, მეფუტკრე სჭრის მას, ხოლო ტოვებს ჩარჩოზე ჩვენს მიერ მიკრულ ძირითად ხელოვნურ ფიჭას და ისევ დგამს ბუდეში.

ასე უნდა ვაწარმოოთ საშენი ჩარჩოს ხმარება ბუდეში ლა-ლიანობის დამთავრებამდე, რათა ამ გზით გაეზარდოთ საფუტკრე-ში ცვილის ნედლეული და ფუტკრის ყველა ოჯახი უზრუნველეყოთ საკუთარი ხელოვნური ფიჭით.

როგორც ვთქვით პირველი ხარისხის ფიჭას (ფიჭებს ვახარი-სხებთ ფერის მიხედვით) ვაღნობთ მზის ცვილსაღნობში და მეორე და მესამე ხარისხისას — საწნებში.

შეგროვილ ცვილის ნედლეულს ცყრით ტომარაში (2—3 კვ-ის რაოდენობით) და ვდებთ საწნების კასრში. კასრში ვასხამთ წყალს და ვდგამთ ცეცხლზე. წყლის აღუღებიდან 15—20 წუთის გავლის შემდეგ, კასრს ვაღმოვდგამთ, შევდგამთ საწნების ქვეშ და ხრახნს სახელურის საშუალებით ნელნელა ვატრიიალებთ. ხრახნს მანამ ვა-ტრიიალებთ, სანამ ტომრიალან ცვილი და წყალი მთლიანად არ ვა-მოვა. ბოლოს ცვილს წყალთან ერთად ვაღმოვასხამთ მეორე კასრ-ში ან სხვა ჭურჭელში. ვაცივების შემთევე ჭურჭელში საბოლოოდ ზევით ცვილი და ქვევით წყალი გვექნება.

ცვილის ხარისხი. მიღებული სანთელი მაღალხარის-ხიანი უნდა იყოს. ცვილის ხარისხი თვით ცეილის ნედლეულზეა დამოკიდებული. ამიტომ ცვილის ნედლეული ვადამუშავების წინ უნდა ვადაეთარისხოთ, მაგალითად, ნათელი ფიჭა უნდა ვადამუ-შავდეს ცალკე და მუქი და შავი—ცალკე. ვადასაღნობ ფიჭაში არ შეიძლება დინდგელის შერევა, თორემ ცვილი რბილი და წებოვა-ნი ვახდება.

კარგი ხარისხის ცვილის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს ცვილიანი წყლის გაცივების ხანგრძლიობას. რაც უფრო ნელა ვა-ცივდება ცვილიანი წყალი, მით უფრო კარგად დაიღებება სხვა-დასხვა მექანიკური მინარევი. ამიტომ იმ ჭურჭელს, რომელშიაც

თაფლოვანი მცენარეების აღრიცხვა

მეფუტკრეობის განვითარება მჭიდროდ დაქავშირებულია თაფლოვანი მცენარეების გავრცელებასთან. საქართველოში არსებული კლიმატური პირობები და ოლიიეტი დიდიდ უწყობს ხელს აულოვანი მცენარეების გავრცელებას. ჩვენი ჩესპუბლიკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია სხვადასხვა ჯიშის ტყეებით, მდელოებით, ხეხილის ბალებით, სუბტროპიკული კულტურებით და სხვ. მაგრამ თაფლოვანი მცენარეები ჩვენში ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი.

თაფლოვანებად ისეთი მცენარეულობა ითვლება, რომლის ყვავილი გამოყოფს შაქრის ბურ წვენს ანუ ნექტარს. ხოლო იმ მცენარეებს, რომელთაც ნექტარი არ გააჩნიათ და მათთვის მტკერი აქვთ, მტკრის ანუ კეოს მომცემი მცენარეები ეწოდება.

მეფუტკრეობაში კარგ თაფლოვან მცენარეებად ითვლება: ცაცხვი, თეთრი აკაკია, თეთრი სამყურა, ესპარცუტი, უგრეხელი, ლაშქარა, ხეხილი, სუბტროპიკული კულტურები, ზოგიერთი ბოსტნეული მცენარე და სხვა.

საფუტკრის მაღალი პროდუქტიულობისათვის საჭიროა, რომ მის განვითარებისათვის საფუტკრის მიდამოში მრავლად იყოს სუვალასხვა სახეობის თაფლოვანი მცენარეები.

საფუტკრის მიდამოდ, ე. ი. მის საკვებ ბაზად უნდა ჩითვალის ტერიტორია 1-დან 3 კილომეტრის რადიუსის ფარგლებში. უნდა ითქვას, რომ რაც უფრო ახლოსაა საფუტკრე მოწყობილი თაფლოვან მცენარეებთან, მით მეტია ფუტკრის პროდუქტიულობა. ამიტომ თუ თაფლოვანი მცენარეები სამ კილომეტრზე მეტადაა დაშორებული საფუტკრეს, მაშინ ფუტკრის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ მცირდება.

საფუტკრის ტერიტორიისა და მასზე არსებული თაფლოვანების შესწავლისათვის პირველ რიგში უნდა მივმართოთ კოლმეტრნებას, სოფლის საბჭოს, საბჭოთა მეურნეობას, სატყეო კანტორას და მათთვის მონაცემების მიხედვით დავადგინოთ — რა სახის სავარგულებია საფუტკრის ირგვლივ, რამდენია სულ საერთო ფართი, მათ შორის — სახნავი, ტყე, მდელო, ბუჩქნარი, მრავალწლიანი კულტურები, გამოუყენებელი ბლგილები და სხვა. მაგრამ აღნიშნულ სავარგულებში თაფლოვანი მცენარეების ფართობის გან-

საზღვრისათვის, ჯერ ჩამოვლით თვალდაფალ მიატლოებით დაგვადგინოთ თაფლოვანი მცენარეების პროცენტული შემცველებების სავარგულებში ცალ ცალკე.

ვთქვათ, რომ ამ გზით საფუტკრის ტერიტორიაზე მივიღეთ ტყისათვის 5%, მდელოებისა და ბუჩქებისათვის—10%, ხოლო მრავალწლიანი კულტურების (ჩაის და ვაზის გარდა) პროცენტი, ცხადია, 100 იქნება. როცა გვეცოდინება სავარგულების ფართობი ჰექტარობით და მათში შემავალი თაფლოვანი მცენარეების რაოდენობა პროცენტობით, ადვილი იქნება იმისი გამოანგარიშება, თუ სავარგულები რამდენ ჰექტარ თაფლოვან მცენარეს შეიცავს.

ამ წესით შეგვიძლია შევაღვინოთ შემდეგი სანიმუშო ცხრილი (ჰექტარობით).

ფუტკრის საკედები ბაზა სა- ფუტკრიდან სამი კილო- მეტრის რა- დიუსის ფარ- გლებში	სუ- სა- სა- სუ-	სა- სა- სა- სუ-	ტყები		მდელოები და ბუჩქები		მრ. ჭ. კულ- ტურ. ნარგავ.		ჭ. კულ- ტურ. ნარგავ.
			სუ- სუ-	სუ- სუ-	სუ- სუ-	სუ- სუ-	სუ- სუ-	სუ- სუ-	
	2800	490	367	18,4	891	89,1	335	100	717

ამ ცხრილის შიხედვით საფუტკრის მიღამოს ყველა სავარგულე 207,5 ჰექტარ თაფლოვან მცენარეებს შეიცავს.

ეს ცხრილი აგრეთვე საზუალებას გვაძლევს დაგვაღვინოთ— რამდენ კილოგრამ თაფლს მოგვცემს ცხრილში მოყვანილი თაფლოვანი მცენარეები და ფუტკრის რამდენ ოჯახს უზრუნველყოფებისინი საკედებით.

არსებობს სხვა ხერხიც საფუტკრის ტერიტორიაზე სავარგულების შესწავლისათვის. იცილებთ ცირკულს და მისი საშუალებით საფუტკრის გარშემო ვაკეთებთ პირობით 3 კილომეტრიანი რადიუსის წრეს. წრის ფართობზე ალვნიშნავთ ამა თუ იმ სავარგულის —ტყის, ბალას, მდელოს და ბუჩქნარის, სახნავის და საობის საძოვრების რაოდენობას ჰექტარობით. როცა სავარგულების რაოდენობას გაიგებთ, დაგვადგენთ თვითეულ სავარგულები თაფლოვან მცენარეთა პროცენტულ შემაღვენლობას.

ტყის თაფლოვან მცენარეთა პროცენტული რაოდების
დასადგენად უნდა გამოვყოთ 5-დან 10-დენ საცდელი ნაკვეთის
თვითოული ნაკვეთი უნდა შეიცვლეს არა ნაკლებ, ვიდრე 1000 კვ
მეტრს. ამის შემდეგ უნდა გამოვარკვიოთ — რა საბის თაფლოვა-
ნებს ვხვდებით ყოველ 1000 კვ მეტრზე.

როცა ვიცით საფუტკრის სამკილომეტრიანი რადიუსის წრის
ფართობის ოდენობა, ადვილია მთელ ფართობზე თაფლოვან მცე-
ნარეთა პროცენტისა და პექტრარების რაოდენობის განსახლება.

მდელოს თაფლოვან მცენარეთა, აღსარიცხავად რამდენი-
მე პარალელური მიმართულებით 100—200 ნაბიჯის მანძილზე მი-
წაზე ვადებთ 1 კვ მეტრის ზომის ჩარჩოს. ვავიგებთ ჩარჩოს ფარ-
გლებში მოქცეულ მცენარეთა რაოდენობიდან რა პროცენტი უკი-
რავს საფლოვანებს (თეთრ სამყურას, ძირს და სხვ.) რამდენიმე
თითო კვადრატული მეტრი ფართობის შესწავლის შემდეგ საშეა-
ლება გვექნება დავადგინოთ საშუალო რაოდენობა თაფლოვანი
მცენარებისა და, ბოლოს, გამოვხატოთ იყი 100-გით.

ასეთივე წესით შეიძლება თაფლოვან მცენარეთა რაოდენო-
ბის გავება ბუქნარებში, ტყის ქვეშ და სხვ.

საუზტკრის აღგილის არჩევა

საფუტკრის კარგი აღგილის არჩევას უდიდესი მნიშვნელობა
აქვს ფუტკრის ოჯახის ნორმალური და ნაყოფიერი მუზაობისა-
თვის. ამიტომ საფუტკრის აღგილის შესარჩევად უნდა დავიცვათ
შემდეგი წესები:

1. საფუტკრის მოსაწყობი აღგილი მშრალი უნდა იყოს. ნეს-
ტიანი აღგილი ხელს უშლის გაზაფხულზე ფუტკრის განვითარებას
და ზოგჯერ ავადმყოფობის გამომუვევილა.

2. საფუტკრის მოწყობა უკეთესია ბაღის მახლობლად, ხოლო
ამ შემთხვევაში საფუტკრე დაცული უნდა იყოს ქარისაგან, ამას-
თან, მის ახლოს არ უნდა იყოს მრავალრიცხვები მოსახლეობა,
რადგან ფუტკარს ადამიანები და ცხოველები შეაწუხებენ.

3. საფუტკრე დაშორებული უნდა იყოს ფუტკრის სამოქმე-
დო რადიუსიდან დიდ ტბებს, ჭაობებს და მდინარეებს, რადგან
ღილიანობიდან დაბრუნებული ფუტკარი შეიძლება აღვილად ჩა-
ვარდეს წყალში და დაიღუპოს.

4. არ შეიძლება საფუტკრის მოწყობა წარმოების მახლობ-
ლად, განსაკუთრებით ისეთი წარმოების, სადაც ხდება ტკბილი
პროდუქტების დამზადება და სანთლის გადამუშავება. ასეთი ად-

გილები ფუტკრებს იჭიდავს და ბევრი მათგანი იქვე იღუპება. უნდა და ვერიდოთ აგრეთვე საფუტკრის მოწყობას მეცხოველობრივ მასთან, ფართო ზარა გზასთან და სხვ.

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაჭრით საფუტკრის ქარისაგან დაცვას, რადგან ქარიანობის დროს ფუტკრის ოჯახში ბევრი თაფლი იბარჯება, გაზაფხულშე ფუტკრის ოჯახების განვითარება მცირდება და საერთოდ კლებულობს საფუტკრის პროდუქტიულობა.

იმისათვის, რომ საფუტკრე ქარისაგან დავიცვათ, იგი შეიძლებისდაცვარად მოფარებულ ადგილას უნდა მოვაწყოთ.

6. სასურველია საფუტკრეში იყოს ხე-მცენარეები და ბუჩქები. თუ ხე-მცენარეები მაღალია, ისინი უნდა გადავხერხოთ 3 მეტრის სიმაღლეზე, რათა ფუტკარს თავისუფალი ფრენის საშუალება ჰქონდეს. ასეთი გადახერხილი მცენარეები საფუტკრეს ქარისაგან იცავს, ხოლო გაზაფხულშე ხელს არ უშლის საფუტკრის მზის სხივებით გათბობას. აშის გარდა, ისინი ზაფხულში ოჯახების საჭირო დაჩრდილებასც ქმნიან.

7. საფუტკრეში სკები უნდა განვალავრთ სწორხაზობრივად და ვადრაკისებურად, თანაც სკებს საფრენები ერთი მიმართულებით უნდა ჰქონდეს. თუ ერთი ფერით შელებილი სკები გვაქვს, მაშინ ფუტკრებს რომ თავისი ოჯახის ცნობა არ გაუძნელდეს, სკების ერთი ჯვეული ერთმანეთს უნდა დავაცილოთ 0,5—1 მეტრით და მეორე ჯვეული 4—5 მეტრით.

მაგრამ ოჯახში რომ თავისი ბინა კარგად გაარჩიოს, სასურველია სკები სხვადასხვა ფრად შევღებოთ, ხოლო სკის წინა კედელი და მისაფრენი ფიცარი—სხვადასხვა ფერად.

8. სკები მიწას უნდა დავაშოროთ დაახლოებით 30—40 სანტიმეტრით, ხოლო მათი უკანა კედელი 1—2 სანტ. მაღალი უნდა იყოს წინა კედელთან შედარებით. სკის ასე წინ დაქანება დაიცავს მას წევიძის წყლის ჩასვლისაგან და ფუტკრებსაც გაუადვილდება სკიდან უსუფთაობის გარეთ გამოტანა.

სკები სადგამებზე ვერტიკალურად თარაზოში გასწორებული უნდა დავდგათ, თორემ დახრილ სკაში ფუტკარი ფიჭას არასწორად ააშენებს.

9. სკებს საფრენი უმთავრესად აღმოსავლეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა ჰქონდეს, რადგან ამ შემთხვევაში საფრენები ზაფხულის სიცხიან დღეებში ნაშილობრივ დაცული იქნება სიცხისაგან, რის გამოც ოჯახში თაფლის შეგროვება არ შემცირდება და ფუტკარი აერაციისათვის არ მოცდება.



କେତୋଟିଏବେଳେ ଅଭିନବ

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ
ପ୍ରକାଶନ କମିଶନ



G. B. M. & P. 2

ଯେବେଳେ ଗନ୍ଧିରୁଙ୍କି ଏବଂ ପାତୋରୁଗାଲେ ଗନ୍ଧିରୁଙ୍କି ଅନ୍ତରୀଳରୁଙ୍କି

-443-14353211

නොමු නොමු	සායන හිමිත්වා මෙහෙයුම් ප්‍රංශය		සායන හිමිත්වා මෙහෙයුම් ප්‍රංශය		සායන හිමිත්වා මෙහෙයුම් ප්‍රංශය	
	ප්‍රධාන අංශ	වැඩිදීම්	ප්‍රධාන අංශ	වැඩිදීම්	ප්‍රධාන අංශ	වැඩිදීම්
	ප්‍රධාන අංශ	වැඩිදීම්	ප්‍රධාන අංශ	වැඩිදීම්	ප්‍රධාන අංශ	වැඩිදීම්

10. ცხოველებისაგან და უცხო პირთაგან დაცვის მიზნით, ფ-
ფუტკრები შემოლობილი უნდა იყოს.



საფუტკრის საჯაროო გეგმის შესრულების აღრიცხვა უნდა აღრიცხვა

საფუტკრები საწარმოო გეგმის შესრულების აღრიცხვა უნდა
მოხდეს ოჯახების საშემოდგომო შემოწმების (რეესტრის) დროს.
ასეთი შემოწმება საშუალებას მოგვცემს ნათელი წარმოდგენა ვი-
ქნით საფუტკრის მუშაობაზე და თვითეული ფუტკრის ოჯა-
ხის მდგომარეობაზე.

საფუტკრის საწარმოო მუშაობის აღრიცხვისათვის მრავალი
სანიმუშო ცხრილი არსებობს, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ორ ცხრილს
(1 და 2) მოვიყვანთ, რომელთაგან პირველი გვიჩვენებს მთელი
წლის განმავლობაში ფუტკრის ოჯახების მუშაობის შედეგს და მე-
ორე –ფენოლოგიური დაკვირვების მონაცემებს.



ს ა რ ჩ ი ზ ი

	23.
წინასიტყვათა	3
ფუტკრის საცხოვრებელი ბინა სეა	4
კილტურული სკეპტი	7
სკეპტი ჯიშუებად დაყოფა	10
თრიორპესიანი სკეპტი	11
როგორ დავამსადოთ სკეპტი	13
საფილტრები სამუშაო იარაღები	14
თაულის გამოაწეული ხელსაწყო-იარაღები	24
ფუტკრის ლევანის გასინჯვა და მისი შემადგენლობის გაცნობა	28
ფუტკრის სხეულის გარევანი აგეტულება	32
ფუტკრის სხეულის შინაგანი ორგანოები	35
ხელოვნური ფიტის ჩარჩაში ჩაკერა	40
დადა ფუტკრის და მამალი ფუტკრის სასქესო ორგანოები .	44
კვერცხიდან ფუტკრის განვითარება	47
ფიტკრის ნერვული სისტემა	50
საგანატულო სამუშაოები საფუტკრები	50
შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორება	55
ფუტკრის ოჯახის გადაყევანა პრიმიტიული სკიდან ჩარჩონის სკაში	59
ფუტკრის ოჯახების მთავრი საგანატულო შემოწმება	62
ფუტკრის „შეურდობა“ და მასთან ბრძოლა	72
დედების ხელოვნურად გამოყვანა	74
აღმსრდელი ოჯახისათვის მისაცემი მარლის რაოდენობა .	81
ნუკლეუსები დედების გასანაყაფიერებლად	82
ფუტკრის ნაყარი	86
ოჯახების ხელოვნური ჭამრავლება	92



83-
93
საქართველო
სამართლებრივი

ჭურტკრის მთაბარობა	83
საშემოდგომო სამუშაოები და უზრტკრის ფაზამთრება	98
უზრტკრის ოჯახების საშემოდგომო შემოწმება (რეეგისია) . .	100
ბუდის სახამთროდ გამშადება	102
სახამთრო ბუდის მც. კოპა	102
უზრტკრის აეადმიყოფებანი და მავნებლები	105
ამერიკული სიდამბლე	106
ევროპული სიდამბლე	110
უზრტკრის გადამდები და არ-გადამდები ავადმყოფობანი .	112
ნოხემატობით დააკ დებული ოჯახების გაჯანსაღება	114
რაჭამელა	115
უზრტკრის მტრები	116
უზრტკრის პარაზიტები	119
ბარტჰის პარაზიტები	121
უზრტკრის მავნებლები	122
ცვილის წედლელი ტ შენახვა და ფადაშუშევება	125
თაფლოვანი მცენარეების აღრიცხვა	130
საფურტკრის ადვოლის არჩევა	132
საფურტკრის საჯარ მოო გვემის შესრულების აღრიცხვა . .	136



რეგულარული დოც. ს. ქლები ტი 0
გამოცემის ქ. კაშია

ა. 40812

შეკ. № 514

ტირაჟი 3000

გადაეცა წარმოებას 14/VII-58 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-59 წ. არაწყობის ზომა 6×10 . სასტამბო ფურცელთა რაოდენობა 8,75. სავტორო ფურცლოდ. 7,4. საგ.-სააღ. ფურც. რაოდ. 7,57.

ცასი 3 გან. 50 ბბპ.

შრომის წითელი ლროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი,
ი. ჭავჭავაძის პროს. 33.

Типография Издательства Грузинского ордена Трудового
Красного Знамени Сельскохозяйственного Института
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе 33,



ВАСИЛИЙ САМСОНОВИЧ ПРАНГУЛАШВИЛИ

Практикум по пчеловодству

(на грузинском языке)

ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО
КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА

19 ТБИЛИСИ 59

შეცდომების გასწორება

გვ. დ.	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზემო- დან	ქვემო- დან		
38	5		სარქველია	სარქველია
57		12	გადმოდულების	გადმოლების
58	18		№ 1	№ 2
64	8		№ 1	№ 2
126	4		ცვილის ნედლეულის	ცვილის ჩრჩილის ნედლეულის

୩୫୬୦ ୩ ୨୦୬. ୫୦ ଜାନ୍ମ.



୪. ୬୯ /
/ ୧୩